

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ფანჯიკიძე

პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და
ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართება
(2008 წლის ომის შემდეგ იბულებით გადაადგილებული ოჯახების მაგალითზე)

ფსიქოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარსადგენი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მარინე ჩიტაშვილი, სრული პროფესორი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ
ხათუნა მარწყვიშვილი, ასისტენტ პროფესორი
ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ

კონსულტანტი: ლუიზა არუთინოვი, ასოცირებული პროფესორი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ



სარჩევი

აბსტრაქტი	4
შესავალი	7
თავი 1 პოსტტრავმული ზრდა.....	15
1.1 პოსტტრავმული ზრდა - თეორიული მოდელი	15
1.2. პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში	17
1.3 პოსტტრავმულ ზრდასთან დაკავშირებული სხვა მდგომარეობები.....	21
თავი2 ოჯახის ფუნქციონირება	30
2.1 ოჯახის თეორიები.....	30
2.2 ოჯახის ფუნქციონირების მოდელები	32
2.3. ოჯახის ფუნქციონირების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება	37
თავი 3 - ემოციური ინტელექტი	39
3.1 ემოციური ინტელექტის ამხსნელი მოდელები და საკვლევი ინსტრუმენტები	39
3.2. ემოციური ინტელექტის და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება	49
თავი 4. კვლევის საკითხის განსაზღვრა	51
თავი 5 - კვლევის მეთოდი	54
5.1 ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარის (FAD) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე	54
კვლევის მონაწილეები	55
კვლევის პროცედურა	56
კვლევის ინსტრუმენტი	56
5.2 პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი მოზარდებისთვის - ინსტრუმენტის ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე	60
კვლევის მონაწილეები	61
კვლევის პროცედურა	62
კვლევის ინსტრუმენტი	62
5.3 პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირებისა და ემოციური ინტელექტის, ურთიერთმიმართების კვლევა იძულებით გადაადგილებული ოჯახების მაგალითზე.....	64
კვლევის მონაწილეები	64
პროცედურა.....	65

კვლევის ინსტრუმენტები	66
თავი 6 შედეგების აღწერა	81
6.1 მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის მეთოდები და შედეგების აღწერა (FAD)	81
6.2 მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის მეთოდები და შედეგების აღწერა (PTGI_C)	86
6.3 ემოციურ ინტელექტს, პოსტტრავმულ ზრდას და ოჯახის ფუნქციონირებასა შორის ურთიერთმიმართება.....	89
თავი 7 შედეგების განხილვა.....	116
7.1 ემოციური ინტელექტის, ოჯახის ფუნქციონირებისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება.....	116
7.2. ინსტრუმენტების (FAD, PTGI_C) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე.....	123
თავი 8 დასკვნები	125
გამოყენებული ლიტერატურა:	128
დანართები.....	136

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორების კვლევა ოჯახის სისტემაში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ერთი მხრივ, ოჯახის ფუნქციონირებას და მეორე მხრივ, ცალკეული ინდივიდების ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ დისპოზიციას. ასევე, კვლევის მიზანია ორი საკვლევი ინსტრუმენტის - ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარის (FAD; Epstein et al., 1983) და პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (PTGI_C; Cryder et al., 2006), მოზარდების ვერსიის ადაპტირება ქართულ პოპულაციაზე. კვლევის მონაწილეები არიან 2008 წლის შემდეგ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, სულ 80 ოჯახი, 240 მონაწილე. ინსტრუმენტების ქართულ პოპულაციაზე ადაპტაციისთვის განხორციელდა ყველა საჭირო საფეხური, რაც მოიცავს ინსტრუმენტის თარგმნას, გადამოწმებას საპირისპირო თარგმანის საშუალებით, კითხვარის პილოტირებას, რედაქტირებას, ჩატარებას ნორმის ჯგუფზე, კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენის შემდეგ მის რევიზირებას და, საბოლოოდ, ხელახალ სტანდარტიზაციას. კვლევის ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა, როგორც აღწერითი სტატისტიკის ოპერაციები, ისე ახსნითი, ძირითადად, მრავალმხრივი რეგრესიული და მედიაციური ანალიზი ჰეისის მეთოდით.

კვლევის ძირითად შედეგებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი:

- ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებულია ორი ინსტრუმენტი - ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი (FAD) და პოსტტრავმული ზრდის საკვლევი (PTGI_C) ინსტრუმენტები;
- ოჯახის ფუნქციონირების რაობა წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის ზრდასრულ ადამიანებში;

- მოზარდების პოსტტრავმულ ზრდაზე გავლენას არ ახდენს არც ოჯახის ფუნქციონირების რაობა, არც მშობლების ემოციური ინტელექტის თუ პოსტტრავმული ზრდის დონე;
- მოზარდთა პოსტტრავმული ზრდისათვის წამყვანი მნიშვნელობა აღმოაჩნდა ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ დისპოზიციას;
- როგორც ზრდასრულებში, ისე მოზარდებში პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს წარმოადგენს ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიცია - რაც უფრო მაღალი ემოციური ინტელექტი აქვს ინდივიდს, მით უფრო მეტად მოხდება მასში პოსტტრავმული ზრდა;
- პოსტტრავმული ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოაჩნდა ემოციური ინტელექტის ორი მდგენელი - კარგად ყოფნისა (ოპტიმიზმი, ბედნიერება, თვით-შეფასება) და მოტივაციის ასპექტები;
- ოჯახის ფუნქციონირება მედიატორის როლს ასრულებს ემოციურ ინტელექტსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის გასაზღვრისას. ინდივიდის ემოციური სფეროს თავისებურებები განსაზღვრავს მისი ოჯახური ურთიერთობის პატერნს, რაც თავისთავად პოსტტრავმულ ზრდას უწყობს ხელს.

კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ტრავმასა და მასთან დაკავშირებული ფენომენების შესახებ არსებული თეორიული მოსაზრებებისა და კონსტრუქტების ვერიფიცირებაში წვლილის შეტანა პოსტტრავმული ზრდის ფენომენის, მისი პრედიქტორების, მოზარდებში ამ ფენომენის გამოვლენის თავისებურებებისა და მექანიზმების შესახებ მოპოვებული ემპირიული მონაცემებით.

პრაქტიკული ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ნეგატიური ცხოვრებისეული მოვლენის შემდეგ პიროვნებათა პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესის მექანიზმების გამოვლენა პროფესიონალებს დაეხმარება ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც ზრდასრულ

ადამიანებთან, ისე მოზარდებთან. სამომავლო კვლევებს და ინტერვენციის განხორციელებას ხელს შეუწყობს ქართულ ენაზე ადაპტირებული ორი ინსტრუმენტი.

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის (1991-1993, 2008) შედეგად მოსახლეობის ორი ტალღა აღმოჩნდა ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების წინაშე. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, დაახლოებით 160 000-მა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი (Unicef,2009). იძულებით გადაადგილებული პირების უმრავლესობა მრავალჯერადი სიცოცხლისთვის საშიში მოვლენების მომსწრე აღმოჩნდა, როგორცაა დამცირება, შეურაცხყოფა, ქონების განადგურება, ახლობლების სიცოცხლის ხელყოფის მომსწრედ ყოფნა, ტყვეობა და სხვა. კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ადამიანები სახელმწიფომ დაასახლა ე.წ. „ახალ დასახლებებში“, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ოთხ რეგიონში, ესენია შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი (Internal displacement monitoring centre, 2009).

საქართველოში ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევები კონფლიქტის შემდგომ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით კი ომის მოვლენების ხანგრძლივი ფსიქოლოგიური შედეგები არ არის შესწავლილი. არსებული კვლევები ძირითადად ეხება დევნილთა ახალ დასახლებებში ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ეკონომიკური, სამედიცინო და სოციალური ინტეგრაციის პრობლემებს (Koch, 2012) და ასევე, გეოგრაფიულ მდებარეობასთან და იზოლაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (Mitchneck, 2009).

იძულებით გადაადგილებული პირების, მათი ოჯახების ფსიქიკური ჯანმრთელობის და ადაპტაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გამოქვეყნებული კვლევა მწირია. გარდა ამისა, სირთულეს წარმოადგენს ქართულ ენაზე ადაპტირებული საკვლევი ინსტრუმენტების ნაკლებობაც. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს ხათუნა მარწყვიშვილის (2010) კვლევა, რომელიც

პოსტტრავმული სტრესული აშლილობის განვითარებაში ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის და დაძლევის სტრატეგიების წვლილს განიხილავს. კერძოდ, კვლევის მიხედვით, ინდივიდები, რომლებიც მაღალი ემოციური ინტელექტით გამოირჩევიან და იყენებენ დაძლევის პოზიტიურ სტრატეგიებს, პოსტტრავმული სტრესის დაბალი მაჩვენებელი აქვთ.

საქართველოში ომის შედეგების კვლევების რაოდენობის სიმცირის ფონზე განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩანს ემპირიული კვლევების რიცხვი სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, აქტუალურია მსოფლიოს აკადემიურ სფეროში მიმდინარე მწვავე ინტერდისციპლინარული დისკუსია ომის გამოცდილებისა და იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი დაინტერესებულია ომის შედეგად გამოწვეული ფსიქოპათოლოგიით და შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნით. აღნიშნული კვლევები ტრავმის შემდგომი ფსიქიკური დარღვევების (პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია, ნივთიერებათა მოხმარება, სოციალური ფუნქციონირების დარღვევა და სხვა) განვითარების და მეორადი ტრავმატიზაციის გზით სოციალურ გარემოში მისი გავრცელების მექანიზმების შესწავლაზეა მიმართული (მაგ, Figley, 1995; Matsakis, 2004; Yehuda et al 2001; Dirkzwager et al, 2005; Dekel et al, 2008; Davidson et al., 2001; Galovski & Lyons 2004). დეფიციტზე და პათოლოგიაზე ორიენტირებული მიდგომა დომინანტური გახლავთ ოჯახების კვლევის მიმართულებითაც (Berger & Weiss, 2009). მეცნიერთა მეორე ნაწილი კი ამ პროცესს სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლებით ხსნის და საზოგადოების „მედიკალიზაციას“ ან „პათოლოგიზაციას“ უწოდებს (Summerfield, 2001 p.27). გარდა ამისა, მეცნიერთათვის პრობლემას წარმოადგენს ომთან დაკავშირებული ცვლილებების მხოლოდ დასავლური მიდგომებით ახსნა, კულტურული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე (Summerfield, 2001).

აღნიშნული დისკუსიის მიმდინარეობას თან ახლავს ახალი ხედვის ჩამოყალიბება ტრავმის თანამედროვე ფსიქოლოგიაში. მკვლევართა

განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის იდეა, რომელიც ცვლის შეხედულებებს ტრავმის შესახებ. ფსიქოლოგებმა დაიწყეს გაცნობიერება იმისა, რომ ტრავმა ყოველთვის არ არის ასოცირებული ფსიქიკურ დარღვევასთან. პოსტტრავმული სტრესი შესაძლოა იყოს ნიშანი იმისა, რომ ადამიანი იწყებს ბუნებრივ ბრძოლას ახალი ცხოვრების დასაწყებად (Hussain & Bhushan, 2011; Linley, Felus, Gillett, & Joseph, 2011; Shakespeare-Finch & Copping, 2006; Splevins, Cohen, Bowley, & Joseph, 2010). შესაბამისად, ტრავმის სფეროში კვლევამ მიმართულება შეიცვალა, კერძოდ, მომრავლდა ემპირიული მონაცემები ტრავმასთან ბრძოლის შედეგად მიღებული პოზიტიური ცვლილების, ადამიანის გამოცდილების ტრანსფორმაციული პოტენციალის შესახებ (Kilmer et al., 2014a). უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პოსტტრავმული ზრდისა და მასთან ასოცირებული ცვლადების შესახებ ინფორმაცია აისახა 900-მდე სტატიაში, სპეციალურ გამოცემასა და წიგნის ქვეთავებში (Calhoun & Tedeschi, 2006; Joseph & Linley, 2006, 2008). ლიტერატურაში პოსტტრავმულ ზრდასთან ასოცირებულ სხვადასხვა ცნებებს ვხვდებით, ესენია, სტრესთან დაკავშირებული ზრდა, ტრანსფორმაციული დაძლევა, აღქმული სარგებელი და სხვა (Tedeschi & Calhoun, 2004).

პოსტტრავმული ზრდის ფენომენისადმი ინტერესმა თავისთავად მისი განმაპირობებელი მექანიზმების შესწავლის მოტივაცია გაზარდა. მკვლევრებმა დაიწყეს პოსტტრავმული სტრესის განმსაზღვრელი სხვადასხვა სოციალური და პიროვნული ფაქტორების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმული ზრდა დაკავშირებულია სოციალურ მხარდაჭერასთან, რომელიც ინდივიდებს თავის მხრივ გამოცდილების გაზიარებასა და ნეგატიური მოვლენის პოზიტიური ასპექტების აღმოჩენაში ეხმარება (Wolchik and colleagues, 2008).

კვლევები (Stanton, Bower, & Low, 2006) მოწმობს, რომ პიროვნული მახასიათებლები ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრავმული გამოცდილების დაძლევაში. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმულ ზრდასთან კავშირშია ოპტიმიზმი, ექსრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კრეატიულობა,

თვით-ეფექტურობა და თვით-შეფასება (Calhoun & Tedeschi, 1998, 2006). გარდა ამისა, პიროვნულ ზრდას მნიშვნელოვნად უკავშირდება ემოციების რეგულაციის პროცესთან დაკავშირებული თავისებურებებიც (Grühn et al., 2008; Monson et al., 2004; Milanak et al., 2009). ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ისეთი პიროვნული მახასიათებლის/კონსტრუქტის კვლევა, რომელიც ემოციებთან დაკავშირებულ დისპოზიციებს წარმოადგენს. თუმცა, ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი კვლევა არსებობს, რომლის მიხედვითაც ემოციის გამოხატვას და პოსტტრავმულ ზრდას შორის მოდერატორის ფუნქციას ემოციური ინტელექტი ასრულებს (Linley, Felus, Gillett, & Joseph, 2011)

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის, როგორც სისტემის როლი პოსტტრავმული ზრდის დეტერმინანციაში ამ დრომდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი. გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურა ბავშვებსა და მოზარდებში ტრავმის შემდგომი პოზიტიური ცვლილებების შესწავლის კუთხით დღემდე საკმაოდ მწირია (Kilmer et al., 2014b). ამას ადასტურებს 2011 წელს ჩატარებული სისტემატური მიმოხილვა (Meyerson, Grant, Carter, & Kilmer, 2011a), რომლის მიხედვითაც ბავშვებსა და მოზარდებში პოსტტრავმული ზრდის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურა მხოლოდ 25 ემპირიულ კვლევას მოიცავს. 2014 წლამდე (Kilmer et al., 2014a) აღნიშნულ კვლევებს მხოლოდ ორი კვლევა დაემატა (იხ. Glad et al., 2013 და Yanlon et al., 2011). აქედან, ომის გამოცდილებას და მასთან დაკავშირებულ პიროვნულ ზრდას ბავშვებსა და მოზარდებში მხოლოდ ორი კვლევა განიხილავს (იხ. Kimhi et al., 2009a; Kimhi et al., 2009b).

აღნიშნული კვლევების ავტორები ცდილობენ იმის გარკვევას, ერთი მხრივ, არსებობს თუ არა პოსტტრავმული ზრდის ფენომენი ბავშვებსა და მოზარდებში და, მეორე მხრივ, რა ცვლადებთან არის ის ასოცირებული. გარდა ამისა, მკვლევართა ინტერესს წარმოადგენს ბავშვებისა და მოზარდების კვლევის შედეგების შედარება ზრდასრულთა მონაცემებთან, კერძოდ, არის თუ არა პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში კონცეპტუალურად დაკავშირებული ისეთივე

ცვლადებთან, როგორც ზრდასრულებთან ვხვდებით, ესენია, გარემოს მახასიათებლები, დისტრესი, სოციალური პროცესები, პიროვნული მახასიათებლები და დემოგრაფიული მონაცემები (Kilmer et al., 2014a).

ამგვარად, ზემოთ მოცემული მსჯელობის საფუძველზე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორების კვლევა ოჯახის სისტემაში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს, ერთი მხრივ, ოჯახის ფუნქციონირების ეფექტურობას, და მეორე მხრივ, ცალკეული ინდივიდების ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ დისპოზიციას. კვლევის მიზნის მისაღწევად პირველი რიგის საჭიროებას წარმოადგენს ორი საკვლევი ინსტრუმენტის - ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხვარის (FAD) და პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (PTGI_C), მოზარდების ვერსიის ადაპტირება ქართულ პოპულაციაზე.

წინამდებარე კვლევის კითხვები შემდეგია:

(1) განსაზღვრავს თუ არა ინდივიდის პოსტტრავმულ ზრდას ოჯახის ფუნქციონირების პატერნი და ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიციები, არსებობს თუ არა განსხვავება ამ თვალსაზრისით მოზარდებსა და ზრდასრულებს შორის?

(2) არის თუ არა ოჯახის წევრების ემოციური ინტელექტის მახასიათებლები კავშირში ოჯახის სხვა წევრის პოსტტრავმულ ზრდასთან?

(3) არის თუ არა კავშირში მშობლის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი შვილის პოსტტრავმულ ზრდასთან?

კვლევის მიზნიდან და კვლევის კითხვებიდან გამომდინარე სამუშაო ჰიპოთეზა შემდეგია: თუ ოჯახის ფუნქციონირება, ემოციური ინტელექტი და პოსტტრავმული ზრდა ერთმანეთთან კავშირშია, მაშინ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ინდივიდებს ოჯახური ფუნქციონირების ჯანსაღი პატერნი უნდა ჰქონდეთ, რაც

ინდივიდისა და/ან მათი ოჯახის წევრების პოსტტრავმულ ზრდას უნდა უწყობდეს ხელს.

კვლევის კონკრეტული ჰიპოთეზებია:

(1) ჯანსაღი ოჯახური ფუნქციონირებისა და მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ინდივიდებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ;

(2) ემოციური ინტელექტის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდთა ოჯახის წევრებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ;

(3) პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებლის მქონე მშობლების შვილებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ;

წინამდებარე კვლევის მიზნიდან და შესამოწმებელი ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. პოსტტრავმული ზრდის ინსტრუმენტის მოზარდების ვერსიისა (PTGI_C) და ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტის (FAD) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე, რაც თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ინსტრუმენტის თარგმნა
- თარგმანის გადამოწმება საპირისპირო თარგმანის საშუალებით
- ექსპერტების მიერ შინაარსის ვალიდობის შეფასება
- კითხვარის პილოტაჟი
- კითხვარის რედაქტირება
- კითხვარის რესტანდარტიზაცია
- კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა

2. ოჯახის ფუნქციონირების, პოსტტრავმული ზრდისა და ემოციური ინტელექტის მაჩვენებლების განსაზღვრა და ამ სამ ცვლადს შორის ურთიერთმიმართების ბუნების კვლევა. აღნიშნული საფეხურის შესაბამისი ამოცანებია:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულის, ძირითადი ფაქტორებისა და სკალების მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ოჯახის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტების გამოყოფა, საერთო ქულის და ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებლების დადგენა;
- ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებლის, ძირითადი ფაქტორებისა და სკალების მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ემოციური ინტელექტის და ოჯახის ფუნქციონირების კავშირის დადგენა პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებთან;
- ოჯახის ფუნქციონირების, როგორც მედიატორის ფუნქციის მქონე ცვლადის განსაზღვრით, ემოციურ ინტელექტსა და პოსტტრავმული ზრდას შორის კავშირის კვლევა;

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს რვა თავს.

პირველ თავში განხილულია პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელი, ემპირიული კვლევები, პოსტტრავმული ზრდის მიმართება პოსტტრავმულ სტრესთან, სტრესის დაძლევის სტრატეგიებთან და ფსიქიკური მდგრადობის ფენომენთან. საბოლოოდ, განხილულია პოსტტრავმული ზრდის ფენომენის გამოვლენა ბავშვებსა და მოზარდებში და პოსტტრავმული ზრდის საკვლევო ინსტრუმენტები.

მეორე თავში განხილულია ოჯახის შემსწავლელი თეორიული მიდგომები, მოდელები, საკვლევო ინსტრუმენტები და ოჯახის ფუნქციონირების მიმართების კვლევა პოსტტრავმულ ზრდასთან.

მესამე თავში მოცემულია ემოციური ინტელექტის თეორიული მიდგომები, მოდელები, საკვლევი ინსტრუმენტები. ასევე, ემოციური ინტელექტის მიმართების განხილვა პოსტტრავმულ ზრდასთან.

მეოთხე თავში კვლევის საკითხია განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები, ჰიპოთეზები და ამოცანები.

მეხუთე თავი წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ, კვლევის მეთოდების, კვლევის მონაწილეების, პროცედურის, კვლევის ინსტრუმენტების აღწერას კვლევის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე.

მეექვსე თავში აღწერილია კვლევის შედეგები კვლევის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე.

მეშვიდე და მერვე თავები კვლევის თითოეული ნაწილის განხილვასა და დასკვნებს ეთმობა.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართი.

თავი 1 პოსტტრავმული ზრდა

1.1 პოსტტრავმული ზრდა - თეორიული მოდელი

პოსტტრავმული ზრდა განიხილება ტრანსფორმაციული მოდელის (Tedeschi & Calhoun, 1995) კრილში და განისაზღვრება, როგორც ტრავმულ გამოცდილებასთან ემოციური და კოგნიტური ბრძოლის შედეგად გამოვლენილი ინდივიდის პოზიტიური ცვლილება, რომელიც ხუთ ძირითად სფეროზე აისახება, ესენია, ახალი შესაძლებლობები, სხვებთან ურთიერთობა, პიროვნული სიძლიერე, ცხოვრების დაფასება და სულიერი ცვლილება (Tedeschi & Calhoun, 1995). პოსტტრავმული ზრდა შეიძლება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით განისაზღვროს (Garlington, 2010):

- ტრავმული მოვლენის შემდეგ ინდივიდის ბრძოლა ახალ რეალობასთან არსებით როლს ასრულებს პოსტტრავმული ზრდის გამოვლენის ხარისხზე;
- პოსტტრავმულ ზრდას თან ახლავს ძლიერი დისტრესის გამომწვევ ნეგატიურ ვითარებასთან ადაპტაციის მცდელობა;
- პიროვნული დისტრესი და ზრდა ხშირად თანაარსებობენ;
- პოსტტრავმული ზრდა ახასიათებს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ ოჯახს, როგორც ერთიან სისტემას;
- პოსტტრავმულ ზრდას ხელს უწყობს კოგნიტური გადამუშავების და სოციალური გაზიარების პროცესი;

პოსტტრავმული ზრდის კონცეფციის ავტორთა (Tedeschi & Calhoun, 1998) მიხედვით, პოსტტრავმული ზრდის ფენომენის თეორიული დაშვება არ წარმოადგენს ავტორთა მეცნიერულ სიახლეს. პოსტტრავმული ზრდის ფენომენის აღწერას ვხვდებით სხვადასხვა რელიგიურ (ქრისტიანობა, ბუდიზმი, ჰინდუიზმი), ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. ავტორები განსაკუთრებით აღნიშნავენ, ჯანოფ ბულმანის (1992), ისევე, როგორც ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლების - ვიქტორ ფრანკლის (1959) და როლო მეის (1969)

ნაშრომების წვლილს მათი ჰიპოთეტური კონცეფციის ჩამოყალიბებაში (Tedeschi & Calhoun, 2004).

ტედესკის და კალჰუნის (1995) მეცნიერულ სიახლეს პოსტტრავმული ზრდის ემპირიული შესწავლა წარმოადგენს. მათი თავდაპირველი ნაშრომი სათაურით: „დანაკარგი: გლოვიდან ფსიქოლოგიურ განვითარებამდე“ თავდაპირველად ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე 1984 წელს გამოჩნდა. ავტორების მიხედვით (Tedeschi, 2010) პოსტტრავმული ზრდის განმარტებამდე და მასთან დაკავშირებული ხუთი ფაქტორის ჩამოყალიბებამდე სწორედ ტრავმული გამოცდილების მქონე ადამიანებთან ინტერვიუების შედეგად მივიდნენ. ინტერვიუს ძირითადი მიზანი გახლდათ, ერთი მხრივ, შეესწავლათ პოზიტიური ფსიქოლოგიური ცვლილების დინამიკა და მეორე მხრივ, გაერკვიათ ის ფაქტორები, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო კრიზისის დაძლევისასთან. დაკვირვების შედეგად ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ პოსტტრავმულ ზრდასთან მნიშვნელოვან კავშირშია როგორც პიროვნული ცვლადები: ოპტიმიზმი, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კრეატიულობა, თვით-ეფექტურობა და თვით-მეფასება (Calhoun & Tedeschi, 1998, 2006; Stanton, Bower, & Low, 2006), ასევე გარემოს ფაქტორები. გარემოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს წარმოადგენს მატრავმირებელი მოვლენის სიძლიერე, ტრავმული მოვლენიდან გასული დრო, სოციალური მხარდაჭერის სისტემა, რელიგიურ ორგანიზაციებში გაწევრიანება და სხვა (Kilmer et al., 2014a).

პოსტტრავმული ზრდისა და მასთან ასოცირებული ცვლადების შესახებ კვლევები უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მომრავლდა. გამოქვეყნდა 900-მდე სტატია, სპეციალური გამოცემა და წიგნის ქვეთავები (Calhoun & Tedeschi, 2006; Joseph & Linley, 2006, 2008). პოსტტრავმული ზრდის ამსახველი ფენომენი სხვადასხვა ტერმინოლოგიით აისახა ლიტერატურაში, ესენია, სტრესთან დაკავშირებული ზრდა, ტრანსფორმაციული დაძლევა, აღქმული სარგებელი და სხვა (Tedeschi & Calhoun, 2004).

კვლევის მიხედვით (Cadell, Regehr, & Hemswoth, 2003), დისტრესის მაღალი

დონის მქონე ინდივიდები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი რელიგიურ პრაქტიკაში და რომლებსაც ძლიერი სოციალური მხარდაჭერა აქვთ ოჯახის/მეგობრების მხრიდან უფრო მეტად ავლენდნენ პოსტტრავმულ ზრდას.

არსებობს განსხვავებული შეხედულებაც პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ, კერძოდ, ვორტმანის (2004) მიხედვით, კოგნიტური გადამუშავების პროცესი არ არის პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელი. ხოლო, რაც შეეხება დისტრესის შესახებ საუბარს და გაზიარებას, გადაჭარბებულია იმის დაშვება, რომ მას აუცილებლად ემპათია და ზრუნვა მოყვება (Wortman, 2004).

1.2. პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრავმის შემდგომი პოზიტიური ცვლილებების შესახებ კვლევა უკანასკნელი წლების ტენდენციას წარმოადგენს და აღნიშნული კვლევები ძირითადად ზრდასრულ ადამიანებს შეეხება (Kilmer et al., 2014a). ხოლო რაც შეეხება ბავშვებსა და მოზარდებს, დღემდე მრავლად შეხვდებით ემპირიულ კვლევებს პოსტტრავმული აშლილობის (Perrin et al., 2000; Leen-Feldner et al., 2010; Yehuda et al., 2001; Dekel & Goldblat.,2008), აკადემიური მოსწრების სირთულეების, ისევე, როგორც ექსტერნალიზებული (აგრესია, გაღიზიანებადობა) და ინტერნალიზებული (დეპრესიული გუნება-განწყობილება და შფოთვა) ქცევითი პრობლემების (Barenbaum et al., 2004; Westerink & Giarratano, 1999; Davidson et al.,2001) შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურა ბავშვებსა და მოზარდებში ტრავმის შემდგომი პოზიტიური ცვლილებების შესწავლის კუთხით დღემდე საკმაოდ მწირია (Kilmer et al., 2014b). ამას ადასტურებს 2011 წელს ჩატარებული სისტემატური მიმოხილვა (Meyerson, Grant, Carter, & Kilmer, 2011a), რომლის მიხედვითაც ბავშვებსა და მოზარდებში პოსტტრავმული ზრდის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურა მხოლოდ 25 ემპირიულ კვლევას მოიცავს. 2011-დან 2014 წლამდე (Kilmer et al., 2014a)

დამატებით გამოქვეყნდა ორი ემპირიული კვლევა (იხ. Glad et al., 2013 და Yanlon et al., 2011). აღნიშნული კვლევების ავტორები ცდილობენ იმის გარკვევას, ერთი მხრივ, არსებობს თუ არა პოსტტრავმული ზრდის ფენომენი ბავშვებსა და მოზარდებში და მეორე მხრივ, რა ცვლადებთან არის ის ასოცირებული.

გარდა ამისა, მკვლევართა ინტერესს წარმოადგენს ბავშვებისა და მოზარდების კვლევის შედეგების შედარება ზრდასრულთა მონაცემებთან, კერძოდ, პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში არის თუ არა კონცეპტუალურად დაკავშირებული ისეთივე ცვლადებთან, როგორსაც ზრდასრულებთან ვხვდებით, ესენია, გარემოს მახასიათებლები, დისტრესი, სოციალური პროცესები, ფსიქოლოგიური პროცესები, პოზიტიური შედეგები და დემოგრაფიული მონაცემები (Kilmer et al., 2014a).

თანამედროვე პოსტტრავმული ზრდის მკვლევრები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ფენომენი მჭიდრო კავშირშია ისეთ ტრავმულ გამოცდილებასთან ბავშვებსა და მოზარდებში, როგორიცაა სიმსივნე (იხ. Barakat., et al 2006; Currier et al., 2009; Phipps et al., 2007), ტერორიზმი (იხ. Laufer & Solomon, 2006; Levine et al., 2008; Laufer et al., 2008; Milam, Ritt-Olson, & Unger, 2004), ბუნებრივი კატასტროფა (Cryder et al., 2006; Hafstad et al., 2010; Hafstad et al., 2011; Kilmer et al., 2009; Yu et al., 2010), მშობლის გარდაცვალება და სხვა პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენები (Aldridge & Roesch, 2008; Alisic et al., 2008; Ickovics et al., 2006; Milam et al., 2004; Park et al., 1996; Taku et al., 2011; Vaughn, Roesch, & Aldridge, 2009). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომის გამოცდილების შემდგომ პოსტტრავმული ზრდის შესახებ ბავშვებსა და მოზარდებში მხოლოდ ორი კვლევა არსებობს (იხ. Kimhi et al., 2009a; Kimhi et al., 2009b).

მკვლევრებს შორის დღემდე მიმდინარეობს დებატები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში ადეკვატური კონსტრუქტი, რომელიც შესწავლას იმსახურებს (Joseph, Knibbs, & Hobbs, 2007). არსებობს მოსაზრებაც (Cohen et al, 1998), რომ ბავშვები ზრდასრულებთან შედარებით

ნაკლებად არიან ფსიქიკურად მდგრადები და შესაბამისად მათში ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ ტრავმული მოვლენის შემდეგ პოსტტრავმული ზრდა განიცადონ. ასევე, ბავშვების კოგნიტური შესაძლებლობები ზრდასრულებთან შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ პოსტტრავმული ზრდა არ გამოვლინდეს ბავშვებში (Milam et al., 2005). აღნიშნული დებატები ძირითადად ერთი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ ტრიალებს - ეს არის სქემის ცვლილება.

არგუმენტი მკვლევრებისთვის, რომლებიც სქემის არასრულფასოვან ჩამოყალიბებას ასახელებენ, როგორც ახალგაზრდებში პოსტტრავმული ზრდის გამოვლენის შემაფერხებელ ფაქტორს, გახლავთ ის, რომ პოსტტრავმული ზრდა ზრდასრულებში წარმოადგენს ტრავმული გამოცდილების შედეგად დამსხვრეული სქემის ხელახლა შენებას. ბავშვებს კი მწირი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მათი სქემები ჯერ კიდევ არ არის სრულად ფორმირებული (Janoff-Bulman, 2006). ამიტომ ახალგაზრდებს ნაკლები ალბათობა აქვთ იმისა, რომ მოახდინონ ახალი ინფორმაციის ინტეგრირება მათივე, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ სქემებთან. არ აქვს მნიშვნელობა ეს ახალი ინფორმაცია პოზიტიური შინაარსის მატარებელია თუ ნეგატიურის. პოსტტრავმული ზრდის კვლევაში კი სქემა კონცეპტუალიზირებულია, როგორც „მუშა და სამუშო სტრუქტურები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ჩვენი გამოცდილებისა და შედეგების წინასწარგანჭვრეტისთვის“ (Janoff-Bulman, 2006, p. 83 ციტირებულია Clay, Knibbs, & Joseph, 2009b).

მიუხედავად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებისა, ემპირიული მონაცემები ბავშვებსა და მოზარდებში პოსტტრავმული ზრდის არსებობას ადასტურებენ. მილამის და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევაში (Milam et al, 2004) 435 მოზარდიდან 30 % საშუალო ხარისხის პოზიტიურ ცვლილებას განიცდის სხვადასხვა ნეგატიური ცხოვრებისეული მოვლენების შემდეგ, ამასთან, არ არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა პოსტტრავმული ზრდის ქულებს შორის სხვადასხვა

მოვლენებთან კავშირში. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ასაკი პოსტტრავმული ზრდის მნიშვნელოვანი პრედიქტორია (Milam et al., 2004).

არსებული მონაცემების საფუძველზე, პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში (Tedeschi & Calhoun, 2004) დაკავშირებულია შემდეგ მახასიათებლებთან:

- ტრავმული გამოცდილების ან დანაკარგის შემდეგ სხვების მიმართ ემპათიის განცდის მომატება;
- თანატოლებთან (ასაკის მიხედვით) შედარებით ფსიქოლოგიურად და ემოციურად მომწიფება;
- ფსიქიკური მდგრადობა;
- თანატოლებთან შედარებით ცხოვრების უფრო მეტად დაფასება;
- სხვათა პიროვნული ღირებულებების, განზრახვის და ცხოვრების მნიშვნელობის დაფასება;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების დაფასება;
- პოსტტრავმული ზრდა ბავშვებში არის ტრავმული გამოცდილების შემდეგ დასწავლილი ფენომენი;
- პოსტტრავმული ზრდა ბავშვებთან და მოზარდებთან ვლინდება ისეთ ქცევებსა და აზროვნების პატერნში, რომელიც ტრავმულ გამოცდილებამდე შესაძლებელია არ გამოვლენილიყო (Turner & Cox, 2004)

პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კომპეტენტურობის განცდასთან. ხოლო რაც შეეხება სოციალურ მხარდაჭერას, პოსტტრავმული ზრდის კვლევაში ბავშვებმა და მოზარდებმა სოციალური მხარდაჭერის ათი განსხვავებული წყარო დაასახელეს და თითოეული მათგანი შეაფასეს მათი მოსმენის და ზრუნვის უზრუნველყოფის შესაძლებლობების მიხედვით (Cryder, Kilmer, Tedeschi, & Calhoun, 2006). თუმცა სოციალურ მხარდაჭერასა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ასევე, არ გამოვლინდა კავშირი რუმინაციის**

**მუდმივი ან მრავალჯერადი, სიღრმისეული ფიქრი ერთსა და იმავეზე

პროცესთანაც (Cryder et al., 2006).

1.3 პოსტტრავმულ ზრდასთან დაკავშირებული სხვა მდგომარეობები

პოსტტრავმული ზრდა და ფსიქიკური მდგრადობა (resilience)

პოსტტრავმული ზრდა და ფსიქოლოგიური მდგრადობა (resilience) განსხვავებული კონცეპტებია. თუმცა, ავტორთა ჯგუფი ფსიქიკურ მდგრადობას და პოსტტრავმულ ზრდას ურთიერთშემცვლელი მნიშვნელობით იყენებს (Kilmer et al., 2014b). ფსიქიკური მდგრადობას და პოსტტრავმული ზრდას შორის მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ინდივიდებს მატრავმირებელი გამოცდილების პოზიტიური შედეგები აღენიშნებათ. მნიშვნელოვანია ამ ორი ცნების ერთმანეთისგან განსხვავება (Clay, Knibbs, & Joseph, 2009a). გავრცელებული განმარტების მიხედვით, ფსიქიკური მდგრადობა (resilience) არის დინამიური პროცესი, რომელიც ასახავს ინდივიდის პოზიტიურ ადაპტაციას მძიმე ცხოვრებისეული პირობების მიუხედავად (Bonanno, Galea, Bucciarelli, & Vlahov, 2006). აღნიშნულ პროცესში ჩართულია ადამიანის რწმენები, დამოკიდებულებები, ქცევა და უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ მან შეძლოს ტრავმული გამოცდილების გადალახვა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ან სხვა კლინიკური სიმპტომების გარეშე (Levine, Laufer, Stein, Hamama-Raz, & Solomon, 2009). ხოლო პოსტტრავმული ზრდა წარმოადგენს ტრანსფორმაციულ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ტრავმასთან ბრძოლის შედეგად განიცდის პოზიტიურ ცვლილებებს (Kilmer et al., 2014b). აქედან გამომდინარე, პოსტტრავმული ზრდა სრულებითაც არ უთანაბრდება პოზიტიურ ადაპტაციას. უფრო მეტიც, ინდივიდებს, რომლებიც ავლენენ პოსტტრავმულ ზრდას, ემოციურად კარგად ყოფნის და პოზიტიური ადაპტაციის უფრო ნაკლები მაჩვენებელი აქვთ ფსიქიკური მდგრადობის მქონე ადამიანებთან შედარებით (Kilmer et al., 2014b). გარდა ამისა, პოსტტრავმული ზრდა არ გამორიცხავს დისტრესის თანაარსებობას (Tedeschi et al., 2007) მაშინ, როდესაც ფსიქიკური მდგრადობა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ალტერნატივაა.

პოსტტრავმული ზრდა და სტრესის დაძლევის სტრატეგიები

ცნობილია, რომ სტრესის დაძლევის სტრატეგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესზე (Lazarus & Folkman, 1984). ტედესკის და კალჰოუნის (1995) დაკვირვების და კვლევის მონაცემების მიხედვით, ზრდასრული ადამიანები, ძირითადად ემოციებზე ფოკუსირებული დაძლევის სტრატეგიებით სარგებლობენ, იმისათვის, რომ უშუალოდ ნეგატიური მოვლენის შემდეგ დისტრესი უფრო ასატანი გახდეს მათთვის. ინდივიდებს, ასევე, უარყოფა ან განრიდებითი დაძლევა იცავს დისტრესის ყოვლისმომცველი ნეგატიური გავლენისგან. თუმცა, ტრავმული მოვლენიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, სტრესის დაძლევის სტრატეგიებიდან აქტიური პრობლემის დაძლევის ტრატეგიის არჩევა კავშირშია ხანგრძლივ პოზიტიურ შედეგებთან (Butler et al., 2005).

რაც შეეხება სტრესის დაძლევის სტრატეგიების კავშირს პოსტტრავმულ ზრდასთან, მოზარდებთან ჩატარებული ლონგიტიდური კვლევის მიხედვით, აქტიური დაძლევის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს პრობლემის გადაჭრას და პოზიტიურ კოგნიტიურ რესტრუქტურირებას, დაკავშირებულია პოსტტრავმულ ზრდასთან (Wolchik et al., 2008). აღნიშნულ კვლევაში აქტიური დაძლევა დადებით კავშირში აღმოჩნდა ახალ შესაძლებლობებთან და პიროვნულ სიძლიერესთან. აქტიური დაძლევა (პრობლემის გადაჭრა, რეფლექსია, ტრავმის შესახებ წერა, საზრისის მინიჭება) პოსტტრავმული ზრდის მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა სხვა კვლევაშიც (Schexnaildre, 2011). ავტორები (Wolchik et al., 2008) მიიჩნევენ, რომ აქტიური პრობლემის გადაჭრა ხელს უწყობს ინდივიდებს ახალი შესაძლებლობების მოძებნაში. გარდა ამისა, ხელახალი პოზიტიური ინტერპრეტაცია წარმოადგენს ტრავმის შემდგომი ზრდის აქტიურ მცდელობას.

ტრავმის დეფინიცია, პოსტტრავმული ზრდა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR) მიხედვით მატრავმირებელი მოვლენის ფორმალური განმარტება ორ განსხვავებულ ასპექტს მოიცავს. პირველი აღწერს თავად მატრავმირებელი მოვლენის მახასიათებლებს – აღნიშნული მოვლენა უნდა მოიცავდეს საკუთარი თავის ან სხვების სერიოზული (ფიზიკური) ზიანის ან სიკვდილის საფრთხეს, ხოლო მეორე კი ინდივიდის სუბიექტურ, ემოციურ რეაქციებს მატრავმირებელ მოვლენაზე, კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს ძლიერი შიშის, უსუსურობის განცდას ან შოკს. ამ დეფინიციას თუ დავეყრდნობით, სხვადასხვა ტიპის მოვლენები შეიძლება ჩაითვალოს ადამიანისთვის მატრავმირებლად. აგრეთვე, ერთიდაიგივე მოვლენა ერთი ინდივიდისთვის შეიძლება მატრავმირებელი აღმოჩნდეს მაშინ, როდესაც მეორესთვის არ აქვს ამგვარი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ადამიანთა უმრავლესობა სულ ცოტა ერთ მატრავმირებელ მოვლენას მაინც განიცდის ცხოვრებაში (APA, 2000)

მატრავმირებელი მოვლენის გავლენა ფსიქიკაზე შესაძლოა დრამატული და ხანგრძლივი იყოს. გამოყოფენ ტრავმის შედეგად აღმოცენებული გავრცელებული რეაქციების ნაკრებს. ადამიანებს ტრავმული მოვლენის გადატანის შემდეგ აღნიშნული რეაქციებიდან ერთი ან რამოდენიმე სიმპტომი უვლინდებათ. სიმპტომები შეიძლება დაკავშირებული შემდეგ სიმპტომებთან: (1) შიშის და შფოთვის განცდა, მაგალითად, როგორცაა ტრავმული მოვლენის გამეორების შიში. იგი ძლიერდება ტრავმასთან დაკავშირებული ადამიანებთან ან ფიზიკურ გარემოსთან შეხებისას (2) ტრავმის ხელახალი განცდა - “ფლემშეკვები”, ტრავმასთან დაკავშირებული არასასურველი ფიქრები, გონებრივი ხატები ან კომმარული სიზმრები (3) მომატებული აგზნება, რაც გამოიხატება ხშირ გაღიზიანებადობაში, ყურადღების კონცენტრირების სირთულეში, მოუსვენრობასა და ძილის სირთულეში (4) ტრავმასთან დაკავშირებული აზრების, ემოციების,

სიტუაციების და აქტივობების თავიდან არიდება (5) ემოციების განცდის და გამოხატვის სირთულე, ემოციური სიცარიელის შეგრძნება და გაუცხოება გარშემომყოფი ადამიანებისგან (6) დანაშაულის და სირცხვილის განცდა (7) ყოველდღიური საქმიანობისადმი ინტერესის დაკარგვა და გუნება-განწყობილების დაქვეითება (8) საკუთარი თავის, სხვების და სამყაროს განსხვავებულად აღქმა. ადამიანებისთვის სამყარო აღარ წარმოადგენს უსაფრთხო ადგილს, სხვები ნეგატიურად და ნაკლებად სანდოდ აღიქმებიან, ხოლო საკუთარ თავს მიიჩნევენ, როგორც ცუდს და არაკომპეტენტურს (9) ალკოჰოლის და სხვა მავნე ნივთიერებების მოხმარება (10) მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან გაუცხოების განცდა, ინტიმური ურთიერთობის სირთულე (Riggs, 2004)

ადამიანები განსხვავდებიან სტრესზე რეაგირების ფორმებით, რაც მნიშვნელოვან კავშირშია მათ მიერ სტრესული მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან. გარდა ამისა, ინდივიდებს გარკვეული დაავადებებისადმი მოწყვლადობის ხარისხიც განსხვავებული აქვთ. გენეტიკური მიდრეკილებები ბუნებრივია, ზრდიან გარკვეული აშლილობების აღმოცენების რისკს. ამასთან ერთად, განვითარების პროცესები და ცხოვრებისეული გამოცდილება განაპირობებს სტრესზე რეაგირების და სტრესის ხანგრძლივი ნეგატიური შედეგების შენარჩუნების პატერნს. სხვა შესაბამის ფაქტორს წარმოადგენს ინდივიდუალური ფსიქოფიზიოლოგიური რეაქციების სპეციფიკურობა. მსგავსი სხვაობები შესაძლოა მიანიშნებდეს გარკვეულ ბიოლოგიურ სისტემაში განსაკუთრებული მოწყვლადობის არსებობაზე ან წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობაზე (Aldwin & Yancura, 2004).

სტრესული რეაქციების საზიანო შედეგების ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფონური ფაქტორებიც, როგორცაა კვებასთან დაკავშირებული მდგომარეობა, ფიზიკური ჯანმრთელობა, ასაკი, სქესი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (Aldwin & Yancura, 2004). შესაბამისად, სტრესის

შედეგების წინასაწარმეტყველება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია არა მხოლოდ შესაბამისი საზომებით რეაქციების განსაზღვრაზე ოთხი სფეროს მიხედვით, არამედ ფონური ფაქტორების გაგებაზე, რომლებიც ადამიანს მიდრეკილს ხდიან ცუდი ადაპტაციისკენ ან პირიქით, აძლიერებენ ფსიქიკური ძალების აღდგენის უნარს (Aldwin & Yancura, 2004)

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD)

ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR) მიხედვით პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) აღმოცენდება ისეთი მატრავმირებელი მოვლენის შედეგად, რომელიც მოიცავს (1) საკუთარი თავის ან სხვების სერიოზული დაზიანების ან სიკვდილის საფრთხეს. გარდა ამისა, (2) აღნიშნული მოვლენის დროს სუბიექტი განიცდის ძლიერ შიშს, უსუსურობას ან შოკს. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა მოიცავს სიმპტომების 3 ძირითად ჯგუფს:

B. ტრავმული მოვლენის ხელახლა განცდა

მოიცავს 5 სიმპტომს და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია 1 ან მეტი შემდეგი სიმპტომის არსებობა:

- შემოჭრილი ფიქრები და მოგონებები, რომლებიც მატრავმირებელ მოვლენასთან არის დაკავშირებული და რომელიც განმეორებით ხასიათს ატარებს. ის ადამიანში მძიმე ემოციურ განცდებს იწვევს;
- მატრავმირებელ მოვლენასთან დაკავშირებული სიზმრები, რომლებიც მძიმე ემოციურ განცდებს იწვევს;
- ტრავმული მოვლენის გამეორების უეცარი განცდა, რაც შესაბამის ემოციებს და ქცევას იწვევს.

- ძლიერი ფსიქოლოგიური დისტრესი მატრავმირებელ მოვლენასთან დაკავშირებულ სტიმულებთან შეხებისას;
- ფიზიოლოგიური რეაქციები მატრავმირებელ მოვლენასთან დაკავშირებულ შინაგან და გარეშე სტიმულებზე. მაგ. მძიმე, არარეგულარული სუნთქვა, თავში სიცარიელის შეგრძნება, კიდურების ცახცახი, მოჭერის შეგრძნება, სიმძიმე გულმკერდის არეში, ცივი ოფლი ხელისგულებზე, ფეხისგულებზე.

C. ტრავმასთან დაკავშირებული სტიმულებისგან მუდმივი თავის არიდება და ემოციების გაშეშება, გაყინვა

მოიცავს 7 სიმპტომს და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია 3 ან მეტი შემდეგი სიმპტომის არსებობა:

- ტრავმასთან დაკავშირებული საუბრის, აზრების და გრძნობების თავიდან აცილების მცდელობა;
- ტრავმასთან დაკავშირებული მოგონებების გამომწვევი აქტივობების, გარემოს და ადამიანების თავიდან არიდების მცდელობა;
- ტრავმის მნიშვნელოვანი ასპექტის გახსენების შეუძლებლობა;
- ინტერესის მკვეთრი დაქვეითება იმ აქტივობებისადმი, რომლებიც ტრავმამდე პიროვნებისთვის მნიშვნელოვანი იყო;
- სხვებისგან გაუცხოვების გრძნობა;
- აფექტის შეზღუდული სპექტრი, ემოციების განცდის სირთულე ან შეუძლებლობა
- უიმედობის განცდა და მომევის ნეგატიური ხედვა

D. მომატებული აგზნება

მოიცავს 5 სიმპტომს და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია შემდეგი 2 ან მეტი სიმპტომის არსებობა:

- ძილის სირთულეები: ჩაძინების სირთულე, ადრე გაღვიძება;
- გაღვიძების სირთულეები და ბრაზის შეტევები;
- ყურადღების კონცენტრირების სირთულე;
- საფრთხის მუდმივი განცდა, გაძლიერებული სიფხიზლე, ძლიერი დაძაბულობა;
- შიშის და კრთომის გაძლიერებული რეაქციები

პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოსტიკისთვის ტრავმირებულ ინდივიდს უნდა აღენიშნებოდეს სიმპტომები სამივე ჯგუფიდან. აღნიშნული სიმპტომები უნდა გრძელდებოდეს 1 თვეზე მეტ ხანს. თუ სიმპტომები 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მდგომარეობა ქრონიკულად ითვლება. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა იწვევს მძიმე ემოციურ მდგომარეობას და დარღვევებს სოციალურ, პროფესიულ და სხვა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სფეროებში. დაავადება იწყება ტრავმული მოვლენიდან გარკვეული პერიოდის (ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე) პერიოდის გასვლის შემდეგ, რასაც ლატენტურ პერიოდს უწოდებენ. უმეტეს შემთხვევებში, იწყება ტრავმიდან დაახლოებით ერთ თვეში. არსებობს აშლილობა გადავადებული დასაწყისითაც, რომელიც ტრავმული მოვლენიდან 6 თვის შემდეგ ვლინდება. აშლილობას ახასიათებს ტალღისებური მიმდინარეობა და უმეტეს შემთხვევებში მოსალოდნელია გამოჯანმრთელება (APA, 2000)

პოსტტრავმულ ზრდა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

პოსტტრავმული ზრდა პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობასთან ერთმნიშვნელოვან კავშირში არ არის. კვლევები ამ მიმართულებით, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ და სტატისტიკურად არასანდო კავშირებს ავლენენ (Schexnaildre, 2011; Shakespeare-Finch & Lurie-Beck, 2014). მაგალითად, სიმსივნის

დიაგნოზის მქონე ახალგაზრდა ადამიანებთან პოსტტრავმული ზრდა პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობასთან დადებით კორელაციაში აღმოჩნდა. უფრო მეტიც, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა პრედიქტორული ღირებულების მქონე იყო პოსტტრავმული ზრდისათვის სხვა ისეთი ცვლადების გაკონტროლების პირობებში, როგორცაა პაციენტის დიაგნოსტიკის ასაკი, ცხოვრებისეული საფრთხეები და მკურნალობის ინტენსივობა (Barakat et al., 2006). 2004 წელს ჩატარებულ კვლევაში (Salter et al) ძლიერი კავშირი პოსტტრავმულ ზრდას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის არ გამოვლინდა. კერძოდ, ავტოკატასტროფის შემდეგ ბავშვების გარკვეული რაოდენობა ავლენდა პოსტტრავმული ზრდის ხარისხს, მიუხედავად იმისა, მათ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები ქონდათ თუ არა.

პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის სიმძლიერეზე და ხარისხზე გავლენას ახდენს ტრავმის სიმწვავე, ტრავმული მოვლენის შემდეგ გასული დრო, ასაკი და შეფასების მეთოდი (Zoellner & Maecker, 2006; Shakespeare-Finch & Lurie-Beck, 2014). კვლევის მიხედვით (Levine et al., 2008) პოსტტრავმული სტრესის მწვავე და საშუალო ხარისხის სიმპტომები პოსტტრავმული ზრდის დაბალ მაჩვენებელთან არის კავშირში, ხოლო პოსტტრავმული სტრესული აშლილობის საშუალო დონე წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებლის პრედიქტორს.

რაც შეეხება პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელ მეთოდებს, აღმოჩნდა, რომ კვლევები, სადაც გამოიყენება თვითადმინისტრირებადი ინსტრუმენტები (PTGI - Tedeschi & Calhoun, 1996; SRGS-Park et al., 1996) ვერ ადგენენ კავშირს ან ადგენენ მხოლოდ პოზიტიური კავშირს პოსტტრავმულ ზრდას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის. მაშინ, როდესაც ინტერვიუს მეთოდის გამოყენების შედეგად ნეგატიური კორელაცია ვლინდება პოსტტრავმულ ზრდას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის (Zoellner and Maecker, 2006).

საბოლოოდ, აღნიშნული შედეგები შესაბამისობაშია პოსტტრავმული ზრდის თეორიულ მოდელთან, რომლის მიხედვითაც დისტრესი პოსტტრავმული ზრდის პროცესის ხელშემწყობი და შემანარჩუნებელი ფუნქციის მატარებელია (Tedeschi et al., 2007).

თავი 2 ოჯახის ფუნქციონირება

2.1 ოჯახის თეორიები

ოჯახის სისტემების თეორია

ოჯახის სისტემების თეორია სისტემების ზოგად თეორიას ეფუძნება. თეორიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ოჯახის სისტემის, როგორც მთელის განხილვა და არა ოჯახის ცალკეული წევრების ინდივიდუალური ხედვა. აღნიშნული თეორიის მიხედვით ოჯახი მუდმივად განვითარებადი, ღია სისტემაა, სადაც განვითარების პროცესში ოჯახის სტრუქტურა და წყობა გავლენას ახდენს ოჯახის ცალკეულ წევრებზე. სისტემების თეორია ოჯახს მოიაზრებს ფართე სისტემის ნაწილად, როგორცაა საზოგადოება, სკოლა, სახელმწიფო ან ოჯახის ქვე-სისტემა (მაგ. მშობელი-ბავშვის ურთიერთობა). აღნიშნული თეორიის თანახმად, ოჯახი, როგორც სისტემა ერთი მხრივ, ინარჩუნებს არსებულ კავშირებს და მეორე მხრივ, მუდმივი განვითარების საშუალებით ფუნქციონირების უფრო მაღალ დონეზე გადასვლისაკენ ისწრაფის (Neabel, Fothergill-Bourbonnais, & Dunning, 2000; ფირცხალავა, 2008).

ოჯახის სისტემების თეორიის მიხედვით, ოჯახის სისტემას გააჩნია გარკვეული თვისებები, კერძოდ, (1) ოჯახის სისტემა, როგორც მთელი, უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი (2) ზეგავლენა სისტემაზე, გულისხმობს ზეგავლენას ამ სისტემის შემადგენელ ელემენტებზეც (3) სისტემის ერთი ნაწილის ცვლილება აისახება სხვა ნაწილების და მთლიანი სისტემის ცვლილებაზე. ოჯახი, როგორც ერთი მთლიანობა, თავის მხრივ, მოიცავს ქვესისტემებს (მეუღლე, მშობელი, შვილი), რომელიც წარმოადგენს ოჯახის ფუნქციების შესრულების მექანიზმს. ოჯახის და მისი ქვესისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას ოჯახში არსებული წესები განაპირობებს, რომელიც თავისმხრივ, იყოფა აღიარებულ და გაუცნობიერებელ წესებად. წესების შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ოჯახის სისტემამ

ჰომეოსტაზის კანონის შესაბამისად იმოქმედოს. წესების დარღვევამ შესაძლოა ოჯახის სისტემის დისფუნქცია გამოიწვიოს (Minuchin, 1974 ციტირებულია ფირცხავალა, 2008).

ოჯახის სისტემების თეორია ოჯახის ფსიქოთერაპიის პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენს. თეორიის ავტორები განასხვავებენ ფუნქციური და დისფუნქციური ოჯახების მახასიათებლებს, რაც შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვის საშუალებას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის სისტემების თეორია ფსიქოლოგიურ პრობლემებზეა ორიენტირებული (Neabel et al., 2000). უფრო მეტიც, ავტორებმა (Minuchin, Rosman, and Baker, 1978) ოჯახების კლასიფიკაციისას წინა პლანზე წამოწიეს ოჯახის სისტემაში დისფუნქციური ოჯახებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორცაა, ზედმეტად დაცვითი, რიგიდული, კონფლიქტის თავიდან აშრიდებული და კონფლიქტის გადაჭრის უნარის ნაკლებობის მქონე (Holtom-Viesel & Allan, 2014).

ოჯახის სისტემების თეორია, გარდა ფსიქოთერაპიული პრაქტიკისა, ოჯახის კვლევის პროცესშიც დიდ როლს ასრულებს. განსაკუთრებით ეს სხვადასხვა კვლევით მოდელებსა და კვლევითი ინსტრუმენტების შექმნას ეხება (Neabel et al., 2000)

სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორია

სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორია, ისევე, როგორც ოჯახის სისტემების თეორია, ოჯახს სოციალური სისტემის ჩრილში განიხილავს, თუმცა აქცენტს ოჯახის სტრუქტურასა და მის ფუნქციებზე აკეთებს. პარსონსის მიხედვით (1943, 1949, 1965), ოჯახს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ინსტრუმენტული და ექსპრესიული. ოჯახის ინსტრუმენტული ფუნქცია გადარჩენას უკავშირდება და მასში ძირითადად, მოიაზრება ოჯახის წევრების ფიზიკური საჭიროებების უზრუნველყოფა, როგორცაა საკვები, ტანსაცმელი და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგ. ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების

სოციალიზირება (Neabel et al., 2000). ოჯახის ექსპრესიული ფუნქცია ძირითადად ემოციურ მხარდაჭერას და ფსიქოლოგიური წონასწორობის მდგომარეობის შენარჩუნებას ასახავს (Holman & Burr, 1980).

ოჯახის ფუნქციების შესრულება დამოკიდებულია როლების განაწილებაზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, ინსტრუმენტული ფუნქციის შესრულებაზე მამაკაცია პასუხისმგებელი, მაშინ, როცა ქალი ემოციური მხარდაჭერის მხრივ წარმოადგენს საყრდენს და, შესაბამისად, ექსპრესიული ლიდერის როლს ასრულებს (Holman & Burr, 1980; ფირცხალავა, 2008). პარსონსის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურმა თეორიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ოჯახის კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებასა და საკვლევი ინსტრუმენტების შექმნაზე (Sabatelli & Bartle, 1995)

2.2 ოჯახის ფუნქციონირების მოდელები

მაკმასტერის ოჯახის ფუნქციონირების მოდელი

ოჯახის ფუნქციონირება კომპლექსური ფენომენია და მისი განსაზღვრება განსხვავდება შერჩეული ოჯახის კვლევის მოდელის და საკვლევი ინსტრუმენტის მიხედვით (Sabatelli & Bartle, 1995)

მაკმასტერის ოჯახის ფუნქციონირების მოდელი (Epstein, Baldwin, & Bishop, 1983) ოჯახის მრავალმხრივი შეფასების მოდელია. მოდელის თეორიულ საფუძვლებს ოჯახის სისტემების და სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორიები წარმოადგენს. მოდელი ემპირიული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა (Westley and Epstein, 1969 ციტირებულია Miller, 2000), რომლის მიხედვითაც ოჯახის ფუნქციონირება უფრო მეტად ოჯახის სისტემის ტრანსაქციულ და სისტემურ თვისებებს უკავშირდებოდა, ვიდრე ცალკეული ოჯახის წევრების ინტრაფსიქიკურ მახასიათებლებს.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი ინსტრუმენტი (FAD), რომელიც აფასებს ოჯახის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის სხვადასხვა განზომილებებს და ეყრდნობა პირდაპირ ოჯახის წევრებისგან მიღებულ ინფორმაციას. მაკმასტერის მოდელი მოიცავს: (1) ოჯახის ფუნქციონირების სხვადასხვა განზომილებების თეორიას (2) კონსტრუქტის შეფასების ინსტრუმენტს და (3) ოჯახთან მუშაობის კარგად განსაზღვრულ მეთოდს (Miller, 2000). მაკმასტერის ოჯახის ფუნქციონირების მოდელი ოცდაათი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა-პრობლემების აღმოჩენის შედეგად ხდებოდა მოდელის ხელახალი ფორმულირება. მოდელის განვითარება კლინიკური სამუშაოს შედეგად მიღებული მონაცემების და თეორიული ცნებების კონცეპტუალიზაციას და შემოწმებას, კვლევას და სწავლებას ეყრდნობა (Kabacoff, Miller, Bishop, Epstein, & Keitner, 1990).

როგორც აღვნიშნეთ, მაკმასტერს ოჯახის ფუნქციონირების მოდელის საფუძველი ოჯახის სისტემის თეორიაა. მაკმასტერის მოდელი იზიარებს ოჯახის სისტემის თეორიის შემდეგ ბაზისურ დაშვებებს:

1. ოჯახის ყველა ნაწილი ურთიერთდაკავშირებულია;
2. ოჯახის ერთი ნაწილი ოჯახის სისტემის დანარჩენი ნაწილებისგან განცალკევებულად არ განიხილება;
3. ოჯახის ფუნქციონირების სრულად შესწავლა შეუძლებელია ოჯახის ცალკეული წევრების ან ქვეჯგუფების შესწავლით;
4. ოჯახის სტრუქტურა და წყობა ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ ოჯახის წევრების ქცევას;
5. ოჯახის სისტემის ტრანსაქციული პატერნები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ოჯახის წევრების ქცევას;

მაკმასტერის მოდელი აღწერს ოჯახის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მახასიათებლებს და ოჯახის წევრებს შორის ტრანსაქციის პატერნებს. აღნიშნული პატერნების განსხვავება ჯანსაღი და არაჯანსაღი ოჯახის ფუნქციონირების პატერნების დიფერენცირების საშუალებას იძლევა (Kabacoff et al., 1990).

ოჯახის სტრუქტურული, ორგანიზაციული და ტრანსაქციული პატერნების შესასწავლად მოდელი ოჯახის ცხოვრების ექვსი განზომილების ფორმულირებას და შეფასებას გვთავაზობს. ესენია, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, როლები, აფექტური რეაგირება, აფექტური ჩართულობა და ქცევის კონტროლი. მაკმასტერის მოდელი ყურადღებას არ ამახვილებს რომელიმე კონკრეტულ განზომილებაზე ოჯახის ქცევის კონცეპტუალიზაციისათვის. მოდელის ავტორები (Epstein et al., 1983) მიიჩნევენ, რომ ისეთი კომპლექსური ერთეულის შესაფასებლად, როგორც ოჯახია, საჭიროა რაც შეიძლება ბევრი განზომილების შესწავლა. თუმცა, განზომილებები არ უნდა ასახავდეს ოჯახის ფუნქციონირების ყველა ასპექტის უსასრულო ჩამონათვალს. ოჯახის ფუნქციონირების განზომილებები ემპირიული კვლევის და კლინიკური პრაქტიკისთვის ღირებულებას უნდა მოიცავდეს. მაკმასტერის მოდელის ავტორები მიიჩნევენ, რომ მათ ნათლად აქვთ განსაზღვრული ოჯახის ფუნქციონირების განზომილებები და აცნობიერებენ მათ შორის შესაძლო ურთიერთგადაფარვის შესაძლებლობას (Wenninger et al, 1993).

პრობლემის გადაჭრა, ოჯახის ფუნქციონირების პირველი განზომილებაა და გულისხმობს ოჯახის უნარს გადაჭრას ისეთი პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ოჯახის ინტეგრაციას და მის ფუნქციონალურ კომპეტენციას. პრობლემის გადაჭრის შვიდი საფეხურის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი (Epstein et al., 1983).

მეორე განზომილება კომუნიკაციაა, რომელიც განისაზღვრება ოჯახის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხით. მნიშვნელობა ენიჭება ვერბალური მესიჯების შინაარსის სიცხადეს და პირდაპირობას - რამდენად ხდება ინფორმაციის პირდაპირ მიწოდება ადრესატისთვის (Epstein et al., 1983).

მესამე განზომილება როლებს ეხება. მაკმასტერის მოდელი ამ შემთხვევაში აფასებს, რამდენად არსებობს ოჯახში ქცევის პატერნები ოჯახის ფუნქციების აღსრულებისთვის. ოჯახის ფუნქციები ეხება სურსათის მომარაგებას, მოვლას, ზრუნვას და მხარდაჭერას, პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, ოჯახის სისტემის შერჩუნებას და მართვას, პარტნიორების სექსუალური კმაყოფილების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, როლების შეფასებისას ხდება იმის გათვალისწინება, თუ რამდენად ზუსტად/ცხადად არის განაწილებული როლები ოჯახის წევრებს შორის, და რამდენად პასუხისმგებლობით სრულდება იგი ოჯახის წევრების მიერ (Epstein et al., 1983).

მეოთხე განზომილება, აფექტური რეაგირება, ეხება ოჯახის წევრების მიერ ემოციების განცდის და გამოხატვის უნარს კონტექსტის შესაბამისად. ოჯახის წევრებს შესაბამისი ემოციების გამოხატვა უნდა შეეძლოთ როგორც კეთილდღეობის, ასევე, საგანგებო სიტუაციების დროს (Epstein et al., 1983).

მეხუთე განზომილება, აფექტური ჩართულობა აფასებს ოჯახის წევრების მიერ ერთმანეთის მიმართ ინტერესის გამოხატვის უნარს, ერთმანეთის საქმიანობის დაფასებას და წუხილის გაზიარებას. ავტორების (Epstein et al., 1983) დაკვირვებით, ყველაზე ჯანსაღი ოჯახებიც კი ჩართულობის საშუალო დონით გამოირჩევიან.

მეექვსე განზომილება, ქცევის კონტროლი, ოჯახის მიერ დაწესებული ქცევის სტანდარტების შენარჩუნებას ეხება. განზომილება აფასებს იმას, თუ სხვადასხვა სიტუაციებში (საშიში, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ხასიათის) ქცევა კონტროლის რა პატერნით არის გამოხატული (მოქნილი, რიგიდული, ქაოტური, ჩაურთველი)(Epstein et al., 1983)

მეშვიდე განზომილება, ზოგადი ფუნქციონირება, აფასებს ოჯახის მთლიან სურათს (ჯანმრთელობა/პათოლოგია) (Epstein et al., 1983)

ოჯახის ფუნქციონირების პროცესის მოდელი

ოჯახის ფუნქციონირების პროცესის მოდელი (Steinhauer, Santa-Barbara, & Skinner, 1984 ციტირებულია Hughes & Gullone, 2008) მაკმასტერის მოდელისგან იმით განსხვავდება, რომ აქცენტს აკეთებს ოჯახის ფუნქციონირების განზომილებებს შორის ინტერაქციაზე. აღნიშნული მოდელი უფრო ოჯახის პროცესს ეხება, ვიდრე ოჯახის სტრუქტურას.

ოჯახის ფუნქციონირების პროცესის მოდელი აღწერს შვიდ ძირითად განზომილებას, ესენია, ამოცანის შესრულება, როლების შესრულება, კომუნიკაცია, აფექტური ექსორესია, აფექტური ჩართულობა, კონტროლი, ღირებულებები და ნორმები.

აღნიშნული განზომილებები ფასდება ოჯახის შეფასების ინსტრუმენტის საშუალებით (Family Assessment Measure (Skinner, Santa-Barbara, & Steinhauer, 1983)

ქორწინების და ოჯახის სისტემების წრიული მოდელი

ქორწინების და ოჯახის სისტემების წრიული მოდელის საფუძველს ზოგადი სისტემების თეორია წარმოადგენს. აღნიშნული მოდელი წარმოადგენს ოჯახის დინამიურ ხედვას, რომლის მიხედვითაც ოჯახი დროის განმავლობაში განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესაბამისად ადაპტირდება. მოდელი ყურადღებას ამახვილებს ოჯახის წევრების და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესწავლაზე, რადგან განვითარების პროცესს სწორედ აღნიშნული ინტერაქციის ჭრილში მოიაზრებს.

ქორწინების და ოჯახის სისტემების წრიული მოდელის საფუძველზე შეიქმნა ინსტრუმენტი - ოჯახის ადაპტურობის და მთლიანობის შეფასების სკალა (Family Adaptability and Cohesion Evaluation - FACES III)(Neabel et al., 2000)

ოჯახის შეგუების და ადაპტაციის მოდელი

ოჯახის შეგუების და ადაპტაციის მოდელი ეფუძნება ოჯახის სტრესის თეორიას (1949), რომლის მიხედვითაც ოჯახი კრიზისის დროს განიცდის დეზორგანიზაციის დაღმავალ პროცესს, შემდეგ გამოჯანმრთელების აღმავალ პროცესს და საბოლოოდ აღწევს ორგანიზაციის ახალ საფეხურს. ოჯახის შეგუების და ადაპტაციის (ABCX) მოდელი განასხვავებს კრიზისის შემდგომ ფაქტორებს, რომლებიც ოჯახის ადაპტაციას უწყობენ ხელს.

აღნიშნული მოდელის მიხედვით შეიქმნა ინსტრუმენტი - ოჯახის კრიზისზე ორიენტირებული პიროვნული შეფასების სკალა (Family Crisis Oriented Personal Evaluation Scales (F-COPES). აღნიშნული სკალა შეისწავლის ოჯახის სტრესორებთან ადაპტაციას, რაც უკავშირდება ოჯახის წევრების მიერ სტრესული მოვლენის აღქმას, სხვადასხვა რესურსების გამოყენებას და ოჯახის სიძიერეს (Neabel et al., 2000).

2.3. ოჯახის ფუნქციონირების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება

ტედესკის და კალჰუნის (2004) მიხედვით სოციალური მხარდაჭერა კრიზისის შემდგომი პოსტტრავმული ზრდის პირდაპირი პრედიქტორია. მხარდაჭერის ძიება, გამოცდილების გაზიარება ინდივიდებს ეხმარება ტრავმის დადებითი ასპექტების აღმოჩენაში. ასევე, მნიშვნელოვანია, მსგავსი ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდების მიერ გამოცდილების გაზიარება. ავტორების მიხედვით, საერთო/მსგავსი ტრავმული გამოცდილება ხელს უწყობს ადამიანებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას და გამოცდილების გაზიარებას (Tedeschi & Calhoun, 2004).

მოზარდებზე ჩატარებული კვლევის (Wolchik and colleagues, 2008) მიხედვით, მშობლების მხრიდან მხარდაჭერა პოსტტრავმული ზრდის, სხვებთან ურთიერთობის, ახალი შესაძლებლობების და პიროვნული ზრდის სკალასთან აღმოჩნდა მნიშვნელოვან კავშირში. ხოლო სხვა ზრდასრული ადამიანების მხრიდან

მხარდაჭერა ასოცირებული იყო სხვებთან ურთიერთობის და ახალი შესაძლებლობების სკალასთან. კვლევამ განსხვავებული, სტატისტიკურად არასანდო კავშირი გამოავლინა თანატოლების და და-ძმის მხრიდან მხარდაჭერას და პოსტტრავმული ზრდას შორის. ავტორებმა აღნიშნული შედეგი ახსნეს იმით, რომ აღნიშნულ კვლევაში, მოზარდები, რომლებიც მშობლის გარდაცვალების გამო განიცდიდნენ დისტრესს, მხარდაჭერას ეძებდნენ მხოლოდ მშობლის ან სხვა ზრდასრული ადამიანების მხრიდან.

ტედესკის და კალჰოუნის (1995) პოსტტრავმული ზრდის მოდელი რელევანტურია როგორც ინდივიდებისთვის, ისე ოჯახის და საზოგადოების რგოლისთვის. თუმცა თავდაპირველი მოდელი ოჯახს განიხილავს, როგორც ინდივიდის პოსტტრავმული ზრდის კონტექსტს და არა, როგორც ერთ-ერთ განმაპირობებელს. გამონაკლისს წარმოადგენს, ჯერ კიდევ 1985 წელს სტინეტის და დეფრანის მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევა ოჯახის, როგორც მთლიანის სისტემაზე, სადაც გამოვლინდა რომ მონაწილე ოჯახების 75% განიცდის ნეგატიური მოვლენის შემდეგ პოზიტიურ ცვლილებას ნაცვლად ფსიქო-პათოლოგიისა (Berger & Weiss, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები აღიარებდნენ იმას, რომ ოჯახები დადებით ცვლილებასაც განიცდიან მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილების შემდეგად, ძალიან მცირე რაოდენობით არსებობს ემპირიული კვლევები, რომლებიც ნათელს მოფენენ ამ მოვლენას (Berger & Weiss, 2009).

თავი 3 - ემოციური ინტელექტი

გავრცელებული განმარტების თანახმად, ემოციური ინტელექტი წარმოადგენს ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვის და რეგულირების უნარს (Mayer & P. Salovey, 1997), თუმცა სხვადასხვა თეორიული მოდელები ემოციური ინტელექტს განსხვავებული კონცეპტუალური და შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით განიხილავენ. კერძოდ, ემოციური ინტელექტი განისაზღვრება, როგორც, პიროვნული ნიშანი (Petrides & Furnham, 2000), როგორც პიროვნების უნარი (Mayer & Salovey., 1997) და როგორც დასწავლილი, შეძენილი კომპეტენცია (Goleman, 1998).

3.1 ემოციური ინტელექტის ამხსნელი მოდელები და საკვლევი ინსტრუმენტები

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელი

ამ მოდელის ავტორები (Petrides & Furnham, 2000) ემოციურ ინტელექტს განიხილავენ, როგორც „ემოციებთან დაკავშირებულ თვით-პერცეპციების ერთობლიობას, რომელიც პიროვნული იერარქიის ქვედა დონეზე მდებარეობს“. კონსტრუქტის ალტერნატიულ სახელწოდებად ავტორები გვთავაზობენ შემდეგ ტერმინს: „ემოციური თვით-ეფექტურობა, როგორც პიროვნული ნიშანი“ (იხ. მარწყვიშვილი, 2010).

ემპირიული კვლევების თანახმად (Petrides et al, 2007), ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი არის ერთი მთლიანი კონსტრუქტი და მას აქვს სტრუქტურა, რომელიც ნაწილობრივ დეტერმინირებულია რამოდენიმე პიროვნული განზომილებით. ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც პიროვნულ სივრცეზე ცალკე მდგომი, იზოლირებული კონსტრუქტი, რომელიც პიროვნული იერარქიის ქვედა დონეზე მდებარეობს. აღნიშნულ დაშვებას მოწმობს ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული დახრილი მიმართება ემოციურ ინტელექტს, როგორც პიროვნულ ნიშანსა და გიგანტური

სამეულის და დიდი ხუთეულის განზომილებებს შორის (Petrides, Pita and Kokkinaki, 2007, იხ. მარწყვიშვილი, 2010).

მოდელის თანახმად, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი, ეხება ქცევით დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას. აღნიშნული კონცეპტუალიზაცია ემოციური ინტელექტის ცნებას მთლიანად აცილებს კოგნიტური უნარების ტაქსონომიის ფარგლებს. შესაბამისად, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი, იზომება არა შესრულებაზე დაფუძნებული ტესტით, არამედ თვით-ანგარიშის ტიპის საზომით (მარწყვიშვილი, 2010).

ემოციური ინტელექტის კვლევას მნიშვნელობა აქვს ინდივიდის ფსიქიკური აშლილობებისადმი მოწყვლადობის პრედიქციისთვის (Petrides, 2009), პიროვნების დიაგნოსტიკისა და შეფასებისთვის.

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის კონცეპტი მოიცავს 4 ძირითად ფაქტორს და 15 ცალკეულ სფეროს:

(1) კარგად ყოფნა (well-being) - კარგად ყოფნის გენერალიზებული განცდა, ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების განცდა

- ოპტიმიზმი - მომავლის ნათელ ფერებში ხედვა

- თვით-შეფასება - წარმატებულობა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა

- ბედნიერება - ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერება

(2) თვით-კონტროლი - ცდუნებების და სურვილების კონტროლი, გარემოს ზეწოლასა და სტრესთან გამკლავება

- ემოციების რეგულაცია - ემოციების კონტროლი

- იმპულსურობა (დაბალი) - სპონტანურობა და ცდუნებების აყოლა

- სტრესის მართვა - სტრესის მართვა და სტრესთან გამკლავება

(3) ემოციურობა - მრავალფეროვანი ემოციური უნარების ფლობა. საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმა, გამობატვა და ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი

- ემპათია - სხვა ადამიანის განცდების, თვალსაზრისის გათვალისწინება
- ემოციების აღქმა - საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების ცოდნა/გაგება
- ემოციების გამობატვა - ემოციების გამობატვა და „ემოციური“ კომუნიკაცია
- სოც. ურთიერთობები (მჭიდრო) - პირადი, ახლო ურთიერთობები მეგობრებთან ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან

(4) სოციალურობა - სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარი

- ემოციების მართვა - ადამიანთა გრძნობებზე გავლენის მოხდენა
- ასერტულობა - პირდაპირობის, გულწრფელობის და საკუთარი უფლებების, მოსაზრებების და შეხედულებების დაცვა
- სოციალური ცნობიერება - სოციალური ურთიერთობების უნარი

გარდა ამისა, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი მოიცავს ორ სფეროს, რომელიც არ მიეკუთვნება ძირითად ფაქტორებს:

- ადაპტაცია - ახალ გარემო პირობებთან შეგუება და მორგება
- მოტივაცია - არახელსაყრელ გარემო პირობებისა მიუხედავად მიზანმიმართული შრომის უნარი

ბარ-ონის სოციალურ-ემოციური ინტელექტის მოდელი

ბარ-ონის მოდელი აერთიანებს ინდივიდის ემოციურ და სოციალურ კომპეტენციებს, უნარ-ჩვევებს, რომლითაც ის განსაზღვრავს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს,

ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს და უმკლავდება ყოველდღიურ მოთხოვნებს და გამოწვევებს (მარწყვიშვილი, 2010). აღნიშნული უნარები, ჩვევები, ემოციური და სოციალური კომპეტენციები 5 ფაქტორად ერთიანდება, ესენია:

- ინტრაპერსონალური სფერო (თვით-ცნობიერება და თვით-ექსპრესია)
- ინტერპერსონალური სფერო (სოციალური ცნობიერება და ინტერპერსონალური ურთიერთობები)
- სტრესის მართვა (ემოციების რეგულაცია და მართვა)
- ადაპტურობა (ცვლილებების მართვა)
- ზოგადი გუნება-განწყობილება (თვით-მოტივაცია)

თითოეული ფაქტორი მოიცავს სხვადასხვა კომპეტენციებს.

აღნიშნული მოდელი ემოციური ინტელექტის განსაზღვრის დროს არ გულისხმობს კოგნიტური უნარების და შესაძლებლობების გამოყენების აუცილებლობას იმისათვის, რომ ინდივიდი გაუმკლავდეს ყოველდღიურ მოთხოვნებს და გამოწვევებს. ავტორები მოდელში პორივნიული ნიშნის ასპექტებად წარმოგვიდგენენ დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას (მარწყვიშვილი, 2010)

ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნების უნარი

მაიერის და სალოვეის (1997) მოდელის მიხედვით ემოციური ინტელექტი არის პიროვნების უნარი, გადაამუშავოს ემოციური შინაარსის ინფორმაცია. მათი განმარტებით (Mayer & Salovey, 1997), ემოციური ინტელექტი არის „საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციებზე და გრძნობებზე დაკვირვების, ემოციების შემჩნევის, დისკრიმინაციის და აზროვნების და ქცევის მართვის მიზნით ამ ინფორმაციის გამოყენების უნარი“ (იხ. მარწყვიშვილი, 2010). აღნიშნული მოდელი ემოციურ ინტელექტს ანალიტიკური ინტელექტის ფორმად განიხილავს და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ინფორმაციის შინაარსის მიხედვით განსაზღვრავს (ემოციური

ინტელექტის შემთხვევაში აზროვნება ემოციური შინაარსის ინფორმაციით ოპერირებს). ავტორები განასხვავებენ ემოციური უნარების 4 ჯგუფს:

ემოციების აღქმა და გამოხატვა - მოიცავს ემოციების აღქმას - ემოციური სიგნალებისთვის ყურადღების მიქცევას, მათ სწორ კოდირებას და იდენტიფიკაციის უნარს. ემოციების აღქმა გულისხმობს, როგორც ემოციურ თვითცნობიერებაზე ფოკუსირებას, ასევე სხვა ადამიანების ემოციური ინფორმაციის მიმართ მგრძნობიარობას (Mayer, J.D., Caruso, D., & Salovey, P. 2000). ემოციების აღქმა და გამოხატვა მოიცავს შემდეგ ასპექტებს (Mayer & Salovey, 1997): (ა) საკუთარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის თანმხლები ემოციების იდენტიფიკაციის უნარი, (ბ) სხვა ადამიანთა ემოციების იდენტიფიკაციის უნარი, (გ) ემოციების და ემოციებთან დაკავშირებული მოთხოვნილებების სწორად გამოხატვის უნარი, (დ) ნამდვილი და ყალბი გრძნობების ერთმანეთისგან გარჩევის უნარი (იხ. მარწყვიშვილი, 2010)

ემოციების გამოყენება - ემოციების გამოყენების სფერო გულისხმობს ინდივიდის მიერ კოგნიტურ პროცესებზე ემოციების გავლენის მოხდენის უნარს. იმისათვის, რომ ინდივიდმა შეძლოს ემოციების გამოყენება, მას უნდა შესწევდეს ემოციების ადეკვატურად რეგულირების უნარი, რომელიც მას დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვაში, გადაწყვეტილების მიღებასა და სიტუაციის შესაფერისი აფექტური რეაგირების ფორმირებაში. ემოციების გამოყენების სფერო, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) აზროვნების გარკვეული მიმართულებით წარმართვა ემოციების საფუძველზე, (ბ) ემოციების თავმოყრის (გენერირების) უნარი მსჯელობისა და მეხსიერების პროცესზე გავლენის მოსახდენად, (გ) ემოციური მდგომარეობის გამოყენების უნარი აზროვნების პროცესზე გავლენის მოსახდენად და კრეატიული გადაწყვეტილების მისაღებად (მარწყვიშვილი, 2010)

ემოციების გაგება - მოიცავს ერთი მხრივ, ემოციებს შორის მიმართების და მეორე მხრივ, ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეში ტრანსფორმირების წვდომის უნარს. ემოციების გაგების კარგად განვითარებული უნარის მქონე ინდივიდები გამოირჩევიან მრავალფეროვანი ემოციური ლექსიკონით, რაც მათ სხვადასხვა გრძნობების ზედმიწევნით აღწერასა და ემოციებს შორის კომპლექსური ურთიერთმიმართების გაგებაში ეხმარება. ემოციების გაგების სფერო თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) სხვადასხვა ემოციებს შორის მიმართებების, (ბ) ემოციების მიზეზების და შედეგების, (გ) კომპლექსური ემოციური კავშირების, გრძნობების და წინააღმდეგობრივი ემოციური მდგომარეობების და (დ) ემოციების ერთი მდგომარეობიდან მეორეში ტრანსფორმირების გაგების უნარს (მარწყვიშვილი, 2010).

ემოციების მართვა - გულისხმობს ემოციების ეფექტურად მართვას, შენარჩუნებას, კონტექსტის შესაბამისად ემოციების გენერირების უნარს (მაგ. სხვების მოტივირება). ემოციების მართვა ასევე გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დადებითი ემოციების რედუცირების უნარსაც, იმისათვის, რომ ინდივიდმა თავიდან აიცილოს დადებითი ემოციით გამოწვეული არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ემოციების მართვის სფერო, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) როგორც სასიამოვნო, ასევე, უსიამოვნო ემოციების მიმართ ღიაობა, (ბ) ემოციებზე დაკვირვების და საპასუხო რეაქციების განხორციელების უნარი, (გ) ემოციური მდგომარეობიდან გამოცალკევების ან მდგომარეობის გახანგრძლივების უნარი, (დ) საკუთარ ემოციებზე გავლენის მოხდენის უნარი, (ე) სხვის ემოციებზე გავლენის მოხდენის უნარი (მარწყვიშვილი, 2010).

ემოციური ინტელექტი, როგორც დასწავლილი და შეძენილი კომპეტენცია

ემოციური ინტელექტის, როგორც კომპეტენციების მოდელი (Goleman, 1998) მოიაზრებს კომპეტენციების და უნარების სხვადასხვაობას, რომელსაც ინდივიდი მთელი ცხოვრების განმავლობაში დაისწავლის. მოდელის ავტორი ემოციური

ინტელექტის ფორმირებისას კოგნიტური ინტელექტის წვლილს აღიარებს, თუმცა ხაზს უსვამს მათ შორის ნულოვანი კორელაციის არსებობას. ავტორის აზრით, ზოგადი ინტელექტი თანდაყოლილია და განსაზღვრავს ემოციური კომპეტენციების დასწავლის პოტენციალს (მარწყვიშვილი, 2010).

ემოციური ინტელექტის, როგორც კომპეტენციების მოდელი, თავის მხრივ, მოიცავს ოთხ ფაქტორს, ესენია:

- თვით-ცნობიერება – ინდივიდის მიერ საკუთარი ემოციების წაკითხვის და მათი გავლენის გარკვევის უნარი და გამოყენება გადაწყვეტილების მისაღებად.
- თვით-მართვა – მოიცავს ინდივიდის ემოციების და იმპულსების კონტროლს და გარემოს გამოწვევებთან ადაპტაციას.
- სოციალური ცნობიერება – სხვა ადამიანის ემოციების გაგების, განცდის და ამ ემოციებზე რეგირების უნარი, რომელიც გამოიყენება სოციალურ „ქსელში“ ფუნქციონირებისათვის.
- ურთიერთობების მართვა – კონფლიქტის მართვისას სხვა ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნარი.

ემოციური ინტელექტის საკვლევო ინსტრუმენტები

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევო კითხვარი (TEIQue).

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის განმარტება ხაზს უსვამს ქცევით დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას, რომელიც თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარით იზომება, განსხვავებით ემოციური ინტელექტის, როგორც უნარის მოდელისგან, რომლის შესაფასებელი ინსტრუმენტი შესრულებაზე დაფუძნებულ ტესტს წარმოადგენს (ისევე, როგორც ეს კოგნიტური ინტელექტის შემთხვევაშია). შესაბამისად, ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევო კითხვარი წარმოადგენს 153 დებულებიან თვით-ანგარიშის კითხვარს (Petrides, 2009),

რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ემოციური ინტელექტის 15 ცალკეული ასპექტი, 4 ძირითადი ფაქტორი და ემოციური ინტელექტის გლობალური ქულა:

(1) კარგად ყოფნა (Well-being) - კარგად ყოფნის გენერალიზებული განცდა, ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების განცდა. ფაქტორი მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ოპტიმიზმი; (ბ) თვით-შეფასება; (გ) ბედნიერება.

(2) თვით-კონტროლი - ცდუნებების და სურვილების კონტროლი, გარემოს ზეწოლასა და სტრესთან გამკლავება. მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემოციების რეგულაცია (ბ) იმპულსურობა (დაბალი) (გ) სტრესის მართვა.

(3) ემოციურობა - მრავალფეროვანი ემოციური უნარების ფლობა. საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმა, გამოხატვა და ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი, მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემპათია (ბ) ემოციების აღქმა (გ) ემოციების გამოხატვა (დ) სოც. ურთიერთობები (მჭიდრო)

(4) სოციალურობა - სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარი, მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემოციების მართვა (ბ) ასერტულობა (გ) სოციალური ცნობიერება

გარდა ამისა, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი მოიცავს ორ სფეროს, რომელიც არ მიეკუთვნება ძირითად ფაქტორებს: (ა) ადაპტაცია და (ბ) მოტივაცია.

ბარ-ონის ემოციის კოეფიციენტის საკვლევი კითხვარი (EQ-I, EQ-3600, EQ-α YV)

ემოციის კოეფიციენტის საკვლევი ინსტრუმენტი შეიქმნა ბარ-ონის ემოციურ-სოციალური ინტელექტის მოდელის შესაფასებლად (Bar-On, 1997, ციტირებულია მარწყვიშვილი, 2010). არსებობს ინსტრუმენტის სამი სხვადასხვა ფორმა: (1) EQ-I წარმოადგენს თვით-ანგარიშის ტიპის საკვლევ კითხვარს და მოწოდებულია სოციალურ-ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებული კონსტრუქტების გასაზომად ზრდასრულ ინდივიდებში; (2) EQ-3600 არის 3600 ტიპის ინსტრუმენტი, რომლის

საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს ინდივიდის ემოციური უნარები თანამშრომელთა მიერ; (3) EQ-ი: YV წარმოადგენს ემოციური ინტელექტის შესაფასებელ ინსტრუმენტს ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

EQ-I შედგება 133 დებულებისაგან და საშუალებას იძლევა შეფასდეს, როგორც ემოციის საერთო კოეფიციენტი, ასევე 15 ცალკეული სკალის მონაცემი (Bar-On, 2006). მოიცავს შემდეგ სკალებს შესაბამისი ასპექტებით:

(1) ინტრაპერსონალური სფერო (თვით-ცნობიერება და თვით-ექსპრესია): (ა) თვით-პატივისცემა; (ბ) ემოციური თვით-ცნობიერება; (გ) ემოციური დამოუკიდებლობა; (დ) თვით-აქტუალიზაცია.

(2) ინტერპერსონალური სფერო (სოციალური ცნობიერება და ინტერპერსონალური ურთიერთობები): (ა) ემპათია; (ბ) სოციალური პასუხისმგებლობა; (გ) ინტერპერსონალური ურთიერთობები.

(3) სტრესის მართვა (ემოციების რეგულაცია და მართვა): (ა) სტრესის მიმართ ტოლერანტობა; (ბ) იმპულსების კონტროლი.

(4) ადაპტურობა (ცვლილებების მართვა): (ა) რეალობის შემოწმება; (ბ) ფლექსიბილურობა; (გ) პრობლემის გადაჭრა.

(5) ზოგადი გუნება-განწყობილება (თვით-მოტივაცია): (ა) ოპტიმიზმი; (ბ) ბედნიერება.

ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევ კითხვარი (ECI)

ემოციური ინტელექტის, როგორც ემოციური და სოციალური კომპეტენციების მოდელის (Goleman, 1998) საფუძველზე შეიქმნა ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევ კითხვარი (ECI) (Hay Group McClelland Center for Research and Innovation, 2005), რომლის საშუალებით იზომება ინდივიდის ემოციური და

სოციალური კომპეტენციები ორგანიზაციულ გარემოსთან მიმართებაში. კითხვარი არ გამოიყენება პროფ-შერჩევის მიზნით, არამედ გამოიყენება განვითარების მიზნით ორგანიზაციებში ემოციური ინტელექტის ტრენინგების დასაგეგმად.

ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი მოიცავს 18 სკალას, რომელიც ოთხ კლასტერში ერთიანდება:

(1) თვით-ცნობიერება - გულისხმობს შინაგანი მდგომარეობის, პრიორიტეტების, რესურსების, განცდების ცოდნას. ეს კლასტერი მოიცავს სამ კომპეტენციას: (ა) ემოციური ცნობიერება; (ბ) ადეკვატური თვით-შეფასება; (გ) თვით-დარწმუნებულობა.

(2) თვით-მართვა - გულისხმობს შინაგანი მდგომარეობის, იმპულსების და რესურსების მართვას. მოიცავს 6 კომპეტენციას: (ა) ემოციური თვით-კონტროლი; (ბ) ღიაობა; (გ) ადაპტურობა; (დ) მიღწევა; (ე) ინიციატივა; (ვ) ოპტიმიზმი.

(3) ცნობიერება - ურთიერთობების მართვის უნარი და სხვა ადამიანთა მოთხოვნილებების, საჭიროებების, გრძნობების შესახებ ცოდნა. მოიცავს სამ კომპეტენციას: (ა) ემპათია; (ბ) ორგანიზაციული ცნობიერება; (გ) მომხმარებლის საჭიროებების ცოდნა, წინასწარგანჭვრეტა და გათვალისწინება.

(4) ურთიერთობების მართვა - გულისხმობს სხვა ადამიანთა მხრიდან არასასურველი ემოციური რეაქციების მართვის უნარს. ურთიერთობების მართვის კლასტერი მოიცავს 6 კომპეტენციას: (ა) განვითარება; (ბ) ლიდერობა; (გ) ცვლილებების მართვა და წამოწყება; (დ) სხვებზე გავლენის მოხდენის უნარი; (ე) კონფლიქტის მართვა; (ვ) ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა.

მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტი (MSCEIT)

ემოციური ინტელექტის, როგორც უნარის მოდელის საფუძველზე შეიქმნა მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტი (MSCEIT) (Mayer et al,

2003 ციტირებულია მარწყვიშვილი, 2010). ტესტი წარმოადგენს ემოციური უნარების შეფასებაზე დაფუძნებულ ტესტს და ზომავს მაიერის და სალოვეის მიერ გამოყოფილ ემოციური ინტელექტის 4 ძირითად სფეროს. ტესტი მოიცავს 141 დებულებას და იძლევა 15 სხვადასხვა მაჩვენებლის შეფასების საშუალებას: ემოციური ინტელექტის ტოტალური ქულა, ოთხი ძირითადი სფეროს მაჩვენებელი და 8 დავალების ქულა, გარდა ამისა, ტესტი იძლევა სამ დამატებით შეფასებით ქულას ემოციური ინტელექტისათვის (Mayer et al, 2002).

მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის ტესტი (MSCEIT) მოიცავს 4 ძირითად სფეროს: (1) ემოციების აღქმა; (2) ემოციები გამოყენება კოგნიტური პროცესების გასაადვილებლად; (3) ემოციების გაგება; (4) ემოციების მართვა.

3.2. ემოციური ინტელექტის და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება

პოსტტრავმული ზრდა დაკავშირებულია ისეთ პიროვნულ მახასიათებლებთან, როგორცაა ოპტიმიზმი, ექსრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კრეატიულობა, თვით-ეფექტურობა და თვით-შეფასება (Calhoun & Tedeschi, 1998, 2006; Stanton, Bower, & Low, 2006). აღნიშნული დისპოზიციური მახასიათებლები მჭიდრო კავშირშია ინდივიდის მიერ ინფორმაციის გადამუშავების პროცესთან, რაც თავის მხრივ, სხვა ფაქტორებთან ერთად, პოსტტრავმულ ზრდას განსაზღვრავს (Berger & Weiss, 2009).

ემპირიული მონაცემები ემოციური ინტელექტისა და პოსტტრავმული ზრდის კავშირის შესახებ ძალიან მცირეა. თუმცა, არსებული კვლევის (Linley, Felus, Gillett, & Joseph, 2011) მიხედვით, ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ დისტრესსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის არაპირდაპირ კავშირს (მედიაციას) ემოციების ექსპრესიის ხარისხი განაპირობებს. ასევე ემოციური ინტელექტი წარმოადგენს მოდერატორს ემოციების ექსპრესიას და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის განსაზღვრისას. აღსანიშნავია, რომ ემოციური ინტელექტი აღმოჩნდა ემოციების ექსპრესიას და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის მოდერატორი მამაკაცების და

არა ქალების შემთხვევაში. მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ემოციური ინტელექტის მაჩვენებელი არ ახდენს გავლენას მათი ემოციების გამოხატვას და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირზე.

თავი 4. კვლევის საკითხის განსაზღვრა

ლიტერატურის მიმოხილვაში როგორც აღვნიშნეთ პოსტტრავმული ზრდის კვლევა აქტუალური საკითხია თანამედროვე ტრავმის ფსიქოლოგიაში. განსაკუთრებით კი ომის შემდგომი პოზიტიური ცვლილებების და მასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლაა მნიშვნელოვანი როგორც ზრდასრულებთან ისე, მოზარდებთან. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პოსტტრავმულ ზრდას არ არის საკმარისად ნაკვლევი. სოციალური მხარდაჭერა ითვლება პოსტტრავმული ზრდის მნიშვნელოვან პრედიქტორად, თუმცა ოჯახი, როგორც სისტემა რა გავლენას ახდენს ამ კუთხით ნაკლებად არის შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პიროვნული მახასიათებლები მიჩნეულია პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორად, არ არის ნაკვლევი ემოციური ინტელექტის, როგორც ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიციის წვლილი პოსტტრავმული ზრდის განვითარებაში ზრდასრულებთან და მოზარდებთან.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორების კვლევა ოჯახის სისტემაში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ერთი მხრივ, ოჯახის ეფექტურ ფუნქციონირებას და მეორე მხრივ, ცალკეული ინდივიდების ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ დისპოზიციას. კვლევის მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ორი საკვლევი ინსტრუმენტის - ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხვარის (FAD) და პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (PTGI_C), მოზარდების ვერსიის ადაპტირება ქართულ პოპულაციაზე.

წინამდებარე კვლევის კითხვები შემდეგია:

(1) ოჯახის ფუნქციონირების პატერნი და ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიციები განსაზღვრავს თუ არა ინდივიდის პოსტტრავმულ ზრდას და არსებობს თუ არა განსხვავება ამ თვალსაზრისით მოზარდებსა და ზრდასრულებს შორის?

(2) არის თუ არა ოჯახის წევრების ემოციური ინტელექტის მახასიათებლები კავშირში ოჯახის სხვა წევრის პოსტტრავმულ ზრდასთან?

(3) არის თუ არა კავშირში მშობლის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი შვილის პოსტტრავმულ ზრდასთან?

კვლევის მიზნიდან და კვლევის კითხვებიდან გამომდინარე სამუშაო ჰიპოთეზა შემდეგია: თუ ოჯახის ფუნქციონირება, ემოციური ინტელექტი და პოსტტრავმული ზრდა ერთმანეთთან კავშირშია, მაშინ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ინდივიდებს ოჯახური ფუნქციონირების ჯანსაღი პატერნი უნდა ჰქონდეთ, რაც ინდივიდისა და/ან მათი ოჯახის წევრების პოსტტრავმულ ზრდას უნდა უწყობდეს ხელს.

კვლევის კონკრეტული ჰიპოთეზებია:

(1) ჯანსაღი ოჯახური ფუნქციონირებისა და მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ინდივიდებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ

(2) ემოციური ინტელექტის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდთა ოჯახის წევრებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ

(3) პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებლის მქონე მშობლების შვილებს პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეთ

წინამდებარე კვლევის მიზნიდან და შესამოწმებელი ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. პოსტტრავმული ზრდის ინსტრუმენტის (მოზარდების ვერსია) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე, რაც თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ინსტრუმენტის თარგმნა
- თარგმანის გადამოწმება საპირისპირო თარგმანის საშუალებით
- ექსპერტების მიერ შინაარსის ვალიდობის შეფასება
- კითხვარის პილოტაჟი
- კითხვარის რედაქტირება
- კითხვარის რესტანდარტიზაცია
- კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა

2. ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტის ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე, რაც ასევე მოიცავს ზემოთაღნიშნულ საფეხურებს

3. ოჯახის ფუნქციონირების, პოსტტრავმული ზრდისა და ემოციური ინტელექტის მაჩვენებლების განსაზღვრა და ამ სამ ცვლადს შორის ურთიერთმიმართების ბუნების კვლევა.

თავი 5 - კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება:

I ნაწილი - ორი ინსტრუმენტის: ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხვარის (FAD; Epstein et al, 1983) და პოსტტრავმული ზრდის კითხვარი მოზარდებისთვის (PTGI-C; Cryder et al, 2006) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

II ნაწილი - პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის ურთიერთმიმართების კვლევა იძულებით გადაადგილებული პირების მაგალითზე

5.1 ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარის (FAD) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარის ადაპტაციის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. კითხვარის ადაპტაციის პირველ ეტაპზე ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხვარი ინგლისურიდან ითარგმნა და შეიქმნა კითხვარის ქართულენოვანი ვერსია. ადაპტაციის შემდეგი საფეხურები მოიცავდა კითხვარის ადმინისტრირებას, მიღებული შედეგების დამუშავებასა და ანალიზს. განვიხილოთ თითოეული ეტაპი დეტალურად:

(1) პირველ ეტაპზე კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად მომზადდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი. კითხვარი ითარგმნა სფეროს ექსპერტისა და კვალიფიციური თარგმნის მიერ. დამოუკიდებელი თარგმანების შეჯერებისა და თითოეული თარგმნილი დებულების შედარების შედეგად შეიქმნა კითხვარის პირველი ქართული ვერსია.

(2) შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით კითხვარის 53 დებულება შეფასდა 7 ექსპერტის (პრაქტიკოსი და აკადემიურ სფეროში მომუშავე ფსიქოლოგების) მიერ. ექსპერტები 5 ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით აფასებდნენ თუ, რამდენად შეესაბამებოდა კითხვარის ამა თუ იმ

სკალას კითხვარში მოცემული დებულებები. ექსპერტების შეფასების მიხედვით დიდი გაფანტულობის მქონე დებულებები (2,5,6,19,20) განხილვის შედეგად შეიცვალა .

3. პილოტური კვლევის (100 მონაწილე) მონაცემთა განხილვის შედეგად, დამუშავდა და შეიცვალა ის დებულებები (სულ 13 დებულება ესენია: 2,5,6, 9, 13, 16, 20, 22, 23, 34, 38, 45, 49), რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებდა სანდოობის დონეს.

4. მომდევნო ეტაპზე ჩატარდა განმეორებითი პილოტური კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 100 მონაწილე, დამატებით 2 დებულების (25, 32) მინიმალური მოდიფიცირების შედეგად შემუშავდა კითხვარის საბოლოო ვერსია

5. კითხვარის საბოლოო ვერსიის რედაქტირება მოხდა ქართული ენის ფილოლოგის მიერ

კვლევის მონაწილეები

კითხვარის რესტანდარტიზაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო 554-მა ინდივიდმა. შერჩევის აღწერა:

- ✓ კვლევის მონაწილეთა სქესი - კვლევაში მონაწილეობდა 262 (47.3 %) მამრობითი და 292 (52.7%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი;
- ✓ ასაკი* - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 12- დან 67 წლამდე (M=31.37 St=12.21)
- ✓ განათლება- მონაწილეთა 40% -ს სტუდენტები წარმოადგენდნენ, 14%-ს სკოლის მოსწავლეები, 18 % - უმაღლესი განათლების მქონე პირები, 23% საშუალო განათლების მქონე პირები, არასრული საშუალო განათლების მქონე პირები - 5 %
- ✓ ოჯახური მდგომარეობა - მონაწილეთა 48.9% დაოჯახებულია, 48.7%- დასაოჯახებელი, 0.2%-ს ყავს პარტნიორი, 1.6% - განქორწინებული, 05%- ქვრივი

- ✓ საცხოვრებელი ადგილი - მონაწილეთა 57% არის დიდი ქალაქის მაცხოვრებელი, ხოლო 43% შიდა ქართლის რაიონის 5 სხვადასხვა სოფლის მაცხოვრებლები

კვლევის პროცედურა

კითხვარის საბოლოო ვერსიის მიღების შემდეგ კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 554-მა მონაწილემ. კითხვარის ადმინისტრირება ხდებოდა ჯგუფში და ინდივიდუალურად. კითხვარის ადმინისტრირებისას კვლევის მონაწილეები კითხვარის პასუხების ფურცელს ავსებდნენ სტანდარტული ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ. ზეპირი ინსტრუქცია მოიცავდა კვლევის მიზანს, კითხვარის შესახებ ინფორმაციას და მითითებებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. კითხვარის შევსების ინსტრუქცია, ასევე, მოცემული იყო კითხვარის დასაწყისშიც.

კვლევის ინსტრუმენტი

თეორიული მოდელი. ინსტრუმენტი ეფუძნება მაკმასტერის ოჯახის ფუნქციონირების მოდელს და აღწერს ოჯახის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მახასიათებლებს, ისევე როგორც ოჯახის წევრებს შორის ტრანსაქციის პატერნებს. კითხვარი შეიქმნა 1983 წელს ეპსტეინის, ბალდვინისა და ბიშოპის მიერ.

კვლევის ინსტრუმენტი. ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარი (FAD; Epstein et al., 1983) წარმოადგენს თვით ადმინისტრირებად საზომს, რომელიც შედგება 7 სკალისგან და აფასებს ოჯახის ფუნქციონირების შემდეგ განზომილებებს:

1. პრობლემის გადაჭრა - აფასებს ოჯახის უნარს გადაჭრან პრობლემები ისე, რომ შეინარჩუნონ ოჯახის ეფექტური ფუნქციონირება. ოჯახურ პრობლემაში იგულისხმება საკითხი, რომლის გადაჭრაც ოჯახს უჭირს. ეს ოჯახური პრობლემა შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ოჯახის ერთიანობას და მის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს. აქ არ იგულისხმება ყველა სახის „პრობლემა“, ვინაიდან არსებობს

გადაუჭრელი სირთულეები/პრობლემები, რომლებთანაც ოჯახებს გამუდმებით უხდებათ ჭიდილი, თუმცა ეს პრობლემები რეალურად საფრთხეს არ უქმნიან ოჯახის ერთიანობას, მთლიანობას და/ან ფუნქციონირებას.

კონცეპტუალურად პრობლემები დაყოფილია ინსტრუმენტალურ და აფექტურ ჯგუფებად. ინსტრუმენტალური პრობლემები წარმოადგენენ ყოველდღიური ცხოვრების „მექანიკურ“/ყოფით პრობლემებს, მაგალითად, როგორცაა ფულთან დაკავშირებული საკითხები ან საცხოვრებელი ადგილის შერჩევის გადაწყვეტილების მიღება. აფექტური პრობლემები დაკავშირებულია გრძნობებთან და ემოციურ განცდებთან/გამოცდილებებთან.

2. კომუნიკაცია - კომუნიკაცია განისაზღვრება, როგორც ოჯახის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის სტილი. აქცენტი კეთდება ვერბალურ კომუნიკაციაზე. ოჯახური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ისინი აქ არ მოიაზრება, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული არასწორი ინტერპრეტირების საფრთხე და მეთოდოლოგიური სირთულეები.

აღნიშნული სკალა აფასებს კომუნიკაციის ორ დამოუკიდებელ ასპექტს: (ა)რამდენად ნათელი/გასაგებია კომუნიკაცია (თუ ის შენიღბული/ორაზროვანი ან ბუნდოვანია) ეს ასპექტი აქცენტს აკეთებს მიწოდებული ინფორმაციის შინაარსის სიცხადეზე და (ბ) რამდენად პირდაპირი ან არაპირდაპირია კომუნიკაცია? ეს ასპექტი ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად პირდაპირ ხდება ინფორმაციის გადაცემა პიროვნებისადმი. კომუნიკაციის სკალა ასევე იყოფა ინსტრუმენტალურ და აფექტურ ჯგუფებად. ისევე, როგორც პრობლემის გადაჭრის სკალაზე, აქაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ ორი ჯგუფის ნაწილობრივ ურთიერთგადაფარვას. ზოგიერთ ოჯახს უჭირს აფექტური კომუნიკაცია მაშინ, როცა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს ინსტრუმენტალური კომუნიკაციის დონეზე.

3. როლები - ოჯახური როლები განისაზღვრება, როგორც ოჯახის წევრების განმეორებითი ქცევითი პატერნები, რომელიც საჭიროა ოჯახური ფუნქციების შესასრულებლად. ეს შეიძლება იყოს რუტინული/ყოველდღიური ოჯახური საქმეები, როგორცაა საჭმლის მომზადება ან ნაგვის გატანა, ასევე ოჯახის წევრების პიროვნული განვითარების ხელშეწყობა (მათი პირადი ინტერესების აღმოჩენის ხელშეწყობა) ან ცოლ-ქმართან მიმართებაში, სექსუალური კმაყოფილების უზრუნველყოფა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახური ფუნქციები იყოფა ინსტრუმენტალურ და აფექტურ სფეროებად. გარდა ამისა, ფუნქციები კიდევ იყოფა ორ ქვე-სფეროდ: ოჯახის აუცილებელი ფუნქციები და ოჯახის სხვა ფუნქციები. ოჯახის აუცილებელ ფუნქციებში/მოვალეობებში ოჯახი გამუდმებით უნდა იყოს ჩართული, იმისათვის რომ მან ნორმალურად იფუნქციონიროს. ეს ფუნქციები შეიძლება იყოს ინსტრუმენტალური, აფექტური ან ორივე ერთად. სხვა ოჯახურ ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენენ ისეთი მოვალეობები, რომლებიც არ ასრულებენ გადაწყვეტ როლს ეფექტურ ოჯახურ ფუნქციონირებაში, თუმცა გარკვეულ დონეზე ისინი ყველა ოჯახის ცხოვრებაში იჩენენ თავს. როლების შეფასება მოიცავს იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად ხდება ოჯახის წევრების მიერ საკუთარი ფუნქციების (ინსტრუმენტული, აფექტური, აუცილებელი და დამატებითი) პასუხისმგებლობით შესრულება.

4. აფექტური რეაგირება - აფექტური რეაგირება გულისხმობს ოჯახის უნარს მოახდინოს (შესაბამისი თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების მქონე) ემოციური რეაგირება სტიმულებზე. აფექტური რეაგირების თვისებრივი და რაოდენობრივი კატეგორიები გულისხმობს შემდეგს:

ა. თვისებრივი კატეგორია: რეაგირების დროს რამდენად იყენებენ ოჯახის წევრები ემოციების სრულ სპექტრს. ასევე, რამდენად არის ოჯახის წევრის მიერ განცდილი ემოცია სტიმულის და კონტექსტის შესაბამისი?

ბ. რაოდენობრივი კატეგორია: რა ხარისხით ხდება რეაგირება. წარმოიდგინეთ კონტინუმი სუსტი რეაგირებიდან (ან სართოდ ნული რეაგირებიდან) ჭარბ რეაგირებამდე.

5. აფექტური ჩართულობა - აფექტური ჩართულობა გულისხმობს იმას, თუ ოჯახი რა ხარისხით ინტერესდება მისი თითოეული წევრით ან მისთვის რამდენად ღირებულია ოჯახის წევრთა ინტერესები, საქმიანობა ან პრობლემები. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად და როგორ (რა გზით) ხდება ოჯახის წევრების მიმართ ინტერესის გამოხატვა. აფექტური ჩართულობა უბრალოდ იმას კი არ განსაზღვრავს, თუ რას აკეთებს ოჯახი ერთად, არამედ განსაზღვრავს ოჯახის წევრების ჩართულობის ხარისხს.

6. ქცევის კონტროლი - ეს არის ოჯახის მიერ განსაზღვრული, მისთვის მისაღები ქცევითი სტანდარტი , რომელსაც იგი იყენებს სამ განსხვავებულ სიტუაციაში:

ა. ფიზიკურად საშიში სიტუაცია, სადაც ოჯახმა თვალყური უნდა ადევნოს და გააკონტროლოს მისი ოჯახის წევრების ქცევა.

ბ. ფსიქო-ბიოლოგიური მოთხოვნილებების გამოხატვა და დაკმაყოფილება, როგორცაა კვების, წყურვილის, ძილის, სექსუალური მოთხოვნილება და აგრესია

გ. ინტერპერსონალური ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის და ოჯახის გარეთ ქცევის კონტროლის სკალა აფასებს იმას, თუ ოჯახის სისტემაში ოჯახის წევრები როგორ ინარჩუნებენ თავიანთ ქცევით სტანდარტებს

7. ზოგადი ფუნქციონირების შესაფასებელი სკალა - ზოგადი ფუნქციონირების სკალა დამატებითი სკალაა ოჯახის დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნების გამოსავლენად. დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნი ეხება ზოგად ან ოჯახისთვის დამახასიათებელ ტრანსაქციას ოჯახის წევრებს შორის, რომელიც უკავშირდება ზემოთ აღწერილი, ერთი ან რამდენიმე, განზომილების

ფუნქციონირების დარღვევას. აღნიშნული სკალა აფასებს ზოგადად ოჯახის „ჯანსაღ“ ან „პათოლოგიურ“ ფუნქციონირებას.

ზოგადი ფუნქციონირების სკალის მიმართება სხვა სკალებთან კომპლექსურია. დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნები არ არის მაინცდამაინც ოჯახის დისფუნქციის პირველადი მიზეზი, „ნამდვილი“ მიზეზის დადგენა რთულია ოჯახის სისტემაში. თუმცა ავტორთა გამოცდილებით, დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნები დაკავშირებულია ოჯახის ფუნქციონირების დარღვევასთან და მისი გაუმჯობესება აუცილებელია ოჯახის ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის.

ზოგიერთი დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნი დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტული განზომილების პრობლემასთან, ამავე დროს სხვა დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნები სირთულეს უქმნის განზომილებათა გარკვეულ რაოდენობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ტრანსაქციული პატერნი შესაძლოა იყოს დისფუნქციური ერთი ოჯახისთვის, მაგრამ საკმაოდ ადაპტური სხვა ოჯახისთვის.

5.2 პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი მოზარდებისთვის - ინსტრუმენტის ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარის ადაპტაციის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. კითხვარის ადაპტაციის პირველ ეტაპზე პოსტტრავმული ზრდის საკვლევი კითხვარი ინგლისურიდან ითარგმნა და შეიქმნა კითხვარის ქართულენოვანი ვერსია. ადაპტაციის შემდეგი საფეხურები მოიცავდა კითხვარის ადმინისტრირებას, მიღებული შედეგების დამუშავებასა და ანალიზს. განვიხილოთ თითოეული ეტაპი დეტალურად:

(1) პირველი ეტაპზე კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად მომზადდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი. კითხვარი ითარგმნა სფეროს ექსპერტისა და

კვალიფიციური თარჯიმნის მიერ. დამოუკიდებელი თარგმანების შეჯერებისა და თითოეული თარგმნილი დებულების შედარების შედეგად შეიქმნა კითხვარის პირველი ქართული ვერსია

(2) შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით კითხვარის 21 დებულება შეფასდა 5 ექსპერტის (პრაქტიკოსი და აკადემიურ სფეროში მომუშავე ფსიქოლოგების) მიერ. ექსპერტები 5 ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით აფასებდნენ თუ, რამდენად შეესაბამებოდა კითხვარის ამა თუ იმ სკალას კითხვარში მოცემული დებულებები. ექსპერტების შეფასების მიხედვით დიდი გაფანტულობის მქონე დებულებები განხილვის შედეგად შეიცვალა .

3. პილოტური კვლევის (50 მონაწილე) მონაცემთა განხილვის შედეგად, დამუშავდა და შეიცვალა ის დებულებები (სულ 4 დებულება ესენია: 8, 10, 14, 21), რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებდა სანდოობის დონეს.

4. მომდევნო ეტაპზე ჩატარდა განმეორებითი პილოტური კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 100 მონაწილე. შედეგად შემუშავდა კითხვარის საბოლოო ვერსია

5. კითხვარის საბოლოო ვერსიის რედაქტირება მოხდა ქართული ენის ფილოლოგის მიერ

კვლევის მონაწილეები

კითხვარის რესტანდარტიზაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო 320-მა ინდივიდმა. შერჩევის აღწერა:

- ✓ კვლევის მონაწილეთა სქესი - კვლევაში მონაწილეობდა (47%) მამრობითი და (53%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი;

- ✓ ასაკი* - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 12 - დან 18 წლის ჩათვლით (M=14 St=1.8)
- ✓ განათლება - კვლევის მონაწილეთა 97%-ს სკოლის მოსწავლეები, ხოლო 3% -ს სტუდენტები წარმოადგენდნენ,

კვლევის პროცედურა

კითხვარის საბოლოო ვერსიის მიღების შემდეგ კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 320-მა მონაწილემ. კითხვარის ადმინისტრირება ინდივიდუალურად ხდებოდა. კითხვარის ადმინისტრირებისას კვლევის მონაწილეები კითხვარს ავსებდნენ სტანდარტული ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ. ზეპირი ინსტრუქცია მოიცავდა კვლევის მიზანს, კითხვარის შესახებ ინფორმაციას და მითითებებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. კითხვარის შევსების ინსტრუქცია, ასევე, მოცემული იყო კითხვარის დასაწყისშიც.

კვლევის ინსტრუმენტი

თეორიული მოდელი. აღნიშნული კვლევა ეყრდნობა პოსტტრავმული ზრდის ტრანსაქციულ მოდელს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად განზომილებას, ესენია, საკუთარი თავის აღქმის ცვლილება, ცვლილება სხვებთან ურთიერთობებში და ცხოვრების ფილოსოფიის ცვლილება. პოსტტრავმული ზრდის კითხვარში აღნიშნული სამი განზომილება ხუთი ძირითადი ფაქტორის სახით არის წარმოდგენილი.

კვლევის ინსტრუმენტი: პოსტტრავმული ზრდის კითხვარი ბავშვებისთვის (PTGI-C; Cryder, Kilmer, Tedeschi & Calhoun, 2006) თვით-ანგარიშის ტიპის საზომია და შედგება 21 დებულებისგან. კითხვარი წარმოადგენს 1996 წელს შექმნილი პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარის (PTGI; Tedeschi & Calhoun), ზრდასრულთა ვერსიის ადაპტირებულ ვარიანტს. ზრდასრულთა ვერსიისაგან განსხვავებით შეცვლილია დებულებების ფორმულირება, იმისათვის, რომ მეტად იყოს ის გასაგები ბავშვებისა და მოზარდებისთვის. პასუხების შეფასება ხდება 4

ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით 1-დან (სრულიად არ ვეთანხმები) 4-მდე (სრულიად ვეთანხმები). კვლევის მონაწილეები აფასებენ თითოეულ დებულებას იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს ის ცვლილებას მათ მიერ განსაზღვრული მატრავმირებელი მოვლენის შემდეგ. კითხვარი აფასებს ტრავმის შემდგომ ცვლილებას ხუთი განზომილების მიხედვით, ესენია:

1. სხვებთან ურთიერთობა - სკალა აფასებს სხვა ადამიანებთან ძლიერი კავშირის განცდას, სიახლოვეს და სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძნობას (მაგ. „სიახლოვის მეტი განცდა მაქვს სხვა ადამიანებთან“, „უფრო ადვილად ვიღებ იმ ფაქტს, რომ სხვები მჭირდება“)
2. ახალი შესაძლებლობები - აფასებს ინდივიდის მიერ ახალი ცხოვრების გზის დასახვას, ახალი ინტერესების გაჩენას და ახალი საქმიანობით დაკავებას (მაგ. „ცხოვრების ახალი გზა დავისახე“, „ახლა ახალი შესაძლებლობები მაქვს, რაც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა“)
3. პიროვნული სიძლიერე - აფასებს ინდივიდის მიერ ტრავმული გამოცდილების გადალახვის შემდეგ განცდილ პიროვნულ სიძლიერეს (მაგ. „აღმოვაჩინე, რომ უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა „უფრო დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია სირთულეების გადალახვა“).
4. სულიერი ცვლილება - ეხება სულიერი, რელიგიური და სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ არსებული რწმენა-შეხედულებების გადაფასებას (მაგ. „ახლა მეტად მესმის სულიერი (არამხოლოდ რელიგიური) საკითხები“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“).
5. ცხოვრების დაფასება - ეხება ცხოვრებისეული ღირებულებების ცვლილებას. აფასებს ტრავმული გამოცდილების შემდეგ ინდივიდის მიერ სიცოცხლის/ცხოვრების დაფასებას, ცხოვრებისეული პრიორიტეტების ცვლილებას

(მაგ. „ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „მე შევცვალე შეხედულებები იმის შესახებ თუ რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში“)

5.3 პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირებისა და ემოციური ინტელექტის, ურთიერთმიმართების კვლევა იძულებით გადაადგილებული ოჯახების მაგალითზე

კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა 2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახების კვლევას, კერძოდ, პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირებისა და ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართების დადგენას.

კვლევის მონაწილეები

კვლევის მეორე ნაწილში მონაწილეობას ღებულობდა 80 იძულებით გადაადგილებული ოჯახი. თითოეული ოჯახიდან კვლევაში მონაწილეობდა სამი წევრი (მშობლები და ერთი შვილი), სულ 240 პირი.

- ✓ სქესი - 115 მდედრობითი და 125 მამრობითი სქესის წარმომადგენელი
- ✓ კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 12-დან 62 წლამდე (ოჯახის ზრდასრული წევრების შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების $M= 40.45$, $St.= 6.39$, მამრობითი სქესის წარმომადგენლების შემთხვევაში $M= 45.76$ $St.= 6.19$; მოზარდების შემთხვევაში, $M= 14.67$ $St.= 1.90$)
- ✓ განათლება - ზრდასრულ მონაწილეთა (N 160) შემთხვევაში 52.5% საშუალო განათლების, 24.37%-ს ტექნიკური ან პროფესიული კოლეჯი აქვს დამთავრებული, 18.75 % უმაღლესი განათლების მქონე და 4.37% არასრული საშუალო განათლების მქონე პირია. მოზარდების შემთხვევაში (N 80) კვლევის მონაწილეთა 92.5% - სკოლის მოსწავლე, 5% - სტუდენტი და 2.5 % პროფესიული განათლების მქონე პირია

- ✓ საცხოვრებელი ადგილი - კვლევაში მონაწილე ოჯახების 21% წეროვანის, 20 % კარალეთის, 14% - კოდას, 10%- ვერხვების, 6% - შავშვები/ხურვალეთის, 6% - წილკანის, 3 % საგურამოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების მაცხოვრებელია. ისინი შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლიდან არიან (ერედვი, აჩაბეთი, ახალგორი, თამარაშენი, დისევი, ქსუსი, ნული, კეხვი, ზემო არცევი, ვანათი, მარწემი, ქურთა, ბერულა, ხეთი, ქემერტი, არგვისი)
- ✓ დასაქმება - მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 27.5% დასაქმებული და 72.5% უმუშევარია, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 48.8% დასაქმებული და 51.3 % უმუშევარია.

პროცედურა

კითხვარების ადმინისტრირება ხდებოდა იძულებით ადგილნაცვალ პირთა დასახლებებში, მათ საცხოვრებელ კოტეჯებში, ინდივიდუალურად. კითხვარების ადმინისტრირებას ახორციელებდა მკვლევართა ჯგუფი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები და ერთი დოქტორანტი). თითოეული ოჯახის სხვადასხვა წევრთან პარალელურად კითხვარის ადმინისტრირებას რამოდენიმე მკვლევარი ახორციელებდა. ოჯახებს მიეწოდებოდათ შემდეგი სტანდარტული ინსტრუქცია:

“გამარჯობა! ჩვენ გახლავართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტიდან. ვატარებთ კვლევას იძულებით გადაადგილებული ოჯახების შესახებ. ჩვენს კვლევაში მონაწილეობის მიღებას შეუძლია ოჯახებს, სადაც ცხოვრებენ 12-დან 19 წლამდე მოზარდები და მათი მშობლები. იმისათვის, რომ კითხვარების შევსება დავიწყოთ ოჯახის ყველა წევრი თანახმა უნდა იყოს კვლევაში მონაწილეობაზე და თითოეულმა მათგანმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა გაგვცეს პასუხი შეკითხვებზე. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ყველა თქვენი პასუხი ანონიმური იქნება და სახელი და გვარი არ დაფიქსირდება. თქვენი

მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია და კვლევის შედეგები დამოკიდებულია თქვენს თანმხმობაზე.”

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იძულებით ადგილნაცვალმა ოჯახებმა, რომლებმაც გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი და რომელთა ოჯახის ყველა წევრი სახლში ან დასახლებაში იმყოფებოდა. ოჯახის ერთ-ერთი წევრის არყოფნის შემთხვევაში, ვინიშნავდით მისი დაბრუნების დროს და დამატებით ვიზიტს ვახორციელებდით. რაც შეეხება მოზარდებს, თუ ოჯახში ორი ან რამდენიმე მოზარდი დაგვხვდებოდა, კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა ის, რომელიც პირველად გამოთქვამდა კვლევაში მონაწილეობის სურვილის.

კვლევის ინსტრუმენტები

I. ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი ინსტრუმენტი

თეორიული მოდელი. ინსტრუმენტი ეფუძნება მაკმასტერის ოჯახის ფუნქციონირების მოდელს და აღწერს ოჯახის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მახასიათებლებს, ისევე როგორც ოჯახის წევრებს შორის ტრანსაქციის პატერნებს (Epstein, Baldwin, & Bishop, 1983)

კვლევის ინსტრუმენტი. ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარი (FAD) წარმოადგენს თვით ადმინისტრირებად საზომს და შედგება 7 სკალისგან, რომელიც აფასებს ოჯახის ფუნქციონირების შემდეგ განზომილებებს:

1. პრობლემის გადაჭრა - აფასებს ოჯახის უნარს გადაჭრან პრობლემები ისე, რომ შეინარჩუნონ ოჯახის ეფექტური ფუნქციონირება. ოჯახურ პრობლემაში იგულისხმება საკითხი, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ოჯახის ერთიანობას და მის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს.

2. კომუნიკაცია - სკალა აფასებს ოჯახის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის სტილს. აფასებს ერთი მხრივ, იმას, თუ რამდენად ნათელი/ გასაგებია კომუნიკაცია

ოჯახის წევრებს შორის და მეორე მხრივ, რამდენად პირდაპირია იგი. აქცენტი კეთდება ვერბალურ კომუნიკაციაზე.

3. როლები - სკალა აფასებს ოჯახის წევრების განმეორებით ქცევით პატერნებს, რომელიც საჭიროა ოჯახური ფუნქციების შესასრულებლად. ეს შეიძლება იყოს რუტინული/ყოველდღიური ოჯახური საქმეები, როგორცაა საჭმლის მომზადება ან ნაგვის გატანა, ასევე ოჯახის წევრების პიროვნული განვითარების ხელშეწყობა (მათი პირადი ინტერესების აღმოჩენის ხელშეწყობა) ან ცოლ-ქმართან მიმართებაში, სექსუალური კმაყოფილების უზრუნველყოფა.

4. აფექტური რეაგირება - აფექტური რეაგირება გულისხმობს ოჯახის წევრების უნარს გამოხატონ სტიმულის შესაბამისი ემოცია.

5. აფექტური ჩართულობა - აფექტური ჩართულობა გულისხმობს იმას, თუ ოჯახი რა ხარისხით ინტერესდება/ერთვება მისი თითოეული წევრით ან მისთვის რამდენად ღირებულია ოჯახის წევრთა ინტერესები, საქმიანობა ან პრობლემები.

6. ქცევის კონტროლი - სკალა აფასებს არსებობს თუ არა ოჯახის მიერ განსაზღვრული, მისთვის მისაღები ქცევითი სტანდარტი, რომელსაც იგი იყენებს სამ განსხვავებულ სიტუაციაში, ესენია: ფიზიკურად საშიში სიტუაცია, ფსიქობიოლოგიური მოთხოვნილებების გამოხატვა და დაკმაყოფილება, ინტერპერსონალური ურთიერთობები.

7. ზოგადი ფუნქციონირების შესაფასებელი სკალა - ზოგადი ფუნქციონირების სკალა ოჯახის დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნებს აფასებს. დისფუნქციური ტრანსაქციული პატერნი ეხება ზოგად ან ოჯახისთვის დამახასიათებელ ტრანსაქციას ოჯახის წევრებს შორის, რომელიც უკავშირდება ზემოთ აღწერილი, ერთი ან რამდენიმე, განზომილების ფუნქციონირების დარღვევას. აღნიშნული სკალა აფასებს ზოგადად ოჯახის „ჯანსაღ“ ან „პათოლოგიურ“ ფუნქციონირებას.

II. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი

თეორიული მოდელი. აღნიშნული კვლევა ეყრდნობა ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელს (Petrides, K. & R, Kokkinaki, F. 2007). პეტრიდესი და მისი კოლეგები ემოციურ ინტელექტს განიხილავენ, როგორც პიროვნულ ნიშანს და არა როგორც უნარს ან დასწავლილ კომპეტენციებს. ემოციური ინტელექტი არის „ემოციებთან დაკავშირებული თვით-აღქმების ერთობლიობა, რომელიც პიროვნების იერარქიის ქვედა დონეზე მდებარეობს“. კონსტრუქტის ალტერნატიულ სახელწოდებად ავტორები გვთავაზობენ ტერმინს – ემოციური თვითეფექტურობა (იხ. მარწყვიშვილი, 2010).

კვლევის ინსტრუმენტი. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის, საკვლევი კითხვარის ავტორია კონსტანტინე პეტრიდესი (K.V. Petrides, University Collage of London, 2000) კითხვარი შექმნილია ინგლისურ ენაზე და წარმოადგენს 153 დებულებიანი თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარს, რომელიც მოიცავს 15 სკალას, რომლებიც ოთხ ძირითად ფაქტორად ერთიანდება (იხ. დანართი 3). ეს უკანასკნელნი კი საბოლოოდ ქმნის ემოციური ინტელექტის ერთიან კონსტრუქტს, მის ერთიან მაჩვენებელს (იხ. მარწყვიშვილი, 2010)*

კითხვარი მოიცავს შემდეგ სკალებს:

ოპტიმიზმი - ბედნიერების სკალის მსგავსად, ეს სკალა უკავშირდება კარგად ყოფნას და „მომავლის განჭვრეტის“ უნარს. მაღალი ქულების მქონე ინდივიდები ყველაფერს ნათელი მხრიდან უყურებენ და ყველაფერს ელოდებიან, რომ პოზიტიური მოხდება მათ ცხოვრებაში. დაბალი ქულების მქონე ინდივიდები პესიმისტები არიან და უარყოფითი მხრიდან ხედავენ მოვლენებს, მათ ნაკლებად შესწევთ ახალი შესაძლებლობის დანახვის უნარი და არ უყვართ რისკის გაწევა. ბედნიერების და თვით პატივისცემის სკალასთან ერთად, ეს სკალა ასახავს ამჟამინდელ ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

თვით-შეფასება - სკალა ზომავს ადამიანის ზოგად თვით-შეფასებას. მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს საკუთარი თავის და მიღწევების შესახებ დადებითი შეხედულებები აქვთ. ისინი პოზიტიური, სანდო და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტით კმაყოფილი ადამიანები არიან. დაბალი ქულების მქონე ინდივიდები დაბალი თვით-პატივისცემით გამოირჩევიან და არ აქვთ საკუთარ თავის პოზიტიური შეფასება.

ბედნიერების სკალა - სკალა ასახავს ინდივიდის ემოციურ მდგომარეობას, რომელიც უპირატესად მიმართულია აწმყოზე (ცხოვრებით კმაყოფილება) და არა წარსულზე ან მომავალზე (ოპტიმიზმი). მაღალი ქულების მქონე ინდივიდები არიან ბედნიერები, ხალისიანები და კარგად გრძნობენ თავს (well-being). დაბალი ქულების მქონე ადამიანები ხშირად არიან მოწყენილები, ზოგადად ნეგატიურად არიან განწყობილნი და აქვთ ტენდენცია, რომ იყვნენ ამჟამინდელი ცხოვრებით მუდმივად იმედგაცრულებულნი. თვით-შეფასებისა და ოპტიმიზმის სკალასთან ერთად. ეს სკალა ქმნის ინდივიდის “ამჟამინდელ” ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

ემოციების რეგულაცია - ეს სკალა ზომავს ინდივიდის მიერ საკუთარი გრძნობებისა და ემოციური მდგომარეობის კონტროლის უნარს და ამ კონტროლის ხანგრძლივობას: ხანმოკლე, საშუალო თუ ხანგრძლივი. მაღალი ქულების მქონე ინდივიდები აკონტროლებენ ემოციებს და შეუძლიათ შეცვალონ არასასიამოვნო განწყობა სასიამოვნო გუნება-განწყობილებით ან გაიხანგრძლივონ სასიამოვნო განწყობილება საკუთარი ინსაიტებისა და ძალისხმევის შედეგად. ისინი ემოციურად სტაბილური ინდივიდები არიან, ადვილად შეუძლიათ უარყოფითი ემოციური შინაარსის მქონე მოვლენებთან და გარკვეულ წინააღმდეგობებთან შეჯახების შემდეგ საკუთარი თავის ხელში აყვანა. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს ხშირად აქვთ “ემოციური შეტევები” და შფოთვის და დეპრესიის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები. მათთვის ძალიან ძნელია საკუთარ გრძნობების მართვა, ისინი ხშირად არიან გაღიზიანებულები და მათი ემოციური მდგომარეობა არასტაბილურია.

იმპულსურობა - ამ სკალის საშუალებით იზომება არაფუნქციური/ არაჯანმრთელი იმპულსურობა და არა ფუნქციური/ჯანმრთელი სპონტანურობა. დაბალი იმპულსურობა გულისხმობს ფიქრს და განსჯას მოქმედების დაწყებამდე და პასუხის გაცემამდე, საპასუხო რეაქციის განხორციელებამდე. მაღალი ქულების მქონე ინდივიდები ბევრჯერ აწონიან ინფორმაციას, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს ახასიათებთ იმპულსურობისა და მოუთმენლობისკენ მიდრეკილება და საკუთარი გულისწადილის აყლის ტენდენცია. ბავშვების მსგავსად ისინი ისწრაფვიან სურვილების დაუყოვნებელი დაკმაყოფილებისაკენ და არ აქვთ თვითკონტროლის მაღალი უნარი. ისინი ხშირად დაფიქრების გარეშე საუბრობენ, იღებენ გადაწყვეტილებებს და ხშირად იცვლიან აზრს.

სტრესის მართვა - მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს მშვიდად და ეფექტურად შეუძლიათ მართონ საკუთარი დატვირთვა, რადგან მათ აქვთ დაძლევის წარმატებული მექანიზმები. სტრესის ხარისხის გასაკონტროლებლად, შეუძლიათ არეგულირონ ემოციები. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს არ აქვთ სტრესის მართვის უნარი. ისინი შეიძლება ცდილობდნენ თავი აარიდონ და გაექცნენ სიტუაციას, რომელიც პოტენციურად საფრთხის მომცველია და არა იმას, რომ გაუმკლავდნენ მასთან დაკავშირებულ დამაბულობას. მათი სტრესისადმი მოწყვლადობა ძალიან მაღალია, რაც მათ აიძულებთ უარყონ მნიშვნელოვანი, მაგრამ ისეთი საქმე, რომელიც დროს და დამაბულობას მოითხოვს.

ემპათია – ემოციური ინტელექტის ეს სკალა ზომავს ემპათიის „მხედველობაში მიღება/გათვალისწინების“ ასპექტებს - უნარს, დაინახო სამყარო სხვისი თვალით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლია თუ არა ინდივიდს გაიგოს სხვა ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები. ამ სკალაზე მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს აქვთ საუბრისა და დიალოგის წარმართვის კარგი უნარი, რადგან ისინი ითვალისწინებენ იმ ადამიანთა შეხედულებებს, ვისთანაც საუბრობენ. მათ შეუძლიათ

სხვა ადამიანის ემოციების განცდა, სხვის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა (“სხვის ტყავში შეძვრომა”) და სხვისი შეხედულებების პატივისცემა. დაბალი ქულების მქონე ადამიანებისთვის პრობლემურია სხვა ადამიანთა შეხედულებების გაზიარება, სხვის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა, მათ ყოველთვის საკუთარი კატეგორიული შეხედულებები აქვთ და „მე“-ზე ცენტრირებულიც კი ჩანან სხვა ადამიანების თვალში.

ემოციების აღქმა - ეს სკალა ზომავს, როგორც საკუთარი ემოციების, ასევე, სხვა ადამიანის ემოციების აღქმის უნარს. მაღალი ქულების მქონე ინდივიდებმა კარგად იციან, რას გრძნობენ თვითონ და ასევე, აქვთ სხვისი ემოციური გამომეტყველების ინტერპრეტაციის კარგი უნარი. ამის საწინააღმდეგოდ, დაბალი ქულების მქონე ინდივიდები ხშირად „დაბნეულები“ არიან, იმ თვალსაზრისით, რომ არ იციან რას განიცდიან თვითონ და ყურადღებას არ აქცევენ სხვა ადამიანებიდან წამოსულ ემოციურ სიგნალებს.

ემოციების გამოხატვა _ინდივიდებს ამ სკალაზე მაღალი ქულებით, აქვთ საკუთარი ემოციების სიტყვებით ზუსტად და არაორაზროვნად გადმოცემის უნარი. დაბალი ქულები ამ სკალაზე მიუთითებს იმაზე, რომ ასეთ ინდივიდებს აქვთ სირთულეები ურთიერთობებში, როდესაც საქმე ემოციებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემას ეხება, ისეთ სიტუაციებშიც კი, როდესაც ეს აუცილებელია. ასეთი ინდივიდებისათვის ძნელია სხვა ადამიანებს გააგებინონ, როგორ გრძნობენ თავს. ემოციების გამოხატვის უუნარობამ შეიძლება სხვა უფრო გენერალიზებულ პრობლემებამდე მიგვიყვანოს, მაგალითად, დაბალ თვით-დარწმუნებულობასა და დაბალ სოციალურ ასერტულობასთან.

ურთიერთობები (ნათესავებთან და ახლობლებთან) - სკალა უკავშირდება სოციალურ ურთიერთობებს ახლო მეგობრებთან, ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან, მჭიდრო ემოციური კავშირების დაწყებასა და შენარჩუნებას. მაღალი ქულების ინდივიდებს, როგორც წესი, აქვთ პირადი ურთიერთობები, რომლებიც

დადებით გავლენას ახდენს მათ პროდუქტულობასა და კარგად ყოფნაზე. ასეთმა ადამიანებმა იციან როგორ მოუსმინონ, როგორ იყვნენ „ყურადღებიანი“ და რა უპასუხონ ახლობელ ადამიანებს. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს უჭირთ ახლო ურთიერთობების დამყარება, ხშირად სათანადოდ არ ეპყრობიან ახლობელ ადამიანებს და არ აქვთ წარმატებული ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან და ახლობლებთან.

ემოციების მართვა - სკალა ზომავს ინდივიდის მიერ საკუთარი უნარის შეფასებას, რამდენად შეუძლია სხვა ადამიანთა ემოციურ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა. მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს შეუძლიათ სხვა ადამიანთა განცდებზე გავლენის მოხდენა (მაგ: დამშვიდება, გამხიარულება, მოტივირება). ასეთმა ადამიანებმა იციან, როგორ აგრძნობინონ სხვებს თავი უკეთ, როდესაც ისინი ამას საჭიროებენ. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს არ შეუძლიათ არც ადამიანების ემოციებზე გავლენის მოხდენა, არც ამ ემოციების მართვა. ისინი ძალიან „გადატვირთულები“ არიან ხოლმე, როდესაც უწევთ სხვა ადამიანების ემოციურ შეტევებთან გამკლავება და დიდად არ სიამოვნებთ სოციალიზაცია და სოციალური ურთიერთობები.

ასერტულობა - ინდივიდები მაღალი ქულებით ამ სკალაზე არიან პირდაპირები და საკუთარ თავში დარწმუნებულები. მათ იციან, როგორ ითხოვონ რაიმე, როგორ უთხრან ვინმეს და თვითონაც როგორ მიიღონ კომპლიმენტი. იციან, როგორ დაუპირისპირდნენ სხვებს, როდესაც ეს საჭიროა. მათ აქვთ ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები და შეუძლიათ საკუთარი უფლებების და შეხედულებების დაცვა. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს კი ჩვევიათ უკან დახევა მაშინაც კი, როდესაც იციან, რომ მართლები არიან და უჭირთ „არა“-ს თქმა მაშინაც, კი როდესაც გრძნობენ, რომ ასე უნდა მოიქცნენ. ყოველივე ამის შედეგად, კი ისინი იღებენ მათთვის არასასურველ შედეგს. უმეტეს შემთხვევაში, ისინი ამჯობინებენ იყვნენ რაიმე ჯგუფის ნაწილი და არა ჯგუფის ლიდერი.

სოციალური ცნობიერება - ამ სკალაზე მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს აქვთ კარგი სოციალური უნარები, არიან სოციალური სტიმულების მიმართ სენსიტიურები, აქვთ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის და სოციალური სტიმულების აღქმის მაღალი უნარი. ისინი ძალიან წარმატებულები არიან მოლაპარაკებების წარმოებისას, არიან კარგი შუამავლები და შეუძლიათ სხვებზე გავლენის მოხდენა. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ იმ „მანერების“ და ხერხების კონტროლი, რომლითაც ისინი სხვადასხვა ემოციებს გამოხატავენ, რაც მათთვის მრავალფეროვან სოციალურ კონტექსტში (მაგალითად, წვეულებებზე და შეხვედრებზე) წარმატების მომტანია. ამ სკალაზე დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს აქვთ შეზღუდული სოციალური უნარები და ხშირად გრძნობენ შფოთვის უცხო გარემოში, რადგან არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ. მათ უჭირთ საკუთარი თავის წარმოჩენა და ნაცნობების ძალიან ვიწრო წრე ჰყავთ. ისინი ცნობილი არიან მათი შეზღუდული ინტერპერსონალური უნარებით.

ადაპტაცია - მაღალი ქულების მქონე ინდივიდები ძალიან მოქნილები არიან სამსახურისა და ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებთან მიმართებაში. ისინი ადვილად ერგებიან და ეგუებიან ახალ გარემოებებს, სიამოვნებას იღებენ რეგულარული ცვლილებებით და სიახლეებით. დაბალი ქულების მქონე ინდივიდები ცვლილებებისადმი რეზისტენტულები არიან და მათთვის ძნელია სამუშაოსა და ცხოვრების სტილის შეცვლა. ისინი ზოგადად, არაფლექსიბურები არიან და ფიქსირებული იდეები და შეხედულებები აქვთ.

მოტივაცია - ინდივიდებს, რომელთაც აქვთ ამ სკალაზე მაღალი ქულები, მართავთ მაღალი დონის სამუშაოს შესრულების სურვილი. მათი ქცევის მთავარი დეტერმინანტი არის მიღწევის მაღალი მოთხოვნილება. ასეთ ინდივიდებს არ ესაჭიროებათ გარეგანი (ექსტერნალური) ჯილდო შესრულებული საქმისათვის, რადგან მათ მიღწევის მაღალი მოტივაცია აქვთ და შინაგანად არიან მოტივირებულნი. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს სჭირდებათ გარემოდან ბევრი გამხნივება,

ბიძგი და წაქეზება რაიმეს გასაკეთებლად. მათ სჭირდებათ მუდმივი დაჯილდოვება, რომ გააგრძელონ რაიმეს კეთება. ისინი ადვილად ანებებენ საქმეს თავს პატარა წინააღდეგობის შეხვედრისას. მათთვის ნიშანდობლივია მონდომების და დაჟინებულობის დაბალი დონე.

ძირითადი ფაქტორები:

კარგად ყოფნა (well-being) – მაღალი ქულები ამ ფაქტორზე გულისხმობს კარგად ყოფნის გენერალიზებულ განცდას, როგორც წარსულ მიღწევებთან, ასევე, მომავალთან დაკავშირებულ მოლოდინებთან მიმართებაში. მთლიანობაში, ასეთი ინდივიდები თავს თვლიან ბედნიერ და კმაყოფილ ადამიანად. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს აქვთ დაბალი თვით-შეფასება და იმედგაცრუებულნი არიან ამჟამინდელი მდგომარეობით. თუმცა, ინდივიდის კარგად ყოფნის ფაქტორის ქულები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანარჩენ სამ ფაქტორზე მიღებულ ქულებზეც.

სოციალურობა – ფაქტორი აფასებს სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარს და ფოკუსირებულია ინდივიდზე, როგორც სხვადასხვა სოციალური ურთიერთობების აგენტზე და არა ურთიერთობებზე ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან. მაღალი ქულების მქონე ინდივიდები არიან უკეთესები სოციალურ ინტერაქციაში, ვიდრე დაბალი ქულების მქონე ინდივიდები. ისინი თვლიან, რომ აქვთ მოსმენის კარგი უნარი და შეუძლიათ ყველა ტიპის და სოციალური ფენის ადამიანებთან ერთიერთობა. ინდივიდები, რომელთაც ამ ფაქტორზე აქვთ დაბალი ქულები თვლიან, რომ არ შეუძლიათ სხვა ადამიანთა გრძნობებზე გავლენის მოხდენა, არ აქვთ მოლაპარაკების წარმოების უნარი, არ არიან კარგი შუამავლები საქმის წარმოებისას. არ არიან დარწმუნებულნი, რა უნდა თქვან ან როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში, და ამის გამო, ხშირად მორცხვები და თავშეკავებულები არიან.

ემოციურობა – ინდივიდები, რომელთაც აქვთ მაღალი ქულები ამ ფაქტორზე, თვლიან, რომ ფლობენ მთელ რიგ ემოციურ უნარებს. მათ შეუძლიათ აღიქვან და გამოხატონ ემოციები და გამოიყენონ ეს უნარები ახლო ურთიერთობების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებისთვის რთულია საკუთარი შინაგანი ემოციური მდგომარეობის აღქმა და ემოციების გამოხატვა, რაც ხშირად წარუმატებელი ახლო ურთიერთობების მიზეზი ხდება.

თვით-კონტროლი – ამ ფაქტორზე მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს აქვთ სტრესის მართვისა და გამკლავების, საკუთარი სურვილების შეწინააღმდეგების უნარი, მათ შეუძლიათ არეგულირონ ემოციები, არ აჰყვნენ ცდუნებებს და არ დაემორჩილონ სურვილებს. დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს კი არ შეუძლიათ იმპულსების მართვა, სტრესთან გამკლავება, ემოციების რეგულირება.

III. პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი

თეორიული მოდელი აღნიშნული კვლევა ეყრდნობა პოსტტრავმული ზრდის ტრანსაქციულ მოდელს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად განზომილებას, ესენია, საკუთარი თავის აღქმის, სხვებთან ურთიერთობების და ცხოვრების ფილოსოფიის ცვლილება. პოსტტრავმული ზრდის კითხვარში აღნიშნული სამი განზომილება ხუთი ძირითადი ფაქტორის სახით არის წარმოდგენილი.

კვლევის ინსტრუმენტი: პოსტტრავმული ზრდის საკვლევად გამოყენებულია თვით-ადმინისტრირებადი საზომი, რომლის ქართული ვერსიაც შექმნილია წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო დახმარების ცენტრის (GCRT) მიერ (2010).

კითხვარი შედგება 21 დებულებისგან (იხ. დანართი N1). რესპოდენტების მიერ პასუხების შეფასება ხდება 6 ბალიან სკალაზე (0 - ცვლილება სრულებით არ მომხდარა; 5 – ცვლილება ძალიან დიდი ხარისხით მოხდა). კვლევის მონაწილეები აფასებენ თითოეულ დებულებას იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს

ცვლილებების იმ ხარისხს/სიმძაფრეს მათ მიერ განსაზღვრული მატრავმირებელი მოვლენის შემდეგ. კითხვარი საბოლოოდ აფასებს ტრავმის შემდგომ ცვლილებას ხუთი ფაქტორის მიხედვით, ესენია:

1. სხვებთან ურთიერთობა - სკალა აფასებს სხვა ადამიანებთან ძლიერი კავშირის განცდას, სიახლოვეს და სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძობას (მაგ. „სიახლოვის მეტი განცდა მაქვს სხვა ადამიანებთან“, „უფრო ადვილად ვიღებ იმ ფაქტს, რომ სხვები მჭირდება“)
2. ახალი შესაძლებლობები - აფასებს ინდივიდის მიერ ახალი ცხოვრების გზის დასახვას, ახალი ინტერესების გაჩენას და ახალი საქმიანობით დაკავებას (მაგ. „ცხოვრების ახალი გზა დავისახე“, „ახლა ახალი შესაძლებლობები მაქვს, რაც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა“)
3. პიროვნული სიძლიერე - აფასებს ინდივიდის მიერ ტრავმული გამოცდილების გადალახვის შემდეგ განცდილ პიროვნულ სიძლიერეს (მაგ. „აღმოვაჩინე, რომ უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა“, „უფრო დარწმუნებული ვარ, რომ შემძლია სირთულეების გადალახვა“).
4. სულიერი ცვლილება - ეხება სულიერი, რელიგიური და სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ არსებული რწმენა-შეხედულებების გადაფასებას (მაგ. „ახლა მეტად მესმის სულიერი (არამხოლოდ რელიგიური) საკითხები“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“).
5. ცხოვრების დაფასება - ეხება ცხოვრებისეული ღირებულებების ცვლილებას. აფასებს ტრავმული გამოცდილების შემდეგ ინდივიდის მიერ სიცოცხლის/ცხოვრების დაფასებას, ცხოვრებისეული პრიორიტეტების ცვლილებას (მაგ. „ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „მე შევცვალე შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში“)

IV . ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი მოზარდებისთვის (TEIQue-AF)

მოზარდების ემოციური ინტელექტის საკვლევად გამოყენებულია ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (Petrides, 2009), რომელიც „თვით-ანგარიშის“ ტიპის კითხვარს წარმოადგენს და მოიცავს 15 ცალკეულ სკალას და ოთხ ძირითად ფაქტორს, რომელიც ერთ მთლიან კონსტრუქტად ერთიანდება (იხ. დანართი N3). კითხვარის სტრუქტურა დიდების ვერსიის იდენტურია, მხოლოდ დებულებების ფორმულირებაში ვხვდებით ცვლილებებს (კითხვარის ფაქტორებისა და სკალების დეტალური აღწერა იხილეთ მესამე თავში - ემოციური ინტელექტი).

კითხვარი მოიცავს შემდეგ სკალებს:

- ემოციების გამოხატვა - ემოციების გამოხატვა და „ემოციური“ კომუნიკაცია
- ემპათია - სხვა ადამიანის განცდების, თვალსაზრისის გათვალისწინება, „სხვის ტყავში შეძვრომა“
- მოტივაცია - მიზანმიმართული შრომა მიუხედავად არახელსაყრელი გარემო პირობებისა
- ემოციების რეგულაცია - ემოციების კონტროლი
- ბედნიერება - ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერება
- სოციალური ცნობიერება - სოციალური ურთიერთობების უნარი
- იმპულსურობა - (დაბალი) სპონტანურობა და ცდუნებების აყოლა
- ემოციების აღქმა - საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების ცოდნა/გაგება
- თვით-შეფასება - წარმატებულობა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა
- ასერტულობა - პირდაპირობის, გულწრფელობის და საკუთარი უფლებების, მოსაზრებების და შეხედულებების დაცვა
- ემოციების მართვა - ადამიანთა გრძნობებზე გავლენის მოხდენა
- ოპტიმიზმი - მომავლის ნათელ ფერებში ხედვა

- სოციალური ურთიერთობები-სრულყოფილი პირადი, ახლო ურთიერთობები მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან
- ადაპტაცია - ახალ გარემო პირობებთან შეგუება და მორგება
- სტრესის მართვა სტრესის მართვა და სტრესთან გამკლავება

ძირითადი ფაქტორები:

- კარგად ყოფნა (well-being) - კარგად ყოფნის გენერალიზებული განცდა, ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების განცდა
- თვით-კონტროლი - ცდუნებების და სურვილების კონტროლი, გარემოს ზეწოლასა და სტრესთან გამკლავება
- ემოციურობა - მრავალფეროვანი ემოციური უნარების ფლობა. საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმა, გამოხატვა და ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი
- სოციალურობა-სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარი

გარდა 15 ცალკეული სკალისა და 4 ძირითადი ფაქტორისა, კითხვარი საშუალებას იძლევა შეფასდეს ემოციური ინტელექტის საერთო ქულა (გლობალური მაჩვენებელი).

V. პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარი - მოზარდების ვერსია

თეორიული მოდელი. აღნიშნული კვლევა ეყრდნობა პოსტტრავმული ზრდის ტრანსაქციულ მოდელს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად განზომილებას, ესენია, საკუთარი თავის აღქმის ცვლილება, ცვლილება სხვებთან ურთიერთობებში და ცხოვრების ფილოსოფიის ცვლილება. პოსტტრავმული ზრდის კითხვარში აღნიშნული სამი განზომილება ხუთი ძირითადი ფაქტორის სახით არის წარმოდგენილი.

კვლევის ინსტრუმენტი: პოსტტრავმული ზრდის კითხვარი ბავშვებისთვის (PTGI-C; Cryder, Kilmer, Tedeschi & Calhoun, 2006) თვით-ადმინისტრირებადი საზომია და შედგება 21 დებულებისგან. კითხვარი წარმოადგენს 1996 წელს შექმნილი პოსტტრავმული ზრდის შესაფასებელი კითხვარის (PTGI; Tedeschi & Calhoun), ზრდასრულთა ვერსიის ადაპტირებულ ვარიანტს. ზრდასრულთა ვერსიაში შეიცვალა დებულებების ფორმულირება, იმისათვის, რომ მეტად ყოფილიყო ის გასაგები ბავშვების (8 წლიდან) და მოზარდებისთვის. აღნიშნული კითხვარის პილოტირება ჩატარდა სიმსივნის მქონე ბავშვებთან. საერთო მაჩვენებლის შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებელი (კრონბახის ალფა) აღწევდა .94, ხოლო დანარჩენ ფაქტორების ალფას მაჩვენებლები .68-დან .86 -მდე ვარიირებდა. აღნიშნული კვლევის შედეგები არ განხილულა ავტორის მიერ (Kilmer, 2006).

პასუხების შეფასება ხდება 4 ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით 1-დან (სრულიად არ ვეთანხმები) 4-მდე (სრულიად ვეთანხმები). კვლევის მონაწილეები აფასებენ თითოეულ დებულებას იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს ის ცვლილებას მათ მიერ განსაზღვრული მატრავმირებელი მოვლენის შემდეგ. კითხვარი აფასებს ტრავმის შემდგომ ცვლილებას ხუთი განზომილების მიხედვით, ესენია:

1. სხვებთან ურთიერთობა - სკალა აფასებს სხვა ადამიანებთან ძლიერი კავშირის განცდას, სიახლოვეს და სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძნობას (მაგ. „სიახლოვის მეტი განცდა მაქვს სხვა ადამიანებთან“, „უფრო ადვილად ვიღებ იმ ფაქტს, რომ სხვები მჭირდება“)
2. ახალი შესაძლებლობები - აფასებს ინდივიდის მიერ ახალი ცხოვრების გზის დასახვას, ახალი ინტერესების გაჩენას და ახალი საქმიანობით დაკავებას (მაგ. „ცხოვრების ახალი გზა დავისახე“, „ახლა ახალი შესაძლებლობები მაქვს, რაც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა“)

3. პიროვნული სიძლიერე - აფასებს ინდივიდის მიერ ტრავმული გამოცდილების გადალახვის შემდეგ განცდილ პიროვნულ სიძლიერეს (მაგ. „აღმოვაჩინე, რომ უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა“, „უფრო დარწმუნებული ვარ, რომ შემძლია სირთულეების გადალახვა“).

4. სულიერი ცვლილება - ეხება სულიერი, რელიგიური და სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ არსებული რწმენა-შეხედულებების გადაფასებას (მაგ. „ახლა მეტად მესმის სულიერი (არამხოლოდ რელიგიური) საკითხები“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“).

5. ცხოვრების დაფასება - ეხება ცხოვრებისეული ღირებულებების ცვლილებას. აფასებს ტრავმული გამოცდილების შემდეგ ინდივიდის მიერ სიცოცხლის/ცხოვრების დაფასებას, ცხოვრებისეული პრიორიტეტების ცვლილებას (მაგ. „ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „მე შევცვალე შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში“)

თავი 6 შედეგების აღწერა

6.1 მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის მეთოდები და შედეგების აღწერა (FAD)

6.1.1. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტისთვის (CFA)


ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად გამოვიყენეთ კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA). მონაცემთა ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Amos 19 -ის გამოყენებით (Livak & Schmittgen, 2001) .

ოჯახის ფუნქციონირების შესაფასებელი კითხვარის (FAD) ფაქტორული ანალიზი განხორციელდა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის შესაბამისი საფეხურების გავლით. თავდაპირველად შემოწმდა ჰიპოთეტური მოდელი (Epstein et al., 1983), რომელიც ავტორების მიერ განსაზღვრული იყო შვიდი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, ესენია, პრობლემის გადაჭრა (ხუთი დებულება), კომუნიკაცია (ექვსი დებულება), როლები (8 დებულება), აფექტური რეაგირება (6 დებულება), აფექტური ჩართულობა (7 დებულება), ქცევის კონტროლი (9 დებულება), ზოგადი ფუნქციონირების სკალა (12 დებულება). კონფორმატორულმა ფაქტორულმა ანალიზმა (CFA) აღნიშნული ჰიპოთეტური მოდელის დაკვირვებად მოდელთან საუკეთესო მორგება არ აჩვენა (CFA = 0.700, GFI = 0.747, RMSEA = 1.05, PCLOSE=.000). შესაბამისად, მოდიფიკაციის ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით განვახორციელეთ მოდელის მოდიფიკაციის შესაბამისი საფეხურები (Byrne, 2010). მოდიფიკაციის ინდექსი წარმოადგენს ცვლილების შეთავაზებას, მაშინ, როდესაც არის განსვლა ჰიპოთეტურ და დაკვირვებად მოდელს შორის. მოდიფიკაციის ინდექსის მონაცემების მიხედვით შევამოწმეთ თითოეული დებულების დატვირთვის მაჩვენებლები. 16 დებულება აღმოჩნდა დაბალი დატვირთვის მქონე (<0.7*), ესენია: კომუნიკაციის სკალიდან- N 9 (0.2) , N 30 (0.35), 37 (0.35) ; როლების სკალიდან - N 3 (0.23), 44 (0.30); აფექტური რეაგირების სკალიდან - N 11 (0.35), 40

(0.38); აფექტური ჩართულობის სკალიდან - N 5 (0.37), 45 (0.25); ქცევის კონტროლის სკალიდან - N 6 (0.09), 27 (0.18), 34 (0.29), 42 (0.16), 46 (0.22), 49 (0.05), 51 (0.39); ზოგადი ფუნქციონირების სკალიდან - N 35 (0.19). გარდა დატვირთვის მაჩვენებლებისა, მოდიფიკაციის ინდექსის მიხედვით შევამოწმეთ დაკვირვებადი და ლატენტური ცვლადების ცდომილებებს შორის კოვარიაციების შესაძლებლობა (Livak & Schmittgen, 2001). რადგან კოვარიაცია შეუძლებელია ისეთი ცვლადების ცდომილებებს შორის, რომლებიც არ არიან ერთიდაიგივე ფაქტორის შემადგენელი (Byrne, 2010), ამიტომ ოჯახის ფუნქციონირების ჰიპოთეტური მოდელის შემთხვევაშიც კოვარიაცია განხორციელდა გლობალური ფუნქციონირების სკალის, e29– e31 ცდომილებას (43 – 50 დებულების ექვივალენტური) და აგრეთვე, e21 = e28 (26-12 დებულებების ეკვივალენტური) ცდომილებებს შორის. საბოლოოდ მივიღეთ მოდელი, მისაღები მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი N 1). აღნიშნული მოდელი, შედგება 7 ფაქტორისგან და 37 დებულებისგან (იხ. მოდელი 1).

ცხრილი N1-კონფორმატორული ფაქტორული ანალიზი ოჯახის ფუნქციონირების ინსტრუმენტისთვის

საზომი	მაჩვენებლები
CMIN/DF	2.79
CFI	0.95
GFI	0.95
SRMR	.000
RMSEA	.10
PCLOSE	.05



1

6.1.2. ოჯახის ფუნქციონირების საზომი ინსტრუმენტის ძირითად სკალებს შორის კორელაციები

ოჯახის ფუნქციონირების ძირითად ფაქტორებს შორის კორელაციის გამოთვლის შედეგად (ცხრილი N2) აღმოჩნდა, რომ ძირითადი ფაქტორები ერთმანეთთან დადებით კორელაციაშია.

ცხრილი N 2 ოჯახის ფუნქციონირების ფაქტორებს შორის კორელაციები

	პრობლემის გადაჭრა	კომუნიკაცია	როლები	აფექტური რეაგირება	აფექტური ჩართულობა	ქცევის კონტროლი	ზოგადი ფუნქციონირება
პრობლემის გადაჭრა	-						
კომუნიკაცია	.446**	-					
როლები	.447**	.324**	-				
აფექტური რეაგირება	.473**	.370**	.622**	-			
აფექტური ჩართულობა	.284**	.305**	.587**	.353**	-		
ქცევის კონტროლი	.366**	.199**	.406**	.527**	.446**	-	
ზოგადი ფუნქციონირება	.649**	.467**	.668**	.685**	.612**	.889**	-

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

6.1.3. სანდოობის შემოწმება

ცხრილში N 3 მოცემულია სანდოობის მაჩვენებლები (კრონბახის ალფა) ოჯახის ფუნქციონირების ინსტრუმენტის 7 ფაქტორისა და ოჯახის ფუნქციონირების გლობალური მაჩვენებლისათვის.

ცხრილი N 3 შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები (Cronbach's alpha)

N	ფაქტორები (FAD)	დებულებების რაოდენობა	Cronbach's a	M	SD
1	პრობლემის გადაჭრა	5	0.76	3.2	0.52
2	კომუნიკაცია	3	0.68	3.1	0.55
3	როლები	6	0.65	2.9	0.47
4	აფექტური რეაგირება	4	0.73	3.0	0.54
5	აფექტური ჩართულობა	5	0.76	3.2	0.50
6	ქცევის კონტროლი	3	0.52	8.2	0.36
7	ზოგადი ფუნქციონირება	11	0.81	3.2	0.42
8	გლობალური მაჩვენებელი	37	0.91	3.1	0.35

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

როგორც ვხედავთ, სკალების უმრავლესობა გამოირჩევა შინაგანი შეთანხმებულობის მაღალი მაჩვენებლებით. მხოლოდ მე-6 სკალას – ქცევის კონტროლს – აქვს საშუალოსთან მიახლოებული კოეფიციენტი, რაც შესაძლოა იმიტაც აიხსნება, რომ რესტანდარტიზაციის შემდეგ, მას მხოლოდ სამი დებულება შეუნარჩუნდა.

6.1.4. სქესთა შორის განსხვავება ოჯახის ფუნქციონირების ქულების განაწილების მიხედვით

მონაცემთა დამუშავების (independent-samples t-test) შედეგად ოჯახური ფუნქციონირების გლობალური მაჩვენებლის მიხედვით სქესთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ ვლინდება. თუმცა, აფექტური ჩართულობის ფაქტორისთვის სქესთა შორის განსხვავება სანდო აღმოჩნდა. აფექტური ჩართულობის ფაქტორის მაჩვენებელი უფრო მაღალია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან ($M=3.32$, $St=0.48$), ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან ($M=3.21$, $St=0.51$), $t(99) = 2.9$, $p = 0.0003$

6.2 მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის მეთოდები და შედეგების აღწერა (PTGI_C)

6.2.1. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) ბავშვებსა და მოზარდებში პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტისთვის (PTGI-C)


პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (ბავშვების/მოზარდების ვერსია) ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად გამოვიყენეთ კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA). მონაცემთა ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Amos 19 -ის გამოყენებით (Livak & Schmittgen, 2001) .

აღნიშნული კითხვარის ფაქტორული ანალიზი განხორციელდა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის შესაბამისი საფეხურების გავლით. შემოწმდა ჰიპოთეტური მოდელი (Cryder et al., 2006 იხ. სტატიაში Clay, Knibbs, & Joseph, 2009), რომელიც ავტორების მიერ განსაზღვრული იყო ხუთი ფაქტორით, ესენია, სხვებთან ურთიერთობა (შვიდი დებულება), ახალი შესაძლებლობები (ხუთი დებულება), პიროვნული სიძლიერე (ოთხი დებულება), სულიერი ცვლილება (ორი დებულება), ცხოვრების დაფასება (სამი დებულება). კონფირმატორულმა ფაქტორულმა ანალიზმა (CFA) აღნიშნული ჰიპოთეტური მოდელის დაკვირვებად მოდელთან საშუალო მორგება აჩვენა. მოდიფიკაციის ინდექსის მონაცემების მიხედვით შევამოწმეთ თითოეული დებულების დატვირთვის მაჩვენებლები და დაკვირვებადი და ლატენტური ცვლადების ცდომილებებს შორის კოვარიაციების შესაძლებლობა. პოსტტრავმული ზრდის ჰიპოთეტური მოდელის შემთხვევაში კოვარიაცია განხორციელდა სხვებთან ურთიერთობის სკალის, e3 – e5 ცდომილებას (15 – 9 დებულების ექვივალენტური) შორის. აღნიშნულმა პროცედურამ მოდელის უკეთესი (მისაღები) მორგება აჩვენა. საბოლოოდ მივიღეთ მოდელი, მისაღები მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი N 4). აღნიშნული მოდელი, ისევე, როგორც ორიგინალი, შედგება 5 ფაქტორისგან და 21 დებულებისგან (იხ. მოდელი 2).

ცხრილი N 4- მაჩვენებლები (CFA) პოსტტრავმული ზრდის ინსტრუმენტისთვის

საზომი	მაჩვენებელი
CMIN/DF	1.85
CFI	0.88
GFI	0.90
SRMR	.05
RMSEA	.05
PCLOSE	.14

მოდელი - 2 - პოსტტრავმული ზრდის კითხვარი



6.2.2. ძირითად ფაქტორებს შორის კორელაციები (PTGI_C)

ცხრილი N 5 პოსტტრავმული ზრდის ფაქტორებს შორის კორელაციები

	სხვებთან ურთიერთობა	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სულიერი ცვლილება	ცხოვრების დაფასება
სხვებთან ურთიერთობა	-				
ახალი შესაძლებლობები	.499**	-			
პიროვნული სიძლიერე	.242**	.458**	-		
სულიერი ცვლილება	.452**	.423**	.298**	-	
ცხოვრების დაფასება	.502**	.430**	.356**	.374**	-

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

6.2.3. სანდოობის მაჩვენებლები

ცხრილი N 6 - შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებლები - Cronbach's alpha (PTGI_C)

N	ფაქტორები (PTGI_C)	დებულებების რაოდენობა	სანდოობა (Cronbach's alpha)	M	SD
1	სხვებთან ურთიერთობა	7	0.73	2.9	0.60
2	ახალი შესაძლებლობები	5	0.67	3.0	0.62
3	პიროვნული ზრდა	4	0.73	3.1	0.66
4	სულიერი ცვლილებები	2	0.64	2.9	0.89
5	ცხოვრების დაფასება	3	0.59	3.3	0.64
6	გლობალური მაჩვენებელი	21	0.85	3.0	0.47

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ თითქმის ყველა სკალას შინაგანი შეთანხმებულობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ

ცხოვრების დაფასების სკალას შედარებით დაბალი ალფა კოეფიციენტი აქვს, მისი სიმაღლეც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

6.2.4. სქესთა შორის განსხვავებები პოსტტრავმული ზრდის (ქულების განაწილების) მაჩვენებლების მიხედვით (PTGI-C)

მონაცემთა დამუშავების შედეგად პოსტტრავმული ზრდის გლობალური მაჩვენებლის მიხედვით სქესთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ ვლინდება ($t= 0.18, P=0.53$). სტატისტიკურად არ იყო მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის მიხედვით ხუთი სკალის მაჩვენებლების მიხედვითაც.

ამრიგად, ჩვენ მიერ ადაპტირებული ორივე ინსტრუმენტის ქართული ვერსია საკმაოდ მაღალი სანდოობით ხასიათდება.

6.3 ემოციურ ინტელექტს, პოსტტრავმულ ზრდასა და ოჯახის ფუნქციონირებასა შორის ურთიერთმიმართება

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-18 -ის (SPSS Inc, Chicago, IL) დახმარებით. მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

6.3.1. პოსტტრავმულ ზრდას და ოჯახის ფუნქციონირებას შორის ურთიერთკავშირი

(6.3.1ა) კორელაციური კავშირი ზრდასრულებთან

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი)* (Field, A., 2005). აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს, ცალკეულ ფაქტორებს და ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებლებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N 7).

ზრდასრულებთან, პოსტტრავმული ზრდის გლობალურ მაჩვენებელსა და ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელს და ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი სახის კავშირები გამოვლინდა:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო ქულა სუსტ დადებით კავშირშია ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელთან ($r = .22, p < .01$), გლობალური ფუნქციონირების სკალასთან ($r = .27, p < .01$), პრობლემის გადაჭრის სკალასთან ($r = .21, p < .01$), კომუნიკაციის სკალასთან ($r = .21, p < .01$), აფექტური რეაგირების სკალასთან ($r = .22, p < .01$) და ქცევის კონტროლის სკალასთან ($r = .17, p < .05$)
- პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს სტატისტიკურად სანდო კავშირი არ აქვს როლებისა და აფექტური ჩართულობის სკალებთან.

ხოლო რაც შეეხება ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულის კავშირს პოსტტრავმული ზრდის სკალებთან, აღმოჩნდა, რომ

- ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულა სუსტ დადებით კავშირშია ახალი შესაძლებლობების სკალასთან ($r = .22, p < .01$), პიროვნული სიძლიერის სკალასთან ($r = .27, p < .01$), სულიერი ცვლილების სკალასთან ($r = .22, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალასთან ($r = .24, p < .01$)

კორელაცია არ არის სტატისტიკურად სანდო ოჯახის ფუნქციონირების გლობალურ მაჩვენებელსა და სხვებთან ურთიერთობის სკალას შორის.

დადგინდა შემდეგი სახის კავშირები პოსტტრავმული ზრდის და ოჯახის ფუნქციონირების ცალკეულ სკალებს შორის:

- სხვებთან ურთიერთობის სკალას სუსტ დადებით კორელაციაშია კომუნიკაციის სკალასთან ($r = .18, p < .05$), აფექტური რეაგირების სკალასთან შორის ($r = .18, p < .05$)

- ახალი შესაძლებლობების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პრობლემის გადაჭრის სკალასთან ($r = .19, p < .05$), კომუნიკაციის სკალასთან ($r = .17, p < .05$), ზოგადი ფუნქციონირების სკალასთან ($r = .22, p < .05$)
- პიროვნული სიძლიერის სკალას სუსტი დადებითი კავშირი აქვს პრობლემის გადაჭრის სკალასთან ($r = .17, p < .05$), კომუნიკაციის სკალასთან ($r = .19, p < .05$), ზოგადი ფუნქციონირების სკალასთან ($r = .27, p < .05$)
- სულიერი ცვლილების სკალას სუსტი დადებითი კავშირი აქვს პრობლემის გადაჭრის სკალასთან ($r = .22, p < .01$), როლების სკალასთან ($r = .26, p < .01$), აფექტური რეაგირების სკალასთან ($r = .28, p < .01$), ზოგადი ფუნქციონირების სკალასთან ($r = .22, p < .01$)
- ცხოვრების დაფასების სკალას სუსტი დადებითი კავშირის აქვს აფექტური რეაგირების სკალასთან ($r = .28, p < .01$), ქცევის კონტროლის სკალასთან ($r = .22, p < .01$), ზოგადი ფუნქციონირების სკალასთან ($r = .24, p < .01$)

(6.3.1ბ) კორელაციური კავშირი მოზარდებთან

მოზარდების შემთხვევაში, სტატისტიკურად სანდო კავშირი არ გამოვლინდა ოჯახის ფუნქციონირების და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლებს შორის. გარდა ამისა, ცალკეული სკალებიდან პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელი ოჯახის ფუნქციონირების მხოლოდ ორ სკალასთან აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კავშირში, კერძოდ:

- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია კომუნიკაციის სკალას და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს შორის ($r = .31, p < .01$)
- სუსტი დადებითი კორელაცია პრობლემის გადაჭრის სკალას და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს შორის ($r = .26, p < .05$)

ხოლო რაც შეეხება ოჯახის ფუნქციონირების და პოსტტრავმული ზრდის ცალკეულ სკალებს შორის კორელაციებს, მივიღეთ შემდეგი სახის კავშირები:

- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია პრობლემის გადაჭრის სკალას და ცხოვრების დაფასების სკალას შორის ($r = .33, p < .01$)
- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია კომუნიკაციის სკალას და ახალი შესაძლებლობების სკალებს შორის ($r = .30, p < .01$)
- კომუნიკაციის სკალას სუსტი დადებითი კავშირი აქვს პიროვნული სიძლიერის ($r = .23, p < .05$) და ცხოვრების დაფასების სკალებთან ($r = .29, p < .05$)

ცხრილი N7 პოსტტრავმული ზრდის და ოჯახის ფუნქციონირების სკალებს შორის კორელაცია (ზრდასრულებთან)

	პრობლ. გადაჭრა	კომუნ.	როლი	აფ.რეა გირება	აფ.ჩართუ ლობა	ქცევის კონტ.	ზოგადი ფუნქც.	საერთო ქულა (FAD)
სხვებთან ურთიერთობა	.148	.182*	.029	.180*	-.055	.077	.123	.100
ახალი შესაძლ.	.193*	.177*	.106	.161*	.004	.135	.223*	.228**
პიროვნული სიძლიერე	.177*	.192*	.059	-.068	-.058	.063	.270**	.276**
სულიერი ცვლილება	.222**	.108	.262**	.287**	.046	.035	.223**	.225**
ცხოვრების დაფასება	.100	.094	.092	.282**	.123	.223**	.242**	.243**
საერთო ქულა (PTGI)	.213**	.216**	.089	.226**	.137	.175*	.272**	.221**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

* $r=.10$ -დან $r=.29$ -მდე ან $r=-.10$ -დან $r=-.29$ -მდე – ცვლადებს შორის სუსტი (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია
 $r = .30$ -დან $r = .49$ -მდე ან $r = -.30$ -დან $r = -.49$ -მდე – ცვლადებს შორის საშუალო, ზომიერი სიძლიერის (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია
 $r=.50$ -დან $r=1.0$ -მდე ან $r=-.50$ -დან $r=-1.0$ -მდე –ცვლადებს შორის ძლიერი (დადებითი/უარყოფითი) კორელაცია

(6.3.1 გ) რეგრესიული ანალიზი ზრდასრულებთან

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელი წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისათვის (ზრდასრულ ადამიანებში). ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულა ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 4.9%-ს ($R_{2ADJ} = 0.43$, $F=8.03$, $p=.005$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის ($\beta = .221$, $p=.005$)

რაც შეეხება ოჯახის ფუნქციონირების ძირითადი სკალების წვლილს პოსტტრავმული ზრდის გამოვლენაში, ცვლადების ეს მოდელი ხსნის მონაცემთა ვარიაციულობის 13.9 %-ს ($R_{2ADJ} = 0.81$, $F=2.4$, $p<.05$) და 7 ძირითადი სკალიდან 4 სკალა აღმოჩნდა სანდო პრედიქტორი, ესენია, პრობლემის გადაჭრა ($\beta = .216$, $p<.05$), კომუნიკაცია ($\beta = .214$, $p<.05$), აფექტური რეაგირება ($\beta = .217$, $p<.05$) და ზოგადი ფუნქციონირების სკალა ($\beta = .278$, $p<.05$) წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის.

აღნიშნული ოთხი სკალიდან სამ სკალას - პრობლემის გადაჭრა (ხსნის ვარიაციულობის 4.7% -ს, $R_{2ADJ} = 0.04$, $F=7.6$, $p<.01$), კომუნიკაცია (ხსნის ვარიაციულობის 4.6% -ს, $R_{2ADJ} = 0.04$, $F=7.6$, $p<.01$), აფექტური რეაგირება (ხსნის ვარიაციულობის 5% -ს, $R_{2ADJ} = 0.04$, $F=8.3$, $p<.01$) თანაბარი წვლილი შეაქვს ვარიაციულობაში. შედარებით მეტია ზოგადი ფუნქციონირების სკალის (ხსნის ვარიაციულობის 7.8 % -ს ($R_{2ADJ} = 0.72$, $F=13.2$, $p<.01$)) პროცენტული წვლილი ვარიაციულობის განსაზღვრისას.

როლების, აფექტური ჩართულობის და ქცევის კონტროლის სკალებს არ აქვთ პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისათვის.

(6.3.1 დ) რეგრესიული ანალიზი მოზარდებთან

მოზარდების შემთხვევაში პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორულ ღირებულებასთან დაკავშირებით ზრდასრულებსგან განსხვავებული მონაცემები

მივიღეთ. კერძოდ, მოზარდებთან ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი პოსტტრავმული ზრდისათვის. ხოლო რაც შეეხება ოჯახის ფუნქციონირების ცალკეული სკალების პრედიქტორულ ღირებულებას, შვიდი სკალიდან მხოლოდ ორი სკალაა სანდო პრედიქტორი. კერძოდ, პრობლემის გადაჭრის მაჩვენებელი ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 6.8 %-ს ($R_{2ADJ} = 0.56$, $F(0.710)=5.4$, $p<.05$) და წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისათვის ($\beta = .261$, $p<.05$). ასევე, კომუნიკაციის სკალის მაჩვენებელი ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 1.1 %-ს ($R_{2ADJ} = 0.09$, $F(1.055)=8.5$, $p<.05$) და წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს ($\beta = .318$, $p<.01$).

მთლიანობაში, მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის ჯანსაღი ფუნქციონირების მაჩვენებლებს პოსტტრავმული ზრდისთვის უფრო დიდი პრედიქტორული ძალა აქვთ მოზრდილებში, ვიდრე მოზარდებში;

ამავე დროს, ოჯახის ფუნქციონირების ცალკეულ ასპექტებს უფრო მეტი პრედიქტორული ძალა აქვთ, ვიდრე მის საერთო მაჩვენებელს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მოზარდებში, რომლებთანაც ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელი ვერ წინასწარმეტყველებს ცვლილებებს, პოსტტრავმული ზრდის ვარიაბელობას, თუმცა, მისი შემადგენელი ორი სკალის, განსაკუთრებით, პრობლემის გადაჭრის მაჩვენებელი გარკვეული ხარისხით წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლის ცვლილებებს.

6.3.2 პოსტტრავმულ ზრდას და ემოციურ ინტელექტს შორის ურთიერთკავშირი

(6.3.2ა) კორელაციური კავშირი ზრდასრულებთან

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი), აღმოჩნდა, რომ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს, ცალკეულ ფაქტორებს და ემოციური ინტელექტის მაჩვენებლებს შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N 8).

ზრდასრულებში პოსტტრავმული ზრდის გლობალურ მაჩვენებელს, ცალკეულ სკალებსა და ემოციური ინტელექტის ცალკეულ ფაქტორებს შორის შემდეგი სახის კავშირები გამოვლინდა:

- პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს საშუალო სიძლიერის დადებითი კავშირი აქვს ემოციური ინტელექტის გლობალურ მაჩვენებელთან ($r = .37, p < .01$) და ემოციური ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორთან ($r = .34, p < .01$)
- სუსტი დადებითი კავშირი აქვს პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს ემოციური ინტელექტის თვითკონტროლის ფაქტორთან ($r = .25, p < .01$), ისევე როგორც ემოციურობის ($r = .27, p < .01$) და სოციალურობის ($r = .24, p < .01$) ფაქტორებთან

ცხრილი N 8 პოსტტრავმული ზრდის სკალებს და ემოციური ინტელექტის ფაქტორებს შორის კორელაცია

	სხვებთან ურთიერთობა	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სულიერი ცვლილება	ცხოვრების დაფასება	საერთო ქულა (PTGI)
კარგად ყოფნა	.243**	.391**	.155	.195*	.339**	.346**
თვით-კონტროლი	.212**	.248**	.210**	.197*	.078	.259**
ემოციურობა	.290**	.227**	.082	.229**	.199*	.272**
სოციალურობა	.223*	.160*	.178*	.234**	.139	.246**
საერთო ქულა (EI)	.326**	.351**	.192*	.253**	.273**	.370**

➤ ** $p \leq .01$; * $p \leq .05$

როგორც ირკვევა, ზრდასრულებში ემოციური ინტელექტის საერთო ქულა დადებითად კორელირებს ოჯახის ფუნქციონირების ყველა სკალასთან, განსაკუთრებით მჭიდრო კავშირებია გამოვლენილი ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელთან, ახალი შესაძლებლობისა და სხვებთან ურთიერთობის სკალებთან;

კავშირების მრავალრიცხოვნებითა და შედარებით მაღალი სიძლიერით გამოირჩევა ემოციური ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორი.

ხოლო რაც შეეხება ემოციური ინტელექტის ცალკეული სკალების კავშირს პოსტტრავმული ზრდის სკალებთან, ასეთი სახის კავშირები გამოვლინდა:

- ოპტიმიზმის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის სკალას ($r = .24, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .22, p < .01$)
- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია გამოვლინდა ოპტიმიზმის სკალის და ახალი შესაძლებლობების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .32, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის თვით-შეფასების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის ახალი შესაძლებლობების სკალის ($r = .25, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .22, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ბედნიერების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის ახალი შესაძლებლობების ($r = .28, p < .01$), პიროვნული სიძლიერის ($r = .21, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .29, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ემოციების რეგულაციის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის ახალი შესაძლებლობების ($r = .15, p < .01$), სულიერი ცვლილების ($r = .21, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .12, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ემოციების გამოხატვის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის ახალი შესაძლებლობების ($r = .16, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .18, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ასერტულობის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .16, p < .01$), ახალი შესაძლებლობების ($r = .19, p < .01$), პიროვნული

სიძლიერის ($r = .22, p < .01$), სულიერი ცვლილების ($r = .26, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .17, p < .01$)

- ემოციური ინტელექტის სოციალური ცნობიერების სკალა სუსტ დადებითი კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .21, p < .01$), პიროვნული სიძლიერის ($r = .16, p < .01$) და სულიერი ცვლილების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .23, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის მოტივაციის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია სხვებთან ურთიერთობის ($r = .29, p < .01$), ახალი შესაძლებლობების ($r = .34, p < .01$), სულიერი ცვლილების ($r = .23, p < .01$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .33, p < .01$)

პოსტტრავმული ზრდის სკალები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კავშირში ემოციური ინტელექტის სოციალური ურთიერთობების, ემოციების მართვის და ადაპტაციის სკალებთან.

ცხრილი N 9 ემოციური ინტელექტის სკალებს და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის კორელაცია

	სხვებთან ურთიერთობა	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სულიერი ცვლილება	ცხოვრების დაფასება	საერთო ქულა (PTGI)
ობტიმიზმი	.242**	.326**	.048	.141	.222**	.266**
თვით-შეფასება	.154	.255**	.080	.097	.225**	.215**
ბედნიერება	.143	.282**	.215**	.205**	.295**	.286**
ემოციების რეგულაცია	.148	.156*	.120	.211**	.128	.194**
დაბალი იმპულსურობა	.130	.165*	.140	.082	.019	.154
სტრესის მართვა	.175*	.193*	.186*	.106	.023	.198*
ემპათია	.229**	.090	.036	.215**	.171	.191*
ემოციების აღქმა	.227**	.224**	.062	.190*	.114	.222**
ემოციების გამოხატვა	.144	.160*	.121	.127	.186*	.192*

სოციალური ურთიერთობები	.096	.048	-.033	.014	-0.18	.041
ემოციების მართვა	.085	.053	-.001	.004	.065	.061
ასერტულობა	.169*	.199*	.222**	.265**	.170*	.259**
სოციალური ცნობიერება	.217**	.107	.164*	.239**	.066	.212**
ადაპტაცია	-.017	-.004	.093	-.090	.068	.017
მოტივაცია	.299**	.349**	.081	.237**	.334**	.341**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

ამრიგად, ზრდასრულებში ემოციური ინტელექტის სკალები საკმაოდ მრავალრიცხოვან კავშირებს ქმნიან პოსტტრავმული ზრდის სკალების მაჩვენებლებთან. კავშირების სიმჭიდროვის და სიმრავლის მიხედვით ემოციური ინტელექტის სკალები შემდეგ რეიტინგს ქმნიან: ბედნიერება და მოტივაცია, შემდეგ ოპტიმიზმი, თვითშეფასება, ემოციების აღქმა, სოციალური ცნობიერება, ასერტულობა, ემოციების რეგულაცია, ემპათია.

(6.3.2 ბ) კორელაციური კავშირი მოზარდებთან

მოზარდებთან ემოციური ინტელექტის ფაქტორებს, საერთო მაჩვენებელსა და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის, შემდეგი მონაცემები მივიღეთ (იხ. ცხრილი 10):

- ემოციური ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .32, p < .01$), პიროვნული სიძლიერის ($r = .34, p < .01$) და პოსტტრავმული ზრდის სკალების საერთო მაჩვენებელთან ($r = .34, p < .01$)

- გამოვლინდა სუსტი დადებითი კორელაცია კარგად ყოფნის ფაქტორს და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებელს შორის ($r = .27, p < .05$)
- სუსტი დადებითი კორელაცია თვით-კონტროლის ფაქტორს და სხვებთან ურთიერთობის სკალის მაჩვენებელს შორის ($r = .22, p < .05$)
- ემოციურობის ფაქტორს აქვს სუსტი დადებითი კორელაცია სხვებთან ურთიერთობის სკალის ($r = .24, p < .05$) და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელთან ($r = .22, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია სხვებთან ურთიერთობის ($r = .25, p < .05$) და პოსტტრავმული ზრდის სკალის საერთო მაჩვენებელთან ($r = .24, p < .05$)

ცხრილი N 10 ემოციური ინტელექტის ფაქტორებს და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის კორელაცია (მოზარდებთან)

	სხვებთან ურთიერთობა	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სულიერი ცვლილება	ცხოვრების დაფასება	საერთო ქულა (PTGI)
კარგად ყოფნა	.322**	.196	.343**	-.017	.274*	.342**
თვით-კონტროლი	.227*	.071	.137	.065	.073	.178
ემოციურობა	.241*	.158	.101	.122	.168	.227*
სოციალურობა	-.042	.035	.151	.081	-.013	.077
საერთო ქულა (EI)	.250*	.141	.200	.053	.152	.247*

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

ამრიგად, კარგად ყოფნა ემოციური ინტელექტის ის ასპექტი აღმოჩნდა, რომელსაც ყველა დანარჩენ ფაქტორებთან შედარებით, გაცილებით უფრო გამოკვეთილი და მრავალმხრივი კავშირი აღმოაჩნდა პოსტტრავმულ ზრდასთან მოზარდებში. ამავე დროს, სოციალურობის ფაქტორი არანაირად არ არის დაკავშირებული პოსტტრავმულ ზრდასთან, გარკვეულწილად იგივე შეიძლება ითქვას თვითკონტროლის ფაქტორზე.

ხოლო რაც შეეხება ემოციური ინტელექტის ცალკეულ სკალებსა და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის ურთიერთმიმართებას, შედეგები ასე გამოიყურება:

- ემოციური ინტელექტის ოპტიმიზმის სკალა სუსტი დადებითი კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .24, p < .05$) და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .25, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის თვით-შეფასების სკალა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის პიროვნული სიძლიერის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .34, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის თვით-შეფასების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ცხოვრების დაფასების ($r = .27, p < .05$), ისევე როგორც პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელთან ($r = .27, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის ბედნიერების სკალა საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციაშია პოსტტრავმული ზრდის სხვებთან ურთიერთობის ($r = .35, p < .01$), პიროვნული სიძლიერის ($r = .36, p < .01$), ისევე როგორც პოსტტრავმული ზრდის სკალის საერთო მაჩვენებელთან ($r = .34, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ბედნიერების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ახალი შესაძლებლობების სკალის მაჩვენებელთან ($r = .25, p < .05$)
- სუსტი დადებითი კორელაცია ემოციების რეგულაციის და სხვებთან ურთიერთობების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .24, p < .05$)

- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია სტრესის მართვის და სხვებთან ურთიერთობების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .34, p < .01$)
- სუსტი დადებითი კორელაცია ემოციების გამოხატვის და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .23, p < .05$)
- სუსტი დადებითი კორელაცია სოციალური ურთიერთობების და ცხოვრების დაფასების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .23, p < .05$)
- სუსტი დადებითი კორელაცია მოტივაციის და სხვებთან ურთიერთობის სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .24, p < .05$)

ცხრილი N 11 ემოციური ინტელექტის და პოსტტრავმული ზრდის სკალებს შორის კორელაცია (მოზარდებთან)

	სხვებთან ურთიერთობა	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სულიერი ცვლილება	ცხოვრების დაფასება	საერთო ქულა (PTGI)
ოპტიმიზმი	.246*	.108	.128	-.050	.256*	.221
თვით-შეფასება	.183	.115	.345**	.023	.279*	.272*
ბედნიერება	.353**	.253*	.360**	-.017	.144	.345**
ემოციების რეგულაცია	.247*	.048	.207	.113	.058	.202
იმპულსურობა	-.062	-.028	-.049	-.031	-.016	-.034
სტრესის მართვა	.348**	.151	.174	.072	.127	.261*
ემპათია	.127	.131	.003	.146	.023	.141
ემოციების აღქმა	.153	.084	.115	.198	-.031	.155
ემოციების გამოხატვა	.188	.030	.103	-.013	.230*	.133
სოციალური ურთიერთობები	.191	.221	.050	.009	.238*	.216
ემოციების მართვა	-.126	-.060	.059	.152	-.019	.001

ასერტულობა	.021	.084	.120	.023	.025	.073
სოციალური ცნობიერება	.031	.068	.169	-.015	-.036	.110
ადაპტაცია	.063	-.026	-.124	-.078	-.128	-.072
მოტივაცია	.248*	.118	.159	-.091	.178	.212

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

წარმოდგენილი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოზარდებში ემოციური ინტელექტის სკალებიდან ბედნიერების სკალა ყველაზე მეტ და გამოკვეთილ კავშირს ავლენს პოსტტრავმული ზრდის სკალურ მაჩვენებლებთან. შედარებით მგრძობიარე აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით, აგრეთვე, თვითშეფასებისა და, გარკვეულწილად, ოპტიმიზმის სკალები. შეგახსენებთ, რომ ყველა ეს სკალა ქმნის კარგად ყოფნის ფაქტორს.

(6.3.2 გ) რეგრესიული ანალიზი ზრდასრულებთან

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ზრდასრულ ადამიანებში ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი პოსტტრავმული ზრდის სანდო პრედიქტორს წარმოადგენს ($\beta = .370$, $p < 0.01$). ის ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 13.7%-ს ($R^2_{ADJ} = 0.13$, $F = 24.12$, $p < 0.01$)

რაც შეეხება ემოციური ინტელექტის ძირითადად ფაქტორებს, ცვლადების ეს მოდელი ხსნის პოსტტრავმული ზრდის მონაცემთა ვარიაბელობის 13.3 %-ს ($R^2_{ADJ} = 0.13$, $F = 6.8$, $p < 0.01$). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ ოთხი ძირითადი ფაქტორიდან მხოლოდ ერთი - კარგად ყოფნის ფაქტორი - წარმოადგენს სანდო პრედიქტორს და სწორედ მას შეაქვს წვლილი ($\beta = .287$, $p < 0.01$) პოსტტრავმული ზრდის მონაცემთა ვარიაბელობაში.

ემოციური ინტელექტის ცალკეულ სკალებს არ აღმოაჩნდა წინასწარმეტყველების ძალა, მათგან მხოლოდ მოტივაციის სკალა წარმოადგენს

პოსტტრავმული ზრდის გლობალური მაჩვენებლის სანდო პრედიქტორს ($\beta = .341$, $p < 0.01$) და მცირე წვლილი შეაქვს ამ უკანასკნელის ვარიაბელობის ახსნაში 1.16 %-ს ($R^2_{ADJ} = 0.111$, $F = 20.77$, $p < 0.01$).

(6.3.2 დ) რეგრესიული ანალიზი მოზარდებთან

მოზარდების შემთხვევაში ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი, აგრეთვე წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს, თუმცა, შედარებით ნაკლები ძალის, ვიდრე მოზრდილებში. ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 6.1 %-ს ($R^2_{ADJ} = .048$, $F = 4.79$, $p < 0.05$) და შეაქვს გარკვეული წვლილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელში ($\beta = .247$, $p < 0.05$).

ისევე, როგორც ზრდასრულებში, მოზარდებთანაც ემოციური ინტელექტის ძირითადი ფაქტორებიდან მხოლოდ კარგად ყოფნის ფაქტორი აღმოჩნდა პოსტტრავმული ზრდის სანდო პრედიქტორი ($p < 0.01$), ის ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 15.2 %-ს ($R^2_{ADJ} = 0.10$, $F = 3.27$, $p < 0.05$). აქვე აღვიშნავთ, რომ ამ ფაქტორს მოზარდების შემთხვევაში გაცილებით მეტი წვლილი შეაქვს პოსტტრავმული ზრდის ცვლილებაში, ვიდრე მოზრდილებთან ($\beta = .420$ მოზარდებში წინააღმდეგ $\beta = .287$ –სა ზრდასრულებთან).

6.3.3 ემოციურ ინტელექტს და ოჯახის ფუნქციონირებას შორის კავშირი

(6.3.3ა) კორელაციური კავშირი ზრდასრულებთან

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ ემოციურ ინტელექტს და ოჯახის ფუნქციონირებას შორის არსებობს კავშირი (იხ. ცხრილი N 12).

ზრდასრულებთან, ემოციური ინტელექტის გლობალურ მაჩვენებელსა და ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელს და ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი სახის კავშირები გამოვლინდა:

- ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების მაჩვენებელთან ($r = .16, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი საშუალო სიძლიერის კორელაციაშია პრობლემის გადაჭრის სკალის მაჩვენებელთან ($r = .30, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .35, p < .01$), ისევე, როგორც ზოგადი ოჯახის ფუნქციონირების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .31, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის კარგად ყოფნის ფაქტორი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების კომუნიკაციის სკალის ($r = .21, p < .01$) და როლების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .20, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის თვითკონტროლის ფაქტორი სუსტ უარყოფით კორელაციაშია აფექტური ჩართულობის სკალის მაჩვენებლებთან ($r = -.22, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის სოციალურობის ფაქტორი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .18, p < .05$) და ასევე, აფექტური ჩართულობის სკალის მაჩვენებლებთან ($r = -.20, p < .05$)

ცხრილი N 12 ემოციური ინტელექტის ფაქტორებს და ოჯახის ფუნქციონირების სკალებს შორის კორელაცია

	პრობლემის ს გადაჭრა	კომუნიკაცია	როლები	აფექტური რეაგირება	აფექტური ჩართულობა	ქცევის კონტროლი	ზოგადი ფუნქციონირე ბა	საერთო ქულა (FAD)
კარგად ყოფნა	.353**	.216**	.202*	.110	.074	.133	.310**	.295**
თვით- კონტროლი	.117	-.081	-.116	-.101	-.228**	-.038	-.011	-.095
ემოციურო ბა	.150	-.076	-.032	.016	-.116	.021	.077	.016
სოციალუ რობა	.186*	-.030	-.113	-.065	-.202*	-.020	.059	-.043
საერთო ქულა (EI)	.301**	.093	.008	.002	-.137	.153	.168*	.090

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

როგორც ვხედავთ, ემოციური ინტელექტის ერთ-ერთი ფაქტორი – კარგად ყოფნა – გამოირჩევა ყველა დანარჩენისგან ოჯახის ფუნქციონირების სკალებთან მეტი კავშირებითა და შედარებითი სიძლიერით.

ოჯახის ფუნქციონირების ზოგადი მაჩვენებელი, ისევე, როგორც ცალკეული სკალები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კავშირში ემოციურობის ფაქტორთან.

ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის ცალკეულ სკალებს შორის შემდეგი სახის კორელაციები გამოვლინდა: (იხ. ცხრილი N 13)

- ემოციური ინტელექტის ოპტიმიზმის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .24, p < .01$), და ასევე, ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .23, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის თვითშეფასების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .22, p <$

- .01) , ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებელთან ($r = .16, p < .01$) და ასევე, ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელთან ($r = .19, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ბედნიერების სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .29, p < .01$), კომუნიკაციის ($r = .23, p < .05$), როლების ($r = .18, p < .01$) , ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების ($r = .25, p < .01$) და ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებლებთან ($r = .29, p < .01$)
 - ემოციური ინტელექტის ემოციების რეგულაციის სკალის მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .18, p < .05$)
 - ემოციური ინტელექტის ემპათიის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .22, p < .01$), როლების ($r = .26, p < .01$) , აფექტური რეაგირების ($r = .18, p < .05$), აფექტური ჩართულობის ($r = .16, p < .05$), ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების მაჩვენებლებთან ($r = .22, p < .01$) და ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულასთან ($r = .23, p < .01$)
 - ემოციური ინტელექტის ემოციების აღქმის სკალა საშუალო სიძლიერის უარყოფით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების აფექტური ჩართულობის სკალის მაჩვენებლებთან ($r = -.33, p < .01$)
 - ემოციური ინტელექტის ემოციების გამოხატვის სკალის მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების აფექტური რეაგირების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .27, p < .01$)
 - ემოციური ინტელექტის ემოციების გამოხატვის სკალის მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებელთან ($r = .18, p < .05$)

- ემოციური ინტელექტის ასერტულობის სკალის მაჩვენებელი საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .30, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის ასერტულობის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების კომუნიკაციის ($r = .17, p < .05$), აფექტური რეაგირების ($r = .16, p < .05$), ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .23, p < .01$) და ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულასთან ($r = .19, p < .05$)
- ემოციური ინტელექტის სოციალური ცნობიერების სკალის მაჩვენებელი სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის სკალის მაჩვენებლებთან ($r = .22, p < .01$)
- ემოციური ინტელექტის მოტივაციის სკალა სუსტ დადებით კორელაციაშია ოჯახის ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრის ($r = .31, p < .01$), კომუნიკაციის ($r = .17, p < .05$), აფექტური რეაგირების ($r = .22, p < .01$), აფექტური ჩართულობის ($r = .23, p < .01$), ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების სკალის მაჩვენებლებთან ($r = .15, p < .05$) და ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელთან ($r = .16, p < .01$)

ოჯახის ფუნქციონირების სკალებს და ადაპტაციის სკალას შორის არ აღმონდა სტატისტიკურად სანდო კავშირი

ცხრილი N 13 ემოციური ინტელექტის სკალებს და ოჯახის ფუნქციონირების სკალებს შორის კორელაცია

	პრობლ. გადაჭრა	კომუნი- კაცია	როლებ ი	აფექტური რეაგირება	აფექტური ჩართულობა	ქცევის კონტროლი	ზოგადი ფუნქც.	საერთო ქულა (FAD)
ოპტიმიზმი	.248**	.102	.088	.048	-.174	.103	.231**	.139
თვით- შეფასება	.220**	.110	.131	.007	.163	.121	.169*	.192*
ბედნიერება	.291**	.238**	.188*	.191*	.205**	.063	.250**	.277**
ემოციების რეგულაცია	.180*	.048	.117	.090	-.062	.030	.132	.102
დაბალი იმპულსურობა	.003	-.106	-.259**	-.221**	-.191*	-.076	-.180*	-.228**
სტრესის მართვა	.052	-.007	-.107	-.087	-.225**	-.051	.034	-.073
ემპათია	.220**	.076	.216**	.182*	.156*	.147	.221**	.233**
ემოციების აღქმა	.092	.034	-.179	-.071	-.332**	-.070	-.042	-.137
ემოციების გამოხატვა	.094	.031	.112	.274**	.062	.003	.181*	.139
სოციალური ურთიერთობე ბი	-.062	-.213**	-.292**	-.256**	-.229**	-.038	-.243**	-.279**
ემოციების მართვა	-.124	-.137	-.305**	-.241**	-.308**	-.138	-.181*	-.291**
ასერტულობა	.307**	.174*	.153	.167*	-.073	.105	.238**	.191*
სოციალური ცნობიერება	.222**	.016	-.079	-.035	-.065	.001	.076	.012
ადაპტაცია	.027	.022	-.186*	-.219**	-.295**	-.017	-.026	-.154
მოტივაცია	.319**	.177*	.134	.226**	.231**	.144	.158*	.165**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

ამგვარად, ემოციური ინტელექტის ცალკეული სკალებიდან ოჯახის ფუნქციონირების შედარებით მეტ სკალასთან კავშირებითა და მეტი სიმჭიდროვით გამოირჩევა ბედნიერების, მოტივაციის, ემპათიის სკალები, გაერკვეულწილად ასერტულობის სკალაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის სკალები, რომლებიც უარყოფითად კორელირებენ ოჯახის ჯანსაღი ფუნქციონირების სკალებთან. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ემოციების მართვის, სოციალური ურთიერთობების და დაბალი იმპულსურობის სკალები, აგრეთვე, შედარებით ნაკლებად – ადაპტაციის, სტრესის მართვისა და ემოციების აღქმის სკალები.

(6.3.3 გ) რეგრესიული ანალიზი ზრდასრულებთან

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ზრდასრულებში მიუხედავად იმისა, რომ ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელს შეაქვს გარკვეული წვლილი ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების (ჯანსაღი/არაჯანსაღი) ($\beta = .168, p < 0.05$) მაჩვენებელში და ხსნის მისი ვარიაბელობის 2.8%-ს ($R^2_{ADJ} = 0.22, F = 4.42, p < 0.05$), მას როგორც ვხედავთ არ აღმოაჩნდა დიდი პრედიქტორული ძალა.

ემოციური ინტელექტის ოთხი ფაქტორის კომბინაცია ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 1.15 %-ს ($R^2_{ADJ} = 0.09, F = 4.8, p < 0.01$) და მხოლოდ კარგად ყოფნის ფაქტორი წარმოადგენს პრედიქტორს ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებლისთვის ($\beta = .364, p < 0.01$) და ზოგადი ფუნქციონირების სკალისთვის ($\beta = .355, p < 0.01$).

ემოციური ინტელექტის ცალკეული სკალები (15 სკალა) ხსნის მონაცემთა ვარიაბელობის 3.31%-ს ($R^2_{ADJ} = .258, F = 4.52, p < .01$) და მხოლოდ ორი სკალა ასერტულობა ($\beta = .263, p < 0.01$) და ოპტიმიზმი ($\beta = .275, p < 0.01$) წარმოადგენს

პრედიქტორს ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულისა და ზოგადი ფუნქციონირების სკალებისთვის.

(6.3.3 გ) რეგრესიული ანალიზი მოზარდებთან

მოზარდების შემთხვევაში, ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებლის ვარიაბელობის შედარებით მეტ პროცენტს ხსნის (5.3 %, $R^2_{ADJ} = .041$, $F=4.16$, $p<0.05$) და აგრეთვე შეაქვს მეტი წვლილი ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებლის წინასწარმეტყველებაში ($\beta = .231$, $p<0.05$).

ემოციური ინტელექტის ცალკეული ფაქტორები არ წარმოადგენს სანდო პრედიქტორს არც ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებლისთვის და არც ზოგადი ფუნქციონირების სკალისთვის

ემოციური ინტელექტის ურთიერთობების სკალა ($\beta = .298$, $p<0.01$) აღმოჩნდა პრედიქტორი ოჯახის ფუნქციონირების საერთო ქულისა და ზოგადი ფუნქციონირების სკალისთვის.

6.3.4. ოჯახის წევრების (დედა, მამა, შვილი) პოსტტრავმული ზრდის, ემოციური ინტელექტის და მათ მიერ შეფასებული ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირი

(6.3.4 ა) კორელაციური კავშირი

1. ოჯახის წევრების მიერ აღქმულ ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებლებს შორის შემდეგი სახის კავშირი დადგინდა:

- დედის და მამის მიერ აღქმული ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებლები სუსტ დადებით კორელაციაშია ($r = .17$, $p < .05$), მაშინ როდესაც არც დედის და არც მამის მიერ აღქმული ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელი არ არის

სტატისტიკურად სანდო კავშირში შვილის მიერ აღქმულ ოჯახის ფუნქციონირებასთან.

ოჯახის წევრების მიერ ცალკეული ოჯახის ფუნქციონირების სკალების შეფასებებს შორის შემდეგი სახის კავშირები გამოვლინდა:

- სუსტი დადებითი კორელაცია ცოლ-ქმრის მიერ აღქმული როლების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .25, p < .05$)
- სუსტი დადებითი კორელაცია დედის და შვილის როლების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .26, p < .05$)
- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია მამის და შვილის როლების სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .40, p < .01$)
- საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია ცოლ-ქმრის აფექტური ჩართულობის სკალებს შორის ($r = .32, p < .01$), მაშინ, როდესაც მშობლების და შვილის აფექტური ჩართულობის სკალას შორის კავშირი სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა

ამგვარად, ცოლ-ქმრის ქვესისტემაში ოჯახის ფუნქციონირების აღქმა მსგავსია როგორც საერთო მაჩვენებლის, ისე ცალკეული სკალების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ მშობელი-შვილის ქვესისტემაში ოჯახის ფუნქციონირების აღქმა არ ემთხვევა ერთმანეთს, გამონაკლისს წარმოადგენს როლების განაწილების ფუნქციის აღქმის მსგავსება.

ოჯახის წევრების შესაბამის მაჩვენებელთა მიხედვით პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, აფექტური რეაგირების, ქცევის კონტროლის, ზოგადი ფუნქციონირების სკალებს შორის სტისტიკურად სანდო კავშირები არ გამოვლინდა.

2. რაც შეეხება ცალკეული ოჯახის წევრების პოსტტრავმული ზრდის ზოგად მაჩვენებელს და მის ცალკეულ სკალებს შორის კავშირებს, გამოვლინდა :

- სუსტი დადებითი კორელაცია კავშირი ცოლ-ქმრის პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლებს შორის ($r = .25, p < .05$), მაშინ როცა არცერთი მშობლის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი შვილის პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელთან არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კავშირში
- სუსტი დადებითი კორელაცია ცოლ-ქმრის ახალი შესაძლებლობების სკალას შორის ($r = .29, p < .01$)

ამრიგად, ცოლ-ქმრის და მშობელი-შვილის ქვესისტემები პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელთა კავშირების მიხედვით განსხვავება.

3. ცალკეული ოჯახის წევრების ემოციური ინტელექტის ზოგად მაჩვენებელს (EI) და ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი:

- ცოლ-ქმრის ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებლებს შორის სუსტი დადებითი კორელაცია დადგინდა ($r = .28, p < .05$), გარდა ამისა, ცოლ-ქმრის შემთხვევაში კორელირებს ემოციურობის ფაქტორის, კერძოდ, აღნიშნულ ფაქტორში შემავალი ემოციების პერცეფციის სკალის მაჩვენებლები ($r = .24, p < .05$)
- ასევე აღსანიშნავია ცოლ-ქმრის ემოციური ინტელექტის სოციალურობის ფაქტორის მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი. კერძოდ ასერტულობის სკალის ($r = .29, p < .01$), სოციალური ცნობიერების სკალის ($r = .22, p < .05$) და ადაპტურობის სკალის ($r = .27, p < .05$) მაჩვენებლებს შორის
- აღსანიშნავია, რომ დედის და შვილის ემოციური ინტელექტის მაჩვენებლები სუსტ დადებით კავშირშია როგორც საერთო ქულის ($r = .28, p < .05$), ისე იმპულსურობის (თვით-კონტროლის ფაქტორი) ($r = .23, p < .05$) და სოციალური ცნობიერების (სოციალურობის ფაქტორი) ($r = .25, p < .05$) სკალის მაჩვენებლების მიხედვით. ხოლო საშუალო სიძლიერის კავშირია მათი სოციალურობის ფაქტორის ($r = .33, p < .01$), ემოციების მართვის სკალის მაჩვენებლებს (სოციალურობის ფაქტორი) ($r = .31, p < .01$) და

სოციალური ცნობიერების (სოციალურობის ფაქტორი) ($r = .25, p < .05$) სკალის მაჩვენებლებს შორის.

- მამის და შვილის ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდო კორელაცია არ გამოვლინდა. სუსტი დადებითი კორელაცია მივიღეთ მხოლოდ იმპულსურობის (თვით-კონტროლის ფაქტორი) სკალის მაჩვენებლებს შორის ($r = .28, p < .05$)

4. მშობლის ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელსა და შვილის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი არ გამოვლინდა. მივიღეთ სუსტი დადებითი კორელაცია მეუღლეების ემოციური ინტელექტის მაჩვენებელსა და მათი პოსტტრავმული ზრდის ქულას შორის ($r = .28, p < .05$)


(6.3.4 ბ) რეგრესიული ანალიზი

აღმოჩნდა, რომ დედის და მამის პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელს, ცალკეულ სკალებს და ასევე, ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელს, მის ცალკეულ ფაქტორებსა და სკალებს არ აქვს პრედიქტორული ღირებულება ბავშვის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლისთვის.

ცოლისა და ქმრის ემოციური ინტელექტის გლობალურ მაჩვენებლებს არ აღმოაჩნდა პრედიქტორული ძალა მეუღლის პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლის ვარიაბელობისათვის .

სამაგიეროდ, წინასწარმეტყველების გარკვეული ძალა აღმოაჩნდა მეუღლეების პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელს ერთმანეთის პოსტტრავმული ზრდის ვარიაბელობის ასახსნელად. ორივე შემთხვევაში შესაბამისი მაჩვენებლებია 6.5 %-ს ($R^2_{ADJ} = .053, F=5.39, p<0.05$), $\beta = .254, p<0.05$;

6.3.5. მედიაციური ანალიზი



ემოციური ინტელექტის, პოსტტრავმული ზრდისა და ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებლებს შორის კავშირის ჰიპოთეტური მედიაციური მოდელის შემოწმება განხორციელდა ჰეისის მედიაციური ანალიზის საშუალებით (Conditional Process Modeling by Hayes , 2012)

მედიაციური ანალიზის მიხედვით (Model = 4), ემოციური ინტელექტის საერთო ქულა პრედიქტორული ღირებულების მქონე აღმოჩნდა ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების მაჩვენებლისთვის ($\text{coeff}=.1782$, $p=.0371$). ხოლო ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების მაჩვენებელი ($\text{coeff}=.5451$, $p=.0023$) და ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი ($\text{coeff}=.8292$, $p=.0000$) პრედიქტორული ღირებულების მქონე აღმოჩნდა პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლისთვის. საბოლოოდ, ემოციური ინტელექტის არაპირდაპირი გავლენის მაჩვენებლები პოსტტრავმული ზრდის ქულაზე ($\text{Effect}=.0971$, $\text{BootULCI}=.2683$) წარმოადგენენ ჰიპოთეტური მედიაციური მოდელი დადასტურებას.

ამრიგად, ჩატარებული მედიაციური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ემოციური ინტელექტი, გარდა უშუალო გავლენისა, არაპირდაპირ გავლენას

ახდენს პოსტტრავმულ ზრდაზე ოჯახის ფუნქციონირების ხასიათის (ჯანსაღი/არაჯანსაღი) გაშუალებით.

თავი 7 შედეგების განხილვა

7.1 ემოციური ინტელექტის, ოჯახის ფუნქციონირებისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება

(1) მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზრდასრულებში ოჯახის ფუნქციონირების გლობალურ მაჩვენებელს აქვს პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის. თეორიულად, ეს შედეგი ლოგიკურია. პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელის (Tedeschi & Calhoun, 1995) მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა არის პროცესი, რომელიც ტრავმის პირდაპირ შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ნეგატიურ გამოცდილებასთან ინდივიდის ბრძოლის შედეგად ყალიბდება. ინდივიდები, რომლებსაც ძლიერი სოციალური მხარდაჭერის სისტემა აქვთ, უფრო მეტად ავლენენ პოსტტრავმულ ზრდას, რის საფუძველსაც პოზიტიურ სოციალურ გარემოში სხვებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარების უკეთესი შესაძლებლობა წარმოადგენს. პოზიტიურ გარემოში გამოცდილების გაზიარების პროცესში ინდივიდები ნეგატიური მოვლენის პოზიტიურ ასპექტებს აღმოაჩენენ, რაც საბოლოოდ პოსტტრავმული ზრდის განმაპირობებელია (Kilmer et al., 2014a). გარდა ამისა, მხარდაჭერ გარემოში ნეგატიური გამოცდილების გაზიარება თავის მხრივ, საპასუხოდ ემპათიური რეაქციების მიღებას უკავშირდება. ამგვარად, ოჯახი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კონტექსტი ზრდასრული ადამიანების პოსტტრავმული ზრდისათვის (Berger & Weiss, 2009), სადაც საერთო გამოცდილების მქონე ინდივიდები ეხმარებიან ერთმანეთს ნეგატიური მოვლენის დაძლევაში.

ოჯახის ფუნქციონირების ცალკეული კომპონენტების პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის განსხვავებულია. ოჯახის ფუნქციონირების შვიდი სკალის ერთობლივი კომბინაცია მონაცემთა ვარიაბელობის 13.9% სხნის. თუმცა ოჯახის ფუნქციონირების შვიდი სკალიდან მხოლოდ ოთხი

სკალაა პოსტტრავმული ზრდის სანდო პრედიქტორი, ესენია, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, აფექტური რეაგირება და ზოგადი ფუნქციონირების სკალა. ახსნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ დანარჩენი სამი სკალა - როლები, აფექტური ჩართულობა და ქცევის კონტროლი არ წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის.

იმისთვის, რომ ავხსნათ ოჯახის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით მიღებული მონაცემები, მნიშვნელოვანია დავუბრუნდეთ ოჯახის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობის გაგებას. პრობლემის გადაჭრის ასპექტი გულისხმობს, რომ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელიც ოჯახის ფუნქციონალურ მთლიანობას უქმნის საფრთხეს. პრობლემები შეიძლება ეხებოდეს აფექტურ სფეროს ან ყოფით საკითხებს. პრობლემის გადაჭრა გულისხმობს, რომ ოჯახის წევრები განიხილავენ, მსჯელობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე და ასევე იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად გაართვეს ამ პრობლემას თავი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ერთად უმკლავდებიან ემოციურ დამაბულობას. პრობლემის ეფექტურად გადაჭრისას ჩართულია რუმინაციის (განმეორებითი ფიქრი) პროცესი, რომელიც ინფორმაციის გადამუშავების პროცესს უწყობს ხელს და რომელიც პოსტტრავმული ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობად არის მიჩნეული (Calhoun, Cann, Tedeschi, & McMillan, 2000).

როგორც ცნობილია, პოსტტრავმულ ზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს სოციალური მხარდაჭერა (Tedeschi & Calhoun, 2004). თუ ოჯახს განვიხილავთ სოციალური მხარდაჭერის მიკრო სისტემას, მაშინ ნათელია, რომ ოჯახში არსებული კომუნიკაციის პატერნი, აფექტური რეაგირების ფორმები და ზოგადი ფუნქციონირება (ჯანსაღი/არაჯანსაღი) წამყვან როლს ასრულებს ინდივიდის პოსტტრავმული ზრდის პროცესში. უფრო კონკრეტულად, პოსტტრავმულ ზრდას განაპირობებს ეფექტური კომუნიკაცია, რომელიც გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის ვერბალური ინფორმაციის გულწრფელად, ნათლად, ორაზროვნების გარეშე გაცვლის სტილს. აფექტური რეაგირება ოჯახის წევრების მიერ თბილი გრძნობების

გამოხატვას უკავშირდება, ხოლო ჯანსაღი ზოგადი ფუნქციონირება კეთილსასურველ გარემოს ქმნის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მიღებული შედეგი თანხმობაშია სხვა ემპირიულ მონაცემებთანაც (Linley et al, 2011), რომლის მიხედვითაც ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ დისტრესსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის არაპირდაპირ კავშირს (მედიაციას) ემოციების ექსპრესიის ხარისხი განაპირობებს.

ამგვარად ოჯახის ფუნქციონირების ისეთი ასპექტების წვლილი პოსტტრავმული ზრდის პროცესში, როგორცაა პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, აფექტური რეაგირება და ზოგადი ფუნქციონირება ლოგიკურად განიხილება პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელის ჭრილში.

ქცევის კონტროლის სკალა გულისხმობს ოჯახში გარკვეული ქცევის სტანდარტების არსებობას. ოჯახის ფუნქციონირების ამ ასპექტის საკვლევი სკალა ძირითადად მიმართულია იმ ქცევითი პატერნების/ მოდელების გამოსავლენად, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ოჯახის წევრები, როცა მოულოდნელ სიტუაციებში უწევთ მოქმედება. შესაძლოა, კულტურული თავისებურებების გამო ქცევის კონტროლის ამ ასპექტს – გარკვეული, შეთანხმებული წესით რეაგირებას მოულოდნელ თუ ექსტრემალურ სიტუაციებში – არ შექონდეს წვლილი პოსტტრავმული ზრდაში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ინსტრუმენტთან დაკავშირებული ასპექტიც, კერძოდ ის, რომ ქცევის კონტროლის სკალას დაბალი სანდობის მაჩვენებელი აქვს (Cronbach's alpha – 0.52), თითოეულ დებულებას დაბალი დატვირთვა. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ აღნიშნულ სკალაზე მხოლოდ სამი დებულება დარჩა ფაქტორული ანალიზის შედეგად.

მსგავსი მომენტები იკვეთება როლების განაწილების სკალასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია სახლის ყოველდღიური, ყოფითი პრობლემების მოგვარებისთვის ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების ზუსტ განაწილებაზე, რაც, ასევე, არცთუ ჩვეულია ყოფაცხოვრების ჩვენიული მოდელისთვის. გარდა ამისა, პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელიდან

გამომდინარე, ლოგიკურია, რომ როლების სიზუსტით განაწილებას პოსტტრავმული ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

მოზარდებთან, კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახის ფუნქციონირების საერთო მაჩვენებელი არ აღმოჩნდა პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორი, რაც შესაბამისობაში მოდის ავტორების (Meyerson, Grant, Carter, & Kilmer, 2011) დაშვებასთან პოსტტრავმული ზრდის ფენომენის საფუძვლად მდებარე განსხვავებული მექანიზმების შესახებ ბავშვებთან და მოზარდებთან.

კვლევების მიხედვით, ერთი მხრივ, საკამათოა საკითხი იმის შესახებ, თუ ბავშვებსა და მოზარდებში სოციალური მხარდაჭერა პოსტტრავმულ ზრდას რამდენად უწყობს ხელს, რადგან ზოგიერთი კვლევა აღნიშნულ კავშირს არ ადასტურებს (Cryder et al., 2006), მაშინ, როცა არსებობს ამ კავშირის დამადასტურებელი სხვა ემპირიული მონაცემები (Wolchik et al, 2008). გარდა ამისა, დღემდე მიმდინარეობს მკვლევრებს შორის კამათი იმის შესახებ, თუ რა ტიპის სოციალური მხარდაჭერაა მოზარდებისთვის წამყვანი - აღმზრდელების, ოჯახის (Kimhi, Eshel, Zysberg, & Hantman, 2009) თუ თანატოლების და მასწავლებლების (Yu et al., 2010). ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა ოჯახის გარდა სხვა სოციალური გარემოს მხარდაჭერის როლის განსაზღვრა მოზარდების პოსტტრავმული ზრდის განვითარებაში. თუმცა, თეორიულად შესაძლებელია დავუშვათ, რომ მოზარდისთვის, ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, თანატოლებისგან ან სხვა სოციალური წრიდან მიღებული მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვანი იყოს (Brown, 2004 ციტირებულია Maciejewski et al , 2014).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ჰიპოთეზა მოზარდთა პოსტტრავმული ზრდის განვითარებაში ოჯახის ფუნქციონირების როლის შესახებ არ დადასტურდა. თუ გავითვალისწინებთ ემოციური ინტელექტის, განსაკუთრებით, კარგად ყოფნის განცდის, მჭიდრო კავშირს მოზარდთა პოსტტრავმული ზრდის მრავალ ასპექტთან, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული კვლევის მოდელის ფარგლებში მოზარდთა პოსტტრავმული ზრდისათვის ემოციური ინტელექტი,

როგორც პიროვნული ნიშნი, წამყვანი მნიშვნელობისაა. ხოლო ის გარემოება, რომ ემოციური ინტელექტის ისეთი ასპექტი, როგორცაა სოციალურობა, ანუ სოციალური ურთიერთობებისა და მათზე გავლენის უნარი, არ აღმოჩნდა კავშირში პოსტტრავმული ზრდის არც ერთ სკალასთან, კიდევ ერთხელ ადასტურებს მოზარდების პოსტტრავმული ზრდისთვის ამ ასპექტის უმნიშვნელო როლზე.

კვლევის მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მშობლების მიერ აღქმული ოჯახის ფუნქციონირება ზოგადი მაჩვენებლების მიხედვით არ ემთხვევა შვილების მიერ აღქმულს. ყველა ცალკეული სკალიდან მხოლოდ როლების აღქმა არის ურთიერთკავშირში. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოზარდები, როგორც წესი, საკუთარი თავის დისტანცირებას ახდენენ ოჯახისგან და უფრო ობიექტური, გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან აფასებენ ოჯახურ ინტერაქციას (სიტუაციას). აღნიშნული ფენომენი სხვა კვლევაშიც გავლინდა (Crow & Seybold, 2013).

(2) რეგრესიული ანალიზის შედეგები მოწმობს, რომ ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი, წარმოადგენს სანდო პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის, როგორც ზრდასრულ ადამიანებში, ისე მოზარდებში. რაც უფრო მაღალი ემოციური ინტელექტი აქვს ინდივიდს, მით უფრო მეტი ალბათობით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მას პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი ექნება.

პოსტტრავმული ზრდის თეორიული მოდელის (Tedeschi & Kilmer, 2005) მიხედვით, აღნიშნული ფენომენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტს პიროვნული მახასიათებლები წარმოადგენს. ოპტიმიზმი, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კრეატიულობა, თვითეფექტურობა და თვითშეფასება მჭიდრო კავშირშია ინდივიდის მიერ ინფორმაციის გადამუშავების პროცესთან, რაც თავის მხრივ პოსტტრავმულ ზრდას უწყობს ხელს (Stanton, Bower, & Low, 2006).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც მოწმობს, რომ ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი, პოსტტრავმული ზრდის განვითარებაში პოზიტიურ როლს ასრულებს. ამ მიმართულებით კვლევების რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა არსებული კვლევის შედეგები ემოციური ინტელექტის მნშვნელოვან წვლილს მოწმობენ. კერძოდ 2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ემოციური ინტელექტი წარმოადგენს მოდერატორს ემოციების ექსპრესიას და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის განსაზღვრისას (Linley et al, 2011)

შესაბამისად, პიროვნული მახასიათებელი, რომელიც ემოციებთან დაკავშირებული თვითპერცეფციების ერთობლიობას წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ პოსტტრავმული ზრდის და პიროვნული ნიშნების შესახებ არსებული კვლევის შედეგების დადასტურებას წარმოადგენდეს.

ემოციური ინტელექტის თითოეული ფაქტორის და სკალის პრედიქტორული ღირებულება პოსტტრავმული ზრდისთვის განსხვავებულია. ოთხი ძირითადი ფაქტორიდან მხოლოდ „კარგად ყოფნის“ ფაქტორია პოსტტრავმული ზრდის სანდო პრედიქტორი ოჯახის ზრდასრული და მოზარდი წევრების შემთხვევაში. „კარგად ყოფნის“ ფაქტორი ინდივიდის მიერ საკუთარი თავისა და ცხოვრების მიმართ ოპტიმისტურ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს მოიაზრებს და ბედნიერების განცდას ასახავს. ამ ფაქტორში შემავალი სკალებია ოპტიმიზმი, ბედნიერება და თვითშეფასება. თუმცა, ზრდასრულებთან, დამატებით, მოტივაციის სკალაც წარმოადგენს პოსტტრავმული ზრდის პრედიქტორს.

საბოლოოდ, კვლევის შედეგების მიხედვით, ემოციების მართვაზე, რეგულაციაზე, თვითკონტროლზე, სხვისი ემოციების განცდის უნარზე (ემპათია) მეტად, ინდივიდების ცხოვრებისაში დამოკიდებულება, ოპტიმისტური ხედვა და მოტივირებულობა განსაზღვრავს პოსტტრავმულ ზრდას.

მოზარდებში ოპტიმიზმი განსაზღვრავს პიროვნულ სიძლიერეს, სხვებთან ეფექტურ ურთიერთობას, თვითშეფასება ეხმარება მათ საკუთარი პიროვნული სიძლიერისა და ცხოვრების დაფასებაში, ისევე, როგორც ბედნიერების განცდა ახალი

შესაძლებლობების ძიებას, პიროვნულ სიძლიერესა და ცხოვრების დაფასებას. ჩვენ მიერ მიღებული კვლევის მონაცემები თანხმობაშია სხვა კვლევასთან (Cryder, Kilmer, Tedeschi, & Calhoun, 2006), სადაც პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში კომპეტენციის რწმენასთან აღმოჩნდა კავშირში. ხოლო რაც შეეხება სოციალურ მხარდაჭერას, პოსტტრავმული ზრდის კვლევაში ბავშვებმა და მოზარდებმა სოციალური მხარდაჭერის ათი განსხვავებული წყარო დაასახელეს და თითოეული მათგანი შეაფასეს მათდამი გამოჩენილი ყურადღების – მათი მოსმენისა და მათზე ზრუნვის უზრუნველყოფის ჭრილში (Cryder, Kilmer, Tedeschi, & Calhoun, 2006). თუმცა სოციალურ მხარდაჭერასა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ასევე, არ გამოვლინდა კავშირი რუმინაციის პროცესთანაც (Cryder et al., 2006).

(3) მონაცემთა რეგრესიული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ემოციური ინტელექტის გლობალური მაჩვენებელი წარმოადგენს პრედიქტორს ოჯახის ზოგადი ფუნქციონირების (ჯანსაღი/არაჯანსაღი) განსაზღვრისათვის. აღნიშნული შედეგები მსგავსია როგორც ზრდასრულების, ისე მოზარდების შემთხვევაში, რაც ლოგიკურ კავშირშია ოჯახის სისტემის მოდელებთან. პიროვნების უნარი, მართოს ემოციები, ემპათია, ასერტულობა ოჯახის სხვა ერთეულებთან ეფექტურ ურთიერთობაზე ახდენს გავლენას და, საბოლოოდ, ოჯახის, როგორც მთელის დადებით ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

(4) მედიაციული ანალიზის შედეგების თანახმად, ოჯახის ფუნქციონირება წარმოადგენს მედიატორს ემოციურ ინტელექტსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის განსაზღვრისას. ინდივიდის ემოციური სფეროს თავისებურება განსაზღვრავს მისი ოჯახური ურთიერთობების პატერნს – როგორ სოციალურ კლიმატსა და მხარდაჭერას შესთავაზებს ის საკუთარ თავს და, აგრეთვე, ოჯახის სხვა წევრებს, რაც თავისთავად პოსტტრავმულ ზრდას უწყობს ხელს.

7.2. ინსტრუმენტების (FAD, PTGI_C) ადაპტაცია ქართულ პოპულაციაზე

კვლევის ინსტრუმენტის ადაპტაციის პროცესში ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხარის (FAD) სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, 53 დებულების ნაცვლად მივიღეთ 37 დებულებისგან შემდგარი ინსტრუმენტი, რომელიც ავტორების (Epstein et al., 1983) მიერ ჰიპოთეტურად განსაზღვრულ ფაქტორულ სტრუქტურას ინარჩუნებს. აღნიშნული ფაქტორებია: პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, როლების განაწილება, აფექტური ჩართულობა, აფექტური რეაგირება, ქცევის კონტროლი და ზოგადი ფუნქციონირება. თითოეულ სკალაზე დაბალი დატვირთვის მქონე დებულებების გამორიცხვა მოხდა. გამონაკლისს წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის სკალა, სადაც დებულებების რაოდენობა არ შეცვლილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქცევის კონტროლის სკალამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. აღნიშნული სკალიდან ექვსი დებულების ანულირება მოხდა. ქცევის კონტროლის სკალა გულისხმობს ოჯახში გარკვეული ქცევის სტანდარტების არსებობას. ოჯახის ფუნქციონირების ამ ასპექტის საკვლევი სკალა ძირითადად მიმართულია იმ ქცევითი მოდელების გამოვლენაზე, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ოჯახის წევრები, როცა მოულოდნელ სიტუაციებში უწევთ მოქმედება.

მიღებული შედეგი ცხადყოფს, რომ ქართულ რეალობაში, ოჯახებისთვის უცხოა მოულოდნელ თუ ექსტრემალურ სიტუაციებში შეთანხმებული წესით რეაგირების სტანდარტების ფორმირება.

ხოლო რაც შეეხება პოსტტრავმული ზრდის საკვლევ კითხვარს მოზარდებისთვის (PTGI), ინსტრუმენტის ქართული ვერსია იმეორებს ორიგინალისთვის დამახასიათებელ ხუთფაქტორიან სტრუქტურას. კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლები (ფაქტორული სტრუქტურა, შინაგანი

კონსისტენტობის მაჩვენებლები), კითხვარის ქართული ვერსიის კვლევათი და პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

თავი 8 დასკვნები

მიღებული შედეგების შეჯამების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

- ❖ ოჯახის ფუნქციონირება წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის ზრდასრულ ადამიანებში, რაც ლოგიკურ კავშირშია პოსტტრავმული ზრდის თეორიულ დაშვებასთან და თანხმობაშია პოსტტრავმული ზრდასთან დაკავშირებული სხვა ემპირიული კვლევის მონაცემებთან. ოჯახის ფუნქციონირების ისეთი ასპექტები, როგორებიცაა პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, აფექტური რეაგირება და ზოგადი ფუნქციონირება, ინდივიდს ეხმარება პოსტტრავმული ზრდის - ნეგატიურ გამოცდილებასთან ბრძოლის - პროცესში.
- ❖ მოზარდების პოსტტრავმულ ზრდაზე არც ოჯახის ფუნქციონირება და არც მშობლების ემოციური ინტელექტის თუ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები არ არის კავშირში, რაც მიუთითებს პოსტტრავმული ზრდის განსხვავებული პრედიქტორის არსებობაზე მოზარდებში. სავარაუდოა, რომ მოზარდისთვის, ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, თანატოლებისგან ან სხვა სოციალური წრიდან მიღებული მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვანი იყოს.
- ❖ მოცემული კვლევის მოდელის ფარგლებში შესაძლებელია საუბარი ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიციის დომინანტურ როლზე მოზარდთა პოსტტრავმული ზრდისათვის. კერძოდ, ოპტიმიზმი და თვითშეფასება ეხმარება მოზარდს პიროვნულ გაძლიერებაში, სხვებთან ეფექტურ ურთიერთობასა და ცხოვრების დაფასებაში.
- ❖ ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიცია წარმოადგენს პრედიქტორს პოსტტრავმული ზრდისთვის როგორც ზრდასრულებში, ისე მოზარდებში. რაც უფრო მაღალი ემოციური ინტელექტი აქვს ინდივიდს, მით

უფრო მოსალოდნელია, რომ მას პოსტტრავმული ზრდის მაღალი მაჩვენებელი ექნება.

- ❖ ემოციური ინტელექტის ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის კარგად ყოფნისა და მოტივაციის ასპექტებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია პოსტტრავმული ზრდის სხვადასხვა მხარესთან;
- ❖ ოჯახის ფუნქციონირება წარმოადგენს მედიატორს ემოციურ ინტელექტსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის გასაზღვრისას. ინდივიდის ემოციური სფეროს თავისებურება განსაზღვრავს მისი ოჯახური ურთიერთობის პატერნს, რაც თავის მხრივ პოსტტრავმულ ზრდას უწყობს ხელს. აღნიშნული შედეგი თანხმობაშია ოჯახის სისტემების თეორიასთან
- ❖ კვლევის შედეგად მივიღეთ (1) ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი ინსტრუმენტი, რომელიც ადაპტირებულია ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით და, ასევე, (2) პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტი მოზარდებისთვის, რომლის ფსიქომეტრული მახასიათებლებიც განსაზღვრავს მისი პრაქტიკული და კვლევითი მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება

კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ტრავმასა და მასთან დაკავშირებული ფენომენების შესახებ არსებული თეორიული მოსაზრებებისა და კონსტრუქტების ვერიფიცირებაში წვლილის შეტანა პოსტტრავმული ზრდის ფენომენის, მისი პრედიქტორების, მოზარდებში ამ ფენომენის გამოვლენის თავისებურებებისა და მექანიზმების შესახებ მოპოვებული ემპირიული მონაცემებით.

ხოლო რაც შეეხება პრაქტიკულ ღირებულებას, ნეგატიური ცხოვრებისული მოვლენის შემდეგ პიროვნებათა პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესის

მექანიზმების გამოვლენა პროფესიონალებს დაეხმარება ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც ზრდასრულ ადამიანებთან, ისე მოზარდებთან. სამომავლო კვლევებს და ინტერვენციის განხორციელებას ხელს შეუწყობს ქართულ ენაზე ადაპტირებული ორი ინსტრუმენტი.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა კითხვარების ადაპტაციას უკავშირდება. ინსტრუმენტის სრულყოფილი ვერსიის მიღებისათვის სასურველია სხვა ინსტრუმენტებთან მისი კავშირის კვლევა. გარდა ამისა, ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრისას მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა სტატისტიკური მეთოდებით/ოპერაციებით მიღებული შედეგების გადამოწმება და კავშირების დადგენა.

ხოლო რაც შეეხება კვლევის დიზაინს, პოსტტრავმული ზრდის ფენომენის უფრო სრულყოფილად შესწავლისათვის ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგების (დისტრესი და სხვა ნეგატიური სიპტომები) პარალელური შესწავლა იქნებოდა მიზანშეწონილი.

ზემოთ განხილული კვლევის შეზღუდვები მომავალი კვლევის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. დამატებით, მომავალში, კვლევის განხორციელება შესაძლებელია ე.წ კლინიკურ შერჩევაზე, რაც მიღებული შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aldridge, A. A., & Roesch, S. C. (2008). Developing coping typologies of minority adolescents: A latent profile analysis. *Journal of Adolescence*, *31*(4), 499–517.
doi:10.1016/j.adolescence.2007.08.005
- Barakat, L. P., Alderfer, M. A., & Kazak, A. E. (2006). Posttraumatic Growth in Adolescent Survivors of Cancer and Their Mothers and Fathers. *Journal of Pediatric Psychology*, *31*(4), 413–419. doi:10.1093/jpepsy/jsj058
- Berger, R., & Weiss, T. (2009). The Posttraumatic Growth model: An expansion to the family system. *Traumatology*, *15*(1), 63–74. doi:10.1177/1534765608323499
- Bonanno, G. A., Galea, S., Bucciarelli, A., & Vlahov, D. (2006). Psychological Resilience After Disaster New York City in the Aftermath of the September 11th Terrorist Attack. *Psychological Science*, *17*(3), 181–186. doi:10.1111/j.1467-9280.2006.01682.x
- Byrne, B. M. (2010). *Structural equation modeling with AMOS: basic concepts, applications, and programming*. New York: Routledge.
- Clay, R., Knibbs, J., & Joseph, S. (2009a). Measurement of Posttraumatic Growth in Young People: A Review. *Clinical Child Psychology and Psychiatry*, *14*(3), 411–422.
doi:10.1177/1359104509104049
- Clay, R., Knibbs, J., & Joseph, S. (2009b). Measurement of Posttraumatic Growth in Young People: A Review. *Clinical Child Psychology and Psychiatry*, *14*(3), 411–422.
doi:10.1177/1359104509104049
- Cryder, C. H., Kilmer, R. P., Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (2006). An exploratory study of posttraumatic growth in children following a natural disaster. *American Journal of Orthopsychiatry*, *76*(1), 65–69. doi:10.1037/0002-9432.76.1.65

- Currier, J. M., Hermes, S., & Phipps, S. (2009). Brief Report: Children's Response to Serious Illness: Perceptions of Benefit and Burden in a Pediatric Cancer Population. *Journal of Pediatric Psychology, 34*(10), 1129–1134. doi:10.1093/jpepsy/jsp021
- Epstein, N. B., Baldwin, L. M., & Bishop, D. S. (1983). The McMaster Family Assessment Device*. *Journal of Marital and Family Therapy, 9*(2), 171–180.
- Field, A. (2005) *Discovering statistics using SPSS*. Sage
- Fosco, G. M., & Grych, J. H. (2013). Capturing the Family Context of Emotion Regulation: A Family Systems Model Comparison Approach. *Journal of Family Issues, 34*(4), 557–578. doi:10.1177/0192513X12445889
- Gruhn, D., Rebusal, K., Diehl, M., Lumley, M., Labouvie-Vief, G. (2008) Empathy Across the Adult Lifespan: Longitudinal and Experience-Sampling Findings. *Emotion, 6*, 753–765
- Hafstad, G. S., Gil-Rivas, V., Kilmer, R. P., & Raeder, S. (2010). Parental adjustment, family functioning, and posttraumatic growth among Norwegian children and adolescents following a natural disaster. *American Journal of Orthopsychiatry, 80*(2), 248–257. doi:10.1111/j.1939-0025.2010.01028.x
- Hambleton, R. K. (2001). The next generation of the ITC Test translation and adaptation guidelines. *European Journal of Psychological Assessment, 17*, 164–172
- Holman, T. B., & Burr, W. R. (1980). Beyond the Beyond: The Growth of Family Theories in the 1970s. *Journal of Marriage and the Family, 42*(4), 729. doi:10.2307/351821
- Holtom-Viesel, A., & Allan, S. (2014). A systematic review of the literature on family functioning across all eating disorder diagnoses in comparison to control families. *Clinical Psychology Review, 34*(1), 29–43. doi:10.1016/j.cpr.2013.10.005

- Hughes, E. K., & Gullone, E. (2008). Internalizing symptoms and disorders in families of adolescents: A review of family systems literature. *Clinical Psychology Review, 28*(1), 92–117. doi:10.1016/j.cpr.2007.04.002
- Hussain, D., & Bhushan, B. (2011). Posttraumatic stress and growth among Tibetan refugees: the mediating role of cognitive-emotional regulation strategies. *Journal of Clinical Psychology, 67*(7), 720–735. doi:10.1002/jclp.20801
- Janoff-Bulman, R. (2006). Posttraumatic growth and other outcomes of major loss in the context of complex family lives. In L.G. Calhoun & R.G. Tedeschi (Eds.), *The handbook of posttraumatic growth: Research and practice* (pp 81–99). London: Lawrence Erlbaum.
- Joseph, S., Knibbs, J., & Hobbs, J. (2007). Trauma, resilience and growth in children and adolescents. In A.A. Hosin (Ed.), *Responses to traumatized children* (pp. 148–161). Houndmills: Palgrave Macmillan.
